

ISSN 2298-0954  
9 772298 095006

საზოგადოებრივ-ცოტარაზიანი ჟურნალი

მკვლევარი  
გიორგი ბერიძე

# პრილი

ტ. ს. ლ. ანანი

1134  
2022



2022  
7 (307)

თბილისი  
როგორც თანსტი

- თეორია 1 ნინო ფირცხალავა | თბილისი როგორც ტექსტი
- პროზა 12 ალასი აივაზიანი | ტფილისი  
თარგმნა მედეა იმერლიშვილმა
- კრიტიკა 17 მალხაზ ხარბედია | გიგი სულაკაური - თბილისი, ჩემი სოფელი
- პორტრეტი 29 დათო ქარდავა | ძველი თბილისით სავსე ზანდუკი
- ქალაქის ენა 36 აკა მორჩილაძე | ლალა და თვრამეტიანი
- სტუმარი 42 ხუან პაბლო ვილიალობოსი | ჩანახატი ნაცრისფერი  
ჟირაფის ფონზე  
ესპანურიდან თარგმნა დოდო ყვავილაშვილმა
- ქალაქის სიმბოლო 49 ჯიმშერ რეხვიაშვილი | შოთა რუსთაველი, როგორც  
თბილისის ურბანული ლანდშაფტის ელემენტი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "AriLi"

რედაქტორები  
მალხაზ ხარბედია, ლექსო დორეული,  
ჯიმშერ რეხვიაშვილი (მონვეული რედაქტორი),  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო


რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,  
ლამა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,  
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,  
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,  
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,  
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,  
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინდინდეთა  
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამიჯე დამდგარი  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის  
მარილი  
ხალხური.

ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)  
ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)



გამოდის 1993 წლიდან


© ფურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება  
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოიცა  
თბილისის მერიის  
ფინანსური  
მხარდაჭერით



ნინო ფირცხალავა

# თბილისი როგორც ტექსტი



აბო იაშვლაძეების რომანში, "განჯის კარი", ერთი უცხოელი პერსონაჟი თბილისს იმ "საოცარ ქალაქად" მოიხსენიებს, "სადაც ვეროპა და აზია ერთ მუთაქაზე მოთავსებულა". ასე ერთად მოკალათებული სხვადასხვა ჯურის "უცხო ხალხის" ცქერით და ამდენი ურთიერთშენწყობილი "უცხო ხმის" სმენით ტკბობა, Fin de Siècle-ის (XIX-XX საუკუნეთა მიჯნის) თბილისური კულტურის აღწერისას, დროთა განმავლობაში ლამის აბსოლუტური ნორმად რომ იქცა, დასაბამს მეტწილად უცხოელი მწერლების თუ მოგზაურთა ნაწერებში იღებს. ერთ "მუთაქაზე" გვერდიგვერდ ფეხმორთბმული ვეროპა და აზია კი თანამედროვე ქართველ მწერალზე ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1898 წელს, შენიშნა ფრანგმა მოგზაურმა და არქეოლოგმა, ბარონმა დე ბაიმ. მან თბილისის "გული", ერეენის მოედანი, იმ ადგილად აღიქვა, სადაც "შეგიძლიათ თვალნათლივ დაინახოთ ერთსა და იმავე სკამზე მჯდომი აზია და ევროპა".

ეს ის საზიარო "სკამია", ათწლეულების შემდეგ ქართველ მწერალთან "მუთაქად" რომ გადაიქცევა. მისი რომანის უცხოელი პერსონაჟი კი, იქვე თბილისის მრავალენოვანობაზე მსჯელობისას თვალსაჩინო ნიმუშად "სასტუმროს კარის დარაჯის" მა-

გალითს მოიშველიებს, რომელიც კითხვაზე, თუ რამდენი ენა იცის, ენათა უზარმაზარი ჩამონათვალით უპასუხებს: "ქართული, რუსული, ლეკური, თათრული, ასირიული" და, რაც მთავარია, მას "ყველა ეს ენა ბაზარში ადგება". ამ პოლიგლოტი "სასტუმროს კარის დადგე ქართველმა ავტორმა თითქოს კნუტ ჰამსუნი-სეული "ზღაპრული ქვეყნის" სასტუმროს ყმედი "ყოჩალი შვეიცრის" პორტრეტიდან გადმოსხა. ქალაქში, სადაც, ჰამსუნის თქმით, "სამოცდაათ ენაზე ლაპარაკობენ", ეს მოფრანგულე კოლორიტული არსება ნორვეგიელ მწერალს დაუზარებლად უნევს თარჯიმნობას მრავალ ენაზე მოყაყან ადმოსავლურ ბაზარში.

თანამედროვე ქართველი მწერლის ტექსტს ევროპელი ავტორების ნაწერებთან უდავოდ აკავშირებს ის, რომ თბილისი თვალისთვისაც და ყურისთვისაც აღიქმება, როგორც განსაკუთრებული, აღმოსავლურ-დასავლური ელემენტების უჩვეულო ნაზავი. ოღონდ მრავალეროვან/მრავალენოვანი თბილისის სივრცეში ათასგვარი ტონალობითა და შეფერილობით შეზავებულ-დამშვენებული ფერიული სანახაობა, ფერისა და ბგერის უწყვეტი ზღაპ-

რული საბეჭეტალი, ერთ-ერთმა პირველმა ალექსანდრე დიუმამ აქცია კავკასიაში თავისი მოგზაურობის აღწერის ცენტრალურ თემად. თბილისი მისთვის "დედამინის ყველა ხალხთა შერვის ადგილია" და ამ ქალაქში "განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ რაც უნდა სასაცილოდ და ქესცენტრალად გეცვათ, არაფერ გაქცევთ ყურადღებას. ეს უბრალოდ იმითურ ხდება, რომ თბილისს, მსგავსად ქვემარტივი მინაზებული ქართველი ქალისა, მეტი საქმე არა აქვს, ასე ათასი მოგზაურის ყველა უცნაურ ტანსაცმელს ყურადღება მიაქციოს." თბილისიც "მინაზებული ქართველი ქალის" მიზნადილი მზერით თავაზიანი გულგრილობით ადევნებს თვალს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ასე ათასობით მოგზაურის ფუფუნება და იმას, თუ როგორ "ირვიან მის ქუჩებში": "თურქები, ჩინელები, ევროპელები, თათრები, ყალმუხები, რუსები, ყაზახ-დოვლები, ფრანგები, ბერძნები, სპარსელები, ინგლისელები თუ გერმანელები". ასე გადაიქცევა დიუმას ტექსტში მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის თბილისის გამოკვეთილად კოსმოპოლიტური აღმოსავლური გლობალიზებული სამყაროს ერთგვარ ადრესულ მიკრო-მოდელად, რომელიც განსაზღვრული ხდება მომდევნო ეპოქის თითქმის ყველა ევროპული ავტორისათვის, ვინც საკუთარ ტექსტში საქართველოს დედაქალაქის აღწერა გაიხადა ცენტრალურ თემად.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისი, როგორც ყველა ჯურის აღმოსავლური თუ დასავლური ელემენტის შერევაკავშირებელი ფუნქციონი, ამკარად იმ მოდერნულობის ანაბეჭდს ატარებს, რასაც "კარგი ევროპელის" (der "gute Europäer") აღწერაზე მეოცნებე ნიცშეს იდეალი ესწრება. ნიცშესთვის მოდერნულობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი იმ ხერხების მუდმივ ძიებაშია ვაცხადებული, რაც აადვილებს მიზეზიანი ბავშვივით საკუთარ ახირებას აყოლილი თანამედროვე ევროპის ყველა უჩვეულო აჩემების შესრულებას. საქმე ისაა, რომ ახალი ეპოქის ევროპის მკვიდრის გააზიზებული პირის გემო ტრადიციულ მარტივ საკვებს (პირდაპირი თუ გადატანილი მნიშვნელობით) აღარ სჯერდება. ამიტომაც მას აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამაზიით უშუალოდ შეხვებულ ევროპელები "მშუშხავი და მძაფრგემოვანი კერძები" (prickelnde und beizende Speise) სჭირდება, "მთელი ორიენტისა და ოქციდენტის" მაღის აღმძვრელი სურნელს რომ აფრქვევს. მხოლოდ ამას თუ დაჰყავბუდდება განხილვებულ ევროპელის მუდმივ ცვალებადი, ჭირვეული გემოვნება. ნიცშესთვის ამ თვალსაზრისით "ყველაზე კარგი მზარეულები ფრანგებთან არიან საძიებელნი, ყველაზე უარესი კი, გერმანელებთან", რაც ასე ბუზბერივია, იმ ქვემარტივად "გლეხური გულგრილობის" ფონზე, "გერმანული სული" რომ ავლენს "გემოვნების" მიმართ.

სწორედ ერთი ასეთი გამორჩეული "ფრანგი მზარეული" და გურმანი სტუმრობდა საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში. კავკასიაში, "ამ გამუდმებული ომებისა და დიადი სიღამაზის ქვეყანაში", მის სტუმრობას კი, კულინარიის თემა-

ზე გრძელი პასაჟები თუ გაჯერებული მოგზაურობის აღწერა მოჰყვა. დიუმამ იყო ევროპელთაგან ერთ-ერთი პირველი, ვინც თბილისში აღმოსავლური განცხრომის ის სანეტარო ადგილი აღმოაჩინა, როგორიც ცხოვრებით ტკბობის მისებრ მოყვარულ ქვემარტივ "ბონივანს" არ ეგულბებოდა "პარიზში, ამ გრძნობიერ სიტკობებათა ქალაქში" და, აკი, დანაზნებით მოისკლისება კიდევ იქ თბილისური ყაიდის "სპარსულ აბანოს"; თან იმას კვირობდა, დღემდე "ნუთუ ვერც ერთმა სპეკულანტმა ვერ გამოიწერა თბილისიდან ორი მექისე"-მანცო. მისთვის ამ ქალაქში იმთავითვე თვალში საცემი გახდა კარგი გემოვნების კულტი, მუხუზუდავად რომ გამეფებულა ყველგან, იქნება ეს არისტოკრატიული სახლი თუ "ფერიათა სასახლის" მსგავსი, "სადა და დახეწილი" ორნამენტებით დამშვენებული ოპერის თეატრი.

ასე დაუდო საფუძველი დიუმას თხზულებამ თბილისის რეცეფციის ევროპულ ტრადიციას, რომელმაც მოგვიანებით თავად ქართულ მწერლობაზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა. დროთა განმავლობაში ტექსტად ქცეული თბილისი კი, ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ქალაქის წიგნად, ანუ ტექსტად ქცევა ნიშნავს მის ვაზარებას, მის განცდას და მის გზა-კვლის ამხნევე ლაბორინთებთან გამინაურებას. ერთი, მიშელ ბიუტროს მსგავსად, ქალაქს, განიხილავენ მხატვრულ მოდელად გარდაქმნილ ურბანულ სივრცედ, რომელიც სასევა სასაკითხი ტექსტითა და ცხადმიერი ნიშნებით. ქალაქი როგორც "ტექსტის აკუმულაცია" და ერთგვარი "ლიტერატურული ფანერი", მათთვის ყველაზე ახლო ნათესაობას რომანთან ავლენს. მეორე კი, ურბანიზმის ცნობილი თეორეტიკოსის, ლუის მამფორდის მსგავსად, ქალაქს, როგორც "სოციალური აქტივობის თეატრს", დრამატულ ფანერს უკავშირებენ. ქალაქია ერთდროულად ფიზიკური ფუნქციის მატარებელი ნეოლოგიზებული, ანუ გეოგრაფიული პლექსუსიც (a geographic plexus) და "კოლექტიური ერთობის ესთეტიკური სიმბოლოც". ის ხელოვნების ხელშემწყობია და თავადაა ხელოვნება, ვინაიდან "ქალაქი ქმნის თეატრს და ისაა თეატრი", სადაც თამაშდება "სოციალური აქტივობის" უწყვეტი "კოლექტიური დრამა". ამიტომაცაა საინტერესო ხელოვანის ტექსტში ამ სივრცის იმგვარ "ურბანულ სცენად" გარდაქმნა, საიდანაც სოციოლოგების მბარადილ კითხვას "რა არის ქალაქი?" (მდრ. მაკს ვეგერი, გეორგ ზიმელი) ლიტერატურული ტექსტის ენით გაეცემა პასუხი. ამგვარ ტექსტებში ქალაქი ამბის, მონათხრობის უბრალო სივრცითი ფონი და ჩარჩო უკ აღარაა, არამედ თავად იქცევა ძირითად სიუჟეტად, ერთდროულად დასაწერ და ნასაკითხ წიგნად.

მოგზაურობის დროს გაცნობილი ნებისმიერი ქალაქის აღქმა სრულიად არაერთგვაროვანია თითოეული კონკრეტული ავტორის აღწერაში, ყოველი შედგანს ერთსა და იმავე ქალაქს განსხვავებულად მთავად და მის არამსგავს პორტრეტს ქმნის. ამიტომაც ვიღებთ კარდინალურად განსხვავებულ ტიპის თბილისის ტექსტებს. ისინი ისევე გან-

სხვაგვება ერთმანეთისგან, როგორც კუნტ ჰამსუ-ნის ნაწარმოებები ადოლფ ნოდერის ან სიმონ დე ბოფუარის შემოქმედების ნიმუშებისაგან, ან როგორც ანდრე ჟიდის ნაწარმები ნიკოს კაზანძაკისის თუ ჯონ სტაინბეკის თხზულებებისაგან.

საგულისხმოა ისიც, რომ ყოველი ცალკეული უცხოელი ავტორი, ვისაც საქართველოს დედაქალაქთან დაახლოება და მისი ტექსტად გარდაქმნა ჰქონდა განზრახული, ან ქალაქთან გაშინაურების ან იშვიათ უნარს ავლენს, ანდა პირიქით, სულაც სრულ უუნარობას. განსაცვიფრებელია თბილისის აღქმის ის არაერთგვაროვნება, რაც ასე გამოკვეთილად ვლინდება გასული საუკუნის ყოველ ათწლეულში განსხვავებული კულტურების სხვადასხვანოვან ტექსტებში. ამგვარი არაერთგვაროვნება თვალსაჩინოდ აჩვენებს, თუ რამდენად ახერხებს მწერალი შეისმინოს გაკვეთილი, რომელსაც თავად ქალაქის საზოგადოებას მას, რამდენად გახსნილი ან დახშულია მისი ყური თბილისის, როგორც ტექსტის მიმართ, ვინაიდან საზოგადოდ თავად ქალაქი უკარნახებს და ახსნავს საუკეთესოდ, თუ როგორ ილაპარაკოს ავტორმა მასზე.

თბილისის სიმბოლური პროფილის კონტურების მოხაზვა დასაბამს XIX საუკუნის პირველივე ათწლეულებიდან იღებს. ამ პროფილის შტრიხები-თი თითქმის თანაბრად სარგებლობენ როგორც ქართული კულტურის პორტრეტის, ისე ავტობორტრეტის შექმნისას. ათწლეულების განმავლობაში იცვლებოდა თბილისის ტექსტის როგორც აღქმის, ისე აღწერის ფაქტორული და უცხოურ ლიტერატურაში.

თბილისის წყაროებში იკვეთება ორი მნიშვნელოვანი მარკერი - მტკვარი და მთაწმინდა. სწორედ მათ მხატვრულ რეპრეზენტაციას უკავშირდება მთასა და წყალს შორის მოქცეული ქალაქის ლანდშაფტის ნაკითხვის სრულიად განსაკუთრებული ნესი. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის "ფიქრნი მტკვრის პირას". ეს, ნეპოსმეირი ქართველისათვის სკოლის მერხიდან ასე კარგად ნაცნობი ლექსი, მტკვარს და მის შემოგარენს აქცევს ერთდროულად საკუთარი, პირადი და უნივერსალური მესხიერების დამცველ-შემნახველ ალაგად.

ცოტა უფრო ადრინდელი ლექსი, "შემოღამება მთაწმინდაზედ", კი უკავშირდება ქალაქის სილუეტის მთავარ დომინანტს, ქალაქის საერთო ხედში გაბატონებულ და, ამავდროულად, საკრალიზებულ "წმინდა მთას" - მამადავითის მთას. აქაც ქალაქის ტაძრაგაფილური სივრცითი აგებულების სრული დამოხვევაა მესხიერების ადგილთან. ორივე ლექსი პოეტის უწყვეტ დიალოგს ასახავს წყალთან და მთასთან. ამასთანავე, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ბარათაშვილისიული ლექსის შემქმნის მომენტისათვის მთაწმინდა უკვე არის გარკვეულწილად მესხიერების ადგილად ქცეული. აქ დაკრძალა ნინო ჭაჭავაძემ 1829 წელს თიერანში მოკლული ქმარი, ალექსანდრე გრიბოედოვი, ვისაც ეს ადგილი გამორჩეულად უყვარდა. გრიბოედოვია ერთ-ერთი პირველი, ვინც მთაწმინდას უბრალოდ ქალაქის სამ-

ხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრების გამოწყობ, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი შტოქედის სივრცით დაბოლოებად, კონკრეტული სიმაღლის ტერიტორიად კი არ აღიქვამს, არამედ ამ გეოგრაფიულ ამაღლებულ ნერტილს განუყოფებელი ესთეტიკური შინაარსი ავსებს, რომელიც თავისი არსით ხარისხობრივი ფენომენია და არამც და არამც რაოდენობრივ-გაზომვადი. საქმე ისაა, რომ მთაწმინდა მისთვის "ტფილისის პოეტური კუთვნილება" (пиитическая принадлежность Тифлиси).

ამრიგად, საკმარისია, ზღვის დონიდან 770 მეტრი სიმაღლის მთის აგებულებაში ზედაოციწრივი ქვიშაქვებისა და თიხების ნაცვლად პოეტური შინაარსის დანახვა, რომ ეს შემადლებული ადგილი ქალაქის სივრცით-გეოგრაფიული აღწერილობის ფარგლებში ვეღარ ჩაეტიოს და თბილისის "პოეტურ კუთვნილებად" იქცეს და მას პოეზიის "უკავადეუბის" მცველის საკრალური მისია დაეკისროს:

"მთაო წმინდაე მამა-დავითისაო,  
შენ ავტოაუო ქალაქ ტფილისისაო,  
წმინდა მინაე, უკედაე მწერლებისაო"

(ივთიმ გურჯი).

ქართული კულტურის პორტრეტის განუყოფელი ნაწილად ქცეული მთაწმინდის პანორაული ხედების აღწერას, განმეორებადობის სიხშირისა და ინტენსივობის თვალსაზრისით, ალბათ, მხოლოდ სახელგანთქმული გოგირდის აბანოები თუ გაუნეცს მეტეოქეობას. პირველად პუშკინის მიერ ხოტბამესხმული თბილისური აბანოების მოტივი: "Отроду не встречал я ни в России, ни в Турции ничего подобного тифлиских бань" (ჩემს დღეში არაფერი შემხვედრია არც რუსეთში, არც თურქეთში ტფილისურ აბანოებზე უფრო დიდებული) - სხვადასხვანოვან ევროპელ ავტორთა ერთი ტექსტიდან მეორეში გადადის. მათი მოხსენიება თბილისის აღწერის რეპერტუარის ლამის სავალდებულო შემადგენელ ნაწილდაა აღქმის პუშკინთან წარმოდგენილი აბანოს სცენა ტექსტიდან ტექსტში მოგზაურობს ახალ-ახალი ნოვანსებით გამდიდრებული. დომესთან მაგალითად, ის თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოღებული. ვიზიტის დღეც კი ემთხვევა. ესაა, "სამშაბათი, ქალთა დღე", დომესთან: le mardi, jour des femmes. ორივე ავტორთან მთაწმინდა "ორმოცდაათამდე ქალი" (რიცხვიც კი დივევა), სრულიად გულგრილად ხვდება აბანოში კაცების გამოჩენას; სამაგიეროდ, გვარაიანად შეცბუნებულ-დაფეთებულია ამ უჩვეულო სცენის შემყურე ორივე მწერალი - რუსიცა და ფრანგიც.

გვიანი ეპოქის ევროპელი ავტორები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო გროტესკულ ელფერს შესძენს თავ-თავიანი ენაზე პუშკინისეულ აბანოს ეპიზოდს. ესაა მეტ-ნაკლებად მსგავსი სცენარი, რომელიც მოისხანე მექსის ხელში ჩავარდნილი ომელიც ავტორის მარტოობას აღწერს. მექსის, ანუ "ჯალათის" = exécuteur ან "Folterknecht", მიერ საბრლო მოხორბობის ნამების სცენას ყოველ მომღვეწო ტექსტზე რუსული პირველწყაროს მიბაძვით უკიდურესად გამძაფრებული და უტრირებული კომიზმით ხატავს.

ნიშანდობლივია, რომ "ციხის აბანოს" შესახებ გადმოცემას თუ არ ჩავთვლით, რომლის თანახმად, ტფილისის აღების დროს (1795 წ. ენკენისთვის 11-ს) საჭურისი ხოჯა ალა-მაჰმად-ხანი შევიდა ამ აბანოში, "გაუკვირდა სიკეთე ტფილისისა, მოეწონა ნყალს წმინდანი ყოვლითურთ, აღუმღერეველნი და მარგებელნი", პუშკინის სამოგზაურო მოგონებებამდე, თბილისური აბანოების ამბავი ლიტერატურაში დღემდე ჩნის განმავლობაში ცარიელ თეთრ ფურცლად რჩებოდა. პუშკინმა ნამოიხყო ამ თეთრი ფურცლის შევსება და სწორედ მის კვალს ჩაუდგნენ მომდევნო პერიოდის უცხოელი მწერლებიც. ისინი თითქმის ერთმანეთს ციცილობდნენ, თუ ვინ უფრო შთამბეჭდავ ენამახვილ გამონათქვამს და მოსწრებულ სიტყვას მოიძებნა ამ ფურცელზე ჩასამატებლად. დროთა განმავლობაში კი, ოდესღაც ცარიელი, თეთრი ფურცელი არამცოუ შევსებული, არამედ უკვე სრულიად გადაცხებული და სხვადასხვაენადასი ტექსტებით გადაჭრელებული შექცა.

საუკუნეების წინ პუშკინის ნაქები თბილისური აბანოს სცენების აღწერის ეს მრავალწლიანი ლიტერატურული ტრადიცია ქართულ მწერლობაში ზურაბ ქართუმიძის რომანში "Dagny, or a Love Feast" (დაგნი ანუ სიყვარულის ალაბი) გვირგვინდება: "გოგირდის აბანოებში ერთხელ მაინც თუ არ შესულხართ, ჩათვალეთ, რომ თბილისშიც არ ყოფილხართ!" ისინი "იმ თვალსაზრისითაც უნიკალურები, რომ ჯოჯოხეთის, განსაზღვრულსა და სამოთხეს აერთიანებს. დანტე ამ აბანოებში რომ შესულიყო, სამივეს ერთდროულად მოიხილავდა" - (Dante ... would have seen the three in one).

თბილისის ტექსტის ყველაზე შთამბეჭდავი რეპრეზენტაციული კორპუსი უდავოდ მცოცხე საუკუნეს უკავშირდება. სწორედ ის აერთიანებს როგორც უცხოენოვან, ისე იმ დროისთვის საგრძნობლად მომრავლებულ ქართულ ლიტერატურულ ნიმუშებს. ამ პერიოდის ლიტერატურაში, ეპოქის თანამდევრი ისტორიულ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, საინტერესოდ აისახა ის რთული პროცესი, რასაც თბილისის ქართულ-უცხოური ხატის ესთეტიკური კოდის ევოლუცია შეიძლება ეწოდოს.


გაულ საუკუნეში ალბათ ათიან-ოციანი წლებიდან დადამწყვეტი ქართველი ავტორებისთვის. მათთვის ერთ-ერთი ცენტრალური თემა ხდება მართაპასა და აზიას შორის საკუთარი კულტურის ადგილი დადაგენა / განსაზღვრა.

ამ ორ ათწლეულში იწერება საპროგრამო ტექსტები: პაოლო იაშვილის, "ჩვენი სეზონი" (1920), ქართულ მწერლობას "აღმოსავლეთის მაჭანკლობას" რომ უკოინებს და ტიცინი ტაბიძის "უარი აზიას". ამ პერიოდში ქვეყნდება გეორგიტი ქიქოძის "დასავლეთის კარები" (1916), სადაც ის ამ კარის "ფართოდ" გაღებას იბოხვს, "რათა უხვად შემოვიდეს ევროპული იდეები და შეხედულებები", რაც "ნახევრად ევროპული, ნახევრად აზიური", "მონოლოთა ურდობის" ნამიერი რუსეთის ზეგავლენისაგან თავდაცვას ნიშნავს; ამავე პერიოდისაა ტრადიციულად მის საპირწონე ტექსტად გამოცხადებული ვახტანგ კოტეტიშვილისეული "აზიისკენ" (1920),

სადაც უპატრონოდ, უდარაჯოდ, მცველის გარეშე დარჩენილი "ქართული ხელოვნების დაცარიელებული დარბაზია" გამოგლეოვლი. ერთი შეხედვით, კოტეტიშვილის მონოდება: "უკან, აზიისაკენ წინ ნასასვლელად", შეიძლება "გავერობილებაზე" უარის თქმად იქნას აღქმული, ოღონდ საბოლოოდ ირკვევა, რომ საქმე ასე მარტივად ვერბის ტოტალურ უარყოფას კი არ ეხება, არამედ ზედაპირულად, მხოლოდ ფრაკში გამოვლით მიღწეულ ფსევდო-გავერობელებას, რაც იმთავითვე დიდად ხიფათის შემცველია. კოტეტიშვილისთვის ამგვარ ხელოვნურ, ნაძალადეფ ფრაკია და "ზინკლით" მოქექლუცე "გავერობილებას" არაფერი აქვს საერთო ევროპელობასთან. ეს "გარუსებას უფრო" შვავს და ამიტომაც "უარესია".

საქმე ისაა, რომ თავად ევროპაში შერღვევა-შეგლიანი მოყოლებული, ვიდრე შეხვედრამდე, ძალიან უჭირს "ყაზახური ჩემების" სუნიანი (გ. ქიქოძე) რუსეთის მიღება თავის ნიაღში და საკუთარ ნაწილად მუსიკა აღიარება. აკი, 1922 წელს ესენში ნაკითხულ მოხსენებაში შეხვედრის ამტკიცებს, რომ "ჭემპარიტი რუსი სინამდვილეში სულიერად ჩვენგან ძალიან შორსაა, ისევე შორს, როგორც ინდოელი და ჩინელი". სრულიად ამორფული "დედილო" რუსეთისა ("Mütterchen" Rußland = Матушка Россия) და ევროპის, ორ ურთიერთგამიჯნულ, სამუდამოდ დაცილებულ სამყაროდ გამოცხადება იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ რუსეთი, ყოველგვარ პიროვნულ ნებელობას მოკლებულნი, დღესაც კი "ნახევრად ნომადები" (Halbnomaden) არიან და ესაა მათი პოლიტიკისთვის განმსაზღვრელი წინაპირობა "ჩინებისანიდან მოყოლებული ლენინამდე", ხოლო "თათარი და თურქი თავისი ცხოვრების წირით" რუსისთვის ბევრად "უფრო ვასავები და ახლობელა", ვიდრე "გერმანელი, ფრანგი და ინგლისელი". ევროპის ფარგლებში "დედილო" რუსეთის მოცქევის მცდრობა კი გეოგრაფის მიერ "რუკის" მემგვიობით ისტორიკოსისთვის თავს მოხვეული "საბედნიერო სუგესტის" მაცთუნებელ ხიბლშია საძიებელი. ისტორიკოსი გეოგრაფის მსხვერპლი ხდება, რადგან ჭემპარიტი ევროპა ვისლასთან (Weichsel) მთავრდება.

შემწლერისეული ხედვას კულტურის ფილოსოფიაში საფუძველს უყარებს იმ მოაზროვნეთა დებულებები, ვისთვისაც აღმოსავლეთის ცნება არაერთმნიშვნელოვანია. მის წინამორბედი კონცეფციები უძველესი პოეზიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და მისტიკის სამშობლოს, "მორგებულად" ნოდებულ ორიენტს, ანუ ახლო აღმოსავლეთს, უპირისპირდება ჩრდილო-აღმოსავლეთი, "აზიატურ სათათეთად", "ციმბირად" და მოსკოვეტიურ "მონოლოლითად" ნოდებული რუსეთი, რომელიც, მაგალითად, ჰერდერისთვის სულით და ხორციითაა დაინათესავებული "დედამინის კალიტთან" (Heuschrecken der Erde), სტუმბეს მოდებულ ყალბ-მუხებთან და მონოლოლებთან. რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც "ვანდალურ-გოთურ-სკითურ-თათარული" ცხოვრების წესია დამკვიდრებული და ამიტომაც რუსული ყოფის არსი მთლიანად ამ მოდენითაა




განპირობებული. ამ კულტურულ-ფილოსოფიური კონტექსტის გათვალისწინება ალბათ უფრო ნათელს ხდის მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვების არსს: "გვეყო მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილული ევროპული კულტურით კება, რომელსაც უფრო მეტი მონოლოური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი." ამ კონტექსტის მხედველობაში მიღება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ვახტანგ კოტეტიშვილის შესანიშნავი ტექსტის, "აზიისაკენ", მიერ რიგ მოსაზრებებს და ადვილებს იმის თქმას, რომ კოტეტიშვილისეული წერილი არამცთუ ემიჯნება და უპირისპირდება გერონტი ქიქოძის "დასავლეთის კარების" ძირულ პათოსს, არამედ არსებითად მსგავსი სულისკვეთითაა გაუღენითილი; ვინაიდან ის, რაც ორივესათვის კატეგორიულად მიუღებელი და მავნეა, ესაა ევროპული იდეის პროფანაცია და ფალსიფიცირებული, კარიკატურული, მეორადი ასლის ასლი, ესაა "მონოლოთა ურდოების" წგრევის ფინით გამოკვებილი ნაშიერის, რუსეთის, მიერ უხამსად იმიტირებული ევროპულობის სუროგატი. ამიტომაც ევროპულობანას თამაშის სწორედ ეს "ნახევრად აზიური" ბუფონადაა მათთვის მთავარი ხიფათის შემცველი.

ვახტანგ კოტეტიშვილის აბსოლუტურად ზუსტი განსაზღვრებით, ევროპულობის არსი აღმოსავლეთთან ევროპული იდეის განუყრელ, ორგანულ კავშირს გულისხმობს: "ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, გოეტეს მთავარსარდლობით, ფიქრით მაინც აღმოსავლეთისკენ მოემართებოდნენ". აქ "გოეტეს მთავარსარდლობაზე" ლაპარაკი მხოლოდ მაღალფარდოვანი, ხატოვანი გამოჩანსევაში არაა. საქმე ისაა, რომ შესანიშნავმა აღმოსავლეთმცოდნემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, მშვენიერად იცის, თუ

არ წვლილი შეიტანა გოეთემ, თუნდაც თავისი "დასავლურ-აღმოსავლური დივანის" წყალობით ევროპული კულტურის გამდიდრებაში. ეს, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ჰაფეზისეული უცხო, აღმოსავლური პოეზიის გამოწვევაზე ევროპული პასუხი იყო. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქართული პოეზიაც შეეცდებოდა საკუთარ ყაიდაზე "დასავლურ-აღმოსავლური დივანის" ნიმუშის შექმნას. ასე აღმოჩნდება 1916 წელს ტიციან ტაბაიძის ლექსში, "Ars Poétique", ჰაფეზისეული ვარდი ცნობილი ლექსის, "გატეხილი ვაზა" (Le Vase brisé) ავტორის, პირველი ნობელიანტი მწერლის, სიული პრუდომის, ლარნაკში: "ჰა იზის ვარდი მე პრუდომის / ჩავსედ ვაზაში. / ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის / ბოროტ ყვავილებს."

მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში ქართული პოეზია საკუთარ თავს "ბესიკის ბაღის" იმ მცირე სივრცის ბინადრად წარმოიდგენს, სადაც მშვენიერი "ფერადი ხალიჩაა გადაშლილი". სწორედ ეს "ფერადოვნებაა" ამ პოეზიის ბედისწერა, მისი იდებალიცა და უღებლობაც, ვინაიდან აკაკი შაპავას მტკიცებით, "ჩვენ არსებითად ღრმა არა ვართ, არამედ ფერადი". ქართული პოეზია უფრო "ფორმების და ფერადების მელოდიაა. ის შორდება ოდნავ აღმოსავლეთის კოლორიტს, მაგრამ ვერ ეთვისება დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებას - მეცნიერებასთან შეჯახებას". იმისათვის, რომ სადღაც შუა გზაში გახიზული კი არ აღმოჩნდე, არამედ ამ ორ საწყისს შორის გახიზული და მათი გამოლიანება შესძლო ამას "გიოთე სჭირია და თუ გერმანულობა არა, ინდოგერმანულობა მაინც". იმის გამო, რომ "ჩვენ ფესვები აღმოსავლეთში გვაქვს, რომლის მეცნიერება", შაპავას აზრით, "ნირვანისებური და ნა-



ხერად პოეტურია", სადაც "შეჯახება არაა", ჩვენ "ვერ დავაჯახებთ მეცნიერებას და ხელოვნებას". თუმცა, ინდოგერმანულ ყაიდაზე მეცნიერებისა და ხელოვნების შეჯახებაზე თუკი მაინცდამაინც ჩამოვარდება ლაპარაკი, ალბათ ურიგო არ იქნებოდა ერთი სევდინი ეპიზოდის გახსენება რობერტ მუზილის ბიოგრაფიიდან, რომელსაც პრუსიის ხელოვნების აკადემიამ, თომას მანისა და ალფრედ დიბლინის თავდაპირველი ქომაგობის მიუხედავად, წევრობაზე უარი უთხრა და ეს იმით დაასაბუთა, რომ "მწერლის კვალობაზე ზედმეტად ჭკვიანია"-ო.

პაპავას მტკიცებით, ძველი ქართული მწერლობისთვის "ინდოეთ-სპარსული ლიტერატურის გავლენის" წყალობით, ასე დამახასიათებელი თანდაყოლილი ფილოსოფიური თვისობრივია დროთა განმავლობაში "ხელოვნებაში მიჰქრა, მისუსტდა", მაგრამ ეს დასაბუთების იმით შეივსო, რომ "ფორმა და ეგზოტიკა თვით ხელოვნებითი გამოთქმისა უფრო ინტენსიური" შეიქნა.

ამ ახალ ფორმებზე სამუშაოდ კი ყველაზე შესაფერისი საექსპერიმენტო-ლაბორატორიულ სივრცედ ტფილისი ცხადდება. აქაა ის განუყოვრებელი ურბანული გარემო, სადაც ერთმანეთს ხვდება თბილისის აღმოსავლური ნარსული თავისი "ძველის თარებით, ქუჩაბანდებით, ჰამპეტებით და ოქროს ქამრებით", სრულიად უჩვეულო "ახალ თქმას" მოშაბულ ყვავილებზე", კაფებზე და კოლომბინებზე". სწორედ "ტფილისის სული ამართლებს" ასეთ სითამამეს და აბედინებს ახლისა და ძველის, თანდაყოლილისა და შექენილის, აღმოსავლურისა და დასავლურის ამგვარ თავზე ხელაღებულ შეხამება-კომბინირებას, იმ მარტივი მიზეზით, რომ "ტფილისი ყოვლის შემძლე: ძველი, მზიანი, ამტანი და გამტანია..."

თბილისის ეს ნაქები "ამტანობა და გამტანობა", მისი უპირობო გახსნილობა ყველა ჯურის მუსიკალური ჰანგისა თუ პოეტური ფორმისადმი იოსებ გრიშაშვილსაც აღაფრთოვანებს. 1923 წლით დათარიღებულ ლექსში, "მე და ვეროპა", დაუოკებელი ენთუზიაზმით ცხადდება მთავარი მიზანი: "მსურს ვეროპა გარდავექმნა მე ტფილისის უბნებად". სწორედ ამ ქალაქს შეუძლია ერთიანიად შეაჯავროს მას, "შეხერხადასავით" ამღერებულს, "თემა - აღმოსავლური" და "ვეროპა სწავლული", ერთმანეთთან მოარიგებინოს საპირისპირო მოვლენები: "ჩემში ორი გრძობობა, ორი ენამჭევრობა, სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და ვეროპა".

დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელიც კია ასეთი, ლამის ყმაწვილკაცური ვნება და პათეტიკური შემართება, დასავლურ-აღმოსავლური "უცხო" კულტურების ზაჯვარდინად გამოცხადებულობა, საკუთარი ქალაქის აღმტებულად რომანტიზებული სურათის შექმნისას. დასაფრთხად აღმოსავლეთის მსგავსი სიმბიოზისკენ სწრაფვა ავტორს ამავდროულად ვეროპასთან თანაზიარობის ერთგვარ გულუბრყვილო განცდასაც უჩენს. თუმცა ხელშეუვალ ავტორიტეტად აღქმული "ვეროპა სწავლულისაგან" განსხვავებით, ქართული მწერლობა აღმოსავლეთის, როგორც აბ-

სოლუტური "უცხოს" იდეას, ეგზოტიკურ შირმად მთლად მარტივად ვერ გამოიყენებს და მის კალთას ვერ შეფერავს. ქართველი ინტელექტუალი საკუთარ ქვეყანაზე და დედაქალაქზე მსჯელობისას ეგზოტიკით შეფუთულ აღიზის ასე იოლად ვეღარ მიიშველიებს და თავის თანამემამულეს აღმოსავლეთის იდეას, ასე უბრალოდ ფერად-ფერად ორნამენტებით დამწვევნივლ აბსოლუტური "უცხოს" ხატივან განსახიერებად ვეღარ შესაძლებს, ვინაიდან ეს მისი თანამომემებისთვის ზედმიწევნით ნაცნობი "უცხოა". არც საკუთარი კულტურის წინადაცვერობად გასაღება იქნება ადვილი. შესაბამისად, თბილისზე საუბრისას ძირითადი ყურადღება, ჯერ კიდევ პუშკინის მიერ ზუსტად შემწინეულ და ქალკინტირებულ უმნიშვნელოვანეს ასპექტზე - ქალაქის მოსახლეობის მკვეთრად ინტერნაციონალურ შეფერვლობაზე და სიჭრელეზეა გადატანილი.

გასულმა ორმა საუკუნემ თბილისი ათასგვარი აღმოსავლური თუ დასავლური ელემენტის შეხვედრის უნიკალურ ურბანულ გარემოდ ჩამოაყალიბა. სწორედ ამ პერიოდშია საკუთარი დედაქალაქის კულტურულ სამყაროთა ყბადღებულ "გზასაყარად" წარმოჩენის, ანუ ამ საწყაროთა ზეზების შეყვრის ან გაყრის ურთიერთგადამკვეთ სინტილად აღქმის, მისი იდეალური ფესვები ხატივებელი. თბილისია დასავლეთსა და აღმოსავლეთს, აზიასა და ევროპას შორის კულტურულ მიჯნად გამოცხადებული სასაზღვრო ზოლი. ყოველი ახალი ეპოქა თავისებურად ცდილობს ამ საზღვრის გადალახვას, გადაწვევას ან სულაც მის მოშლას. საზღვრის ამგვარი "დარღვევა" კი დროის ყოველ გარკვეულ მონაკვეთში იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კულტურული სამყაროს ტალღა იმძლავრებს და გახდება დომინანტური ამ ქალაქის პროფილის ფორმირებისას - აღმოსავლური თუ დასავლური.

თბილისში, სადაც ქალაქის ერთ ნაწილში, ერთმანეთს გვერდიგვერდ მდგომ სინაგოგასა და მეჩეთში საკუთარ წეს-ადრთზე აღეკლინებოდა ღოცვა, ხოლო ქალაქის მეორე ბოლოში, ევანგელურ-ეკლესიანულ ეკლესიაში, საღმრთო წერილის ქადაგებისას გერმანული ისმოდა, შეიქმნა გარემო, რომლის ფონზე საკუთარი კულტურაც სხვაგვარ შეუქმე აღიქმებოდა. ამ მულტიკულტურულმა გარემომ წარმოშვა მარადიული კითხვა: "აზია თუ ევროპა?" - ერთგვარ რეფრენად რომ გასდევს ქართული ნაციონალური იდენტობისა და კულტურული კუთვნილების განსაზღვრის უწყვეტ პროცესს. ამ, ცოტა არ იყოს, მოყრჩეველ კითხვებზე პასუხის მუდმივმა ძიებამ კი საქართველოს არა მარტო კულტურულ სამყაროთა საზღვრის მცველის თვდაჯერებულობა, არამედ მათი მარადიული თარჯიმნის მუდმივი მისიის აღმასრულებლის ამნიციაც გაუჩინა. დროთა განმავლობაში კი, გადამეტებული აღფრთოვანებით შეფასებული საკუთარი კულტურულ-კონფესიონალური ტოლერანტობა ლამის გულაუწყებულ თვითტიკობაში გადაიზარდა და გაცეცხილ-გახვევებულ კლიშედ ქცეულ მუდმივად განმეორებად ეკლესია-მეჩეთი-სინაგოგის მეზობლობის იდეალიზებულ ხატიმა გაქავევებული.



აღმოსავლურ-დასავლურ სამყაროთა მიჯნად წარმოსახული თბილისის კულტურული თარჯიმნობის მისია, ალბათ ყველაზე მაკვირვებელი, აბსოლუტური სმენით დაჯილდოებული ამ მისიის აღმსრულებლის მრავალხრივი მუსიკალური უნარში, უფრო სწორად კი, ყველა ჯურის მუსიკალური ჰანგისადმი სრულ განხილვაში გამოვლენილი. ამის დასატრია იმის გახსენებაც კმარა, თუ რამდენად მუსიკალურია თბილისის, როგორც ორიენტი და ოქციდენტი შორის კულტურული მესაზღვრის დიუმასეული აღქმა. ამ ქალაქის მუსიკალური ფონის ფერადოვანი ბგერათა გამა დიუმასთან ორნი უკიდურესი მოსმენის ფარგლებშია მოქცეული: აბანო-თუბანში პოსმენილ, "რადაც ვიტარის მსგავს" აღმოსავლურ საკრავზე დამღერებულ, საადის სპარსულ ლექსსა და ვერდის "ლომბარდიელების" მელოდის შორის, "ულამაზესი ქართველი ქალებით დამშვენებულ", საუცხოო საოპერო თეატრში, ბრწყინვალე დასის შესრულებით. ასე ერთ კიდეზე, იტალიური ოპერის ბელკანტოსა და მეორე, საბიზისპირი კიდეზე სპარსული პოეზიის მრავალენოვან-მრავალხმიან ბგერათა სიმსუბუქესა და კეთილხმოვანებას შორის განფენილი წარმოუდგენია მეცხრამეტე საუკუნის ფრანგ მწერალს მრავალენოვანი თბილისი, ხმის ყველა რეგისტრს რომ ფლობს ისტაბურად.

დიუმას შემდეგ, მუსიკის მეშვეობით თბილისი მულტიკულტურული არის გამოვლენა ალბათ ყველაზე შთამბეჭდავად ანა კორძაია-სამადაშვილმა მოახერხა ერთგვარი მუსიკალური ესპერანტოს წყალობით თავის ბოლო რომანში "ზინკა ადამიანი", სადაც საქართველოს დედაქალაქი "გულის გულში", ანუ მრავალენოვან "იტალიურად წოდებულ თბილისურ ეზოში" აკორდოვნებ ალტერეულ რუსულ "ჩასტუშებს", აღმოსავლური "ბაიათი" ენცველებმა, ხოლო დეა ფანჯრიდან კი, ამ ეზოში მოსახლე თბილისელი გერმანელების ბინიდან, კარლ ჩერხის საფორტეპიანო ეტიუდების ხმა ისმის დასურსულვლად - "უკვე მეორე თაობა უკრავდა ჩერხის ეტიუდებს". ეს, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, ბოლშევიკური "შემქმნადობის" (уплотнение) შედეგად გადაცემული, სულ ცოტა "სამ თბილისურ ენაზე" მოლაპარაკე და ამ ქალაქის თავისებურ სამეტყველო აპარატად ქცეული იტალიური ეზო, გასული საუკუნის თბილისური მულტიეთნიკურების განუმეორებელი მოდელია, რომელმაც თითქმის 90-იანებამდე შემონახა ერთგვარი კონსერვის სახით თბილისის მულტიკულტურულია.

გასული საუკუნე ის გამოჩენილად საინტერესო პერიოდიდა, როცა უცხოელი ავტორებისთვის თბილისის ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური სიჭრელე აღმოჩენა, ხოლო ქართველი ინტელექტუალებისთვის კი, ამ ფერადოვანების შეცნობა და გადააზრება ათნლეულების განმავლობაში განსჯის საგანი.

ჯერ იყო და, საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისის შუაგულში ბარონმა დე ბაიმ ერთ "სკამზე" ჩამოსხდარ ევროპას და აზიას უბრალოდ შორიდან კი არ შეავლო თვალს, არამედ შეეცადა შექმნისდაგ-

ვარად მიახლოებოდა ამ ფენომენს, რათა უფრო ზუსტად განესაზღვრა განვითარების ის გზა, რაც საუკუნეების განმავლობაში გაიარა "აღმოსავლურ ძილში მთვდომარე თბილისმა". თბილისი მისთვის "არის ერთ-ერთი ანტიკურ დედაქალაქთაგანი, რომელიც მოულოდნელად, თითქოს ძალდატანებით მოდერნიზმს მოჭარბების შედეგად მიემართება დაისიდან - პრეფერისკენ."

შემდეგ უკვე მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, 1903 წელს, კნუტ ჰამსუნმა თავის ყაიდაზე გაავრცელა დიუმასეული ტრადიცია. მისი თქმით, საქართველო "ადრე ნანახ არც ერთ ქვეყანას არა ჰგავს (...) შემეძლო მთელი სიცოცხლე აქ გამეტარებინა". ამ ქვეყნის განუმეორებლობას კი ჰამსუნისთვის დღენილად მისი დედაქალაქის სპალიად უნიკალური ატმოსფეროც განაპირობებს, სადაც უშფოთველად თანაცხოვრობენ აზიური და ევროპული უბნები. ოლინდ, უპარატესობა ერთმნიშვნელოვანად აზიურ ნაწილს ეძღვა: "ერთმა უბანმა ისე მოგვიბოლა, რომ მრავალჯერ ვეწვიეთ - ეს აზიური უბანია. ტფილისში არის სარკიანი ვიჭრინები, კონკეტი, თეატრი - ვარიტე, ბატონები და ევროპელები, ევროპულად ჩაცმულ-დახურულნი, მაგრამ აზიური უბანი სხვა არის."

თბილისის აზიური და ევროპული უბნების თანაცხოვრებით აღფრთოვანება და, ამავდროულად, აზიური ნაწილის უმჯობესად მიჩნევა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოდურ თემად და კარგი გემოვნების გამოსატრელებად ქცეული აქ სტუმრად ნამყოფი თითქმის ყველა უცხოელი ავტორისათვის. ნიშნადობლივია, რომ ამ პერიოდში უცხოელთა უმეტესი ნაწილი საგანგებოდ საქართველოში კი არ მოდის, არამედ საბჭოთა კავშირში. საქართველოს, ლამის 90-იანებამდე, ანუ სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე, უცხოელთა მოგზაურობის მარშრუტში მართალია, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ის მათთვის მაინც საბჭოეთის უკიდევანო სივრცის მხოლოდ ერთ-ერთი ნერტილიაგანია. მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველ ამ ავტორთა ტექსტებში საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი მუდმივად შედარებულია სხვა რესპუბლიკებთან და თითქმის ყოველთვის ხაზგასმულია მისი განსაკუთრებულობა და ამკარა დამორეგულობაც კი ამ მოდერნიზებული ცარისტული იმპერიის სხვა რესპუბლიკებისაგან.

20-30-იანები იმითაცაა საინტერესო, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირისკენ დაიძრა კომუნიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით რომანტიკულად გატაცებული და ამ გატაცების გამო გვირიანად თვალდაბინდული, ბოლშევიკურ რეჟიმთან მთაბრუნე არც ერთი ცნობილი ევროპული ინტელექტუალი. ეს სახიფათო და, ამავდროულად, სახამუშო ტენდენცია ერთ ხანს გაავრცელდა კიდევ.

სწორედ ამ წლებში სტუმრობდა თბილისის კომპარტის წევრი, "შმაგ რეპორტიორად" წოდებული ეგონ ერვინ კიში. 1927 წელს გამოცემული წიგნის, "მეფეები, მრედელები და ბოლშევიკები", ერთ-ერთ ქვეთავში, "პროფესიები და რელიგიები თბილისში",

კიმი მსჯელობს ეროვნული კუთვნილების უშუალო კავშირზე გარკვეულ ხელობასთან და იმაზე, თუ რამდენად ურთიერთგადაჯახებულია თბილისში ქალაქის კონკრეტული უბნებისა და მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფების სოციო-კულტურული სტრუქტურა.

კიმი ლაპარაკობს კერძო და საბითუმო ვაჭრობის დიდი ნილის მფლობელ თბილისის "გაეროპოულზე" და სომხებზე, იმხანად დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას რომ შეადგენდნენ. ამის მკვეთრად საპირისპირო მოვლენაა ქალაქის "სრულად აზიატურ ყაიდაზე მცხოვრები უფრო ხელმოკლე ფენა", რომელიც "დეზერტიკაზე იკვებება" (Desertirka). "ქალაქის ევროპულ უბანში ჩაიხანების მფლობელები ბერძენები არიან, მაკამდინაურში სპარსელები და თათრები, იქ ნალექიან ყავას სვამენ მარლით და ოპიუმს ეწევიან". ყურადღების მიღმა არც, ძირითადად, დიდუბეში დასახლებული, საქართველოში მცხოვრები მებაბების "გერმანული გეტოების კონსერვატიზმი" რჩება. კიმის მახვილ თვალს არ გამოეპარება არც საქართველოს მკვიდრი ებრაელების გავრცელება განსაკუთრებულბა. ეს ამკენაზებისგან ასე განსხვავებული "ტანმალა" და "არეხილ ცხვირიანს" ქართველი იუდეველები, "რუსეთის ებრაელებსგან" იმიტომ გამოირჩევიან, რომ ისინი არც "დიშში" ლაპარაკობენ და არც თბილისის რუსულენოვან მოსახლეობას არ გაეკუთვნებიან; ხოლო ზოგადად, ამ ეგრეთ წოდებულ, რუსულენოვან მოსახლეობაზე დაკვირვების შემდეგ, კიმი ირონიით დაასკვნის, რომ რუსულენოვანება მხოლოდ იმიტაციაა და ამ ხალხის უმეტესობას "ნიღაბე ატკოთონი რუსების ფართო სოციალური პროფილები კი არ მოეფიგათ, არამედ სომხების შავგერმანი, უფრო მკვეთრი ნაკეთები, განიერი, უმეტესად სქელი ტუჩები და კანის აშკარად ნეგროიდული შეფერილობა" ახასიათებს.

მრავალეროვანი თბილისის მრავალენოვანებასთან დაკავშირებით "შმაგი რეპორტიორი" შენიშნავს, რომ რუსული ჯვრაც ყოველდღიური ურთიერთობის "სალაპარაკო ენაა", თუმცა "ადმინისტრაციული სამსახურის შიდა უწყებრივი საქმიანობა ქართულად წარმოებს". კიმი, რომელსაც წლები წამდევდა არ გაუტარებია ამ ქალაქში, უტყუარი ალბოს წყალობით, სულ მოკლე ხანში ახერხებს იმგვარი თითქმის უჩინარი ნიუანსების დაფიქსირებას, რაც უზბოტთა უმრავლესობისთვის ალბათ ნლობით შეუმჩნეველი დარჩებოდა. მის ნიგში ის მწილად გასარჩევი, ფაქტობრივად, უხილავი რეალობაა გუმბანი ამოცნობილი, რომ მთელი ამ უცხო ნაკეთებისა და ელემენტების მიუხედავად, საბოლოოდ სწორედ ქართველები განსაზღვრავენ "ქალაქის გამოკვეთილად თვითმყოფ იერსახეს". ამის მიზეზად შეუმცდარადაა დანახული და დასახლებული - გარდა იმისა, რომ ქვეყნის უმთავრესი ორგანო, მისი "თვლილი და ყური, ანუ ჩეკა" უმთავრესად ქართველებითაა დაკომპლექტებული, ისიც მნიშვნელოვანია, რომ პროცენტულად ქართველთა უმრავლესობა "თავისუფალ პროფესიებს" ირჩევს. ისინი უმეტესწილად ექიმები, ადვოკატები,

მეცნიერები და ჟურნალისტები არიან. სამაგვიეროდ ქართველობა იმგვითად ადგას ისეთ საქმიანობას, როგორც ხელისონი, მონტრისის ან კვალციფიკირებული ოსტატის ხელობაა. ამ საქმიანობასაც ვაჭრობის მსგავსად მეტწილად სომხები ეწევიან. ვაჭრობას მისდევენ აქაური სპარსელები და თათრებიც. მაკლერობა კი ბერძენის საქეა. ქალაქის მე-იზოვერები ძირითადად იეზიდები არიან, მღებავები კი ასირიელები. კიმი აქვე ახსენებს რუსეთიდან გადმოსახლებულ სექტანტებს - მოლოკებს, დუსობორებს, პრიგვლებს.

თავადაც მრავალეროვან, ჰაბსბურგთა მონარქიის ათასგვარი კულტურულ-სოციალური კონფლიქტებით შეჭრებულ ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაბადებული ავტორი, რეალურ ვითარებაში გარკვევის მართლაც განსაცვიფრებელ უნარს ავლენს. საფარულიდ, ამგვარ წარმომავლობაში იმ ალლოიანობას და მგრძობლობის საფუძველი საძიებელი, რაც კიშს უადვილებს თბილისის რთული სოციო-კულტურული სექციის ლაბირინთში გარკვევას. აქი, თუხელ, საკუთარი ეროვნული კუთვნილების საკითხი მას თურმე ასე განუმარტობს: "იცი, წესით მე არაფერიც არ უნდა დამემაროოს. გერმანელი ვარ. ჩხვი ვარ, ებრაელი ვარ. კარგი ოჯახში ვიყავი ვარ. რუმინელი ვარ. სტუდენტი-კომპონანტი ვარ. აქედან ერთ-ერთი ყოველთვის მიშველის". გერმანულენოვანი კიმი, ვინც წარმოშობით ებრაელი იყო და ავსტრო-უნგრულ-ჩეხოსლოვაკიურ პრალაში დაიბადა, თავს, უწინარესად, "მსოფლიო მოქალაქედ" მოიაზრებდა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ მას სწორედ მრავალეროვან თბილისში, "კავკასიის დედამამულები", ეგრძნო თავი მინარულად. "ტფილისი" მთელი თავისი განუმეორებელი დინამიკით მოსოფლის "ნერტლია, სადაც ვადა-იკვეთება მოსკოვიდან სპარსეთისაკენ და კასპის ზღვიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი გზები". საქართველოში ყოფნის ეროგვარ დაგვირგვინებდად მისთვის იქცა ზეიმი, რომელიც აღწერილია ქვეთავში: "საქართველოს კომუნალიზმი - ბალ-მასკარადი". კიში შეეცადა კამკამა ფერებით მოელვარე საკარნავალო ზედაპირს მიღმა ამ ქვეყნის არსი ამოეცნო. ეს არსი კი პრალის, ბერლინისა თუ ვენის ყავახანების ბოჰემურ გარემოში გამინარებელი "დარდმანდი" ინტელექტუალისთვის თბილისური ბალ-მასკარადის დევიზში - "ევროპისა და აზიის ზღვარზე" - პოულტოს თავის გაამხატულებას.

კულტურულ სამყაროთა ამ ზღვართან მისაცვლელად მასაც, ისევე, როგორც, არავით სხვა ევროეულ ავტორს, გზა არსებითად დიუმამ გაუკვალა. ოღონდ, თუკი დიუმასთვის თბილისის ევროპულობის მთავარი დამადასტურებელი ქართველი ლამაზმანებით დამშვენებული ბრწყინვალე საოქროთა თეატრია, გერმანულენოვანი ებრაელი ინტელექტუალისთვის გასული საუკუნის ოციან წლებში ამ ქალაქის დასავლურით უტყუარი საბუთს, იმხანად ახალდაფუძნებული უნივერსიტეტის მრავალფეროვანი გამოკვეთებით უხვად აღჭურვილი, საოცრად მონესრიგებული ბიბლიოთეკა განასახიერებს, რომელიც თავისი "სიმდიდრითა და ნესრიგით ტლობს



არ უდებს დასავლეთევროპულ" ნივთსაცავებს.

კიმი თითქოს ეხმარებოდა ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის სიტყვების პათოსს, რომელმაც უნივერსიტეტის დაარსების დღეს, "ამ წუთის სიდიადით" ფრთაშესხმულმა, შეკრებილ საზოგადოებას ასე მიმართა: "ვხსნიო ჩვენს საკუთარ უნივერსიტეტს და ამით ხელახლა ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის შეწყვეტილ ძაფს. აღმოსავლეთის მზეზე გაბრწყინებული კულტურა უფრო მშვენიერდება დასავლეთის აზრებთან დაახლოებით. ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარვართ."

ამრიგად, ევროპული კულტურის სივრცესთან საქართველოს სიახლოვე ქართველი ინტელექტუალებისთვის ისევე უდავოა, როგორც, ვთქვათ, კომუნისმოს მოტრფიალე, პრაღელი კომისთვის ანდა არისტოკრატიული წარმომავლობის ფრანგი - დიუმასათვის ან ნიკოს კაზანდაკისთვის, რომლის ფრანგულ ენაზე დანეროლ ნივნი, "თოდა რაბა", ამკარად იკვეთება ისევ და ისევ დიუმას "კავკასიის" უტყუარი კვალი. ამ კონტექსტში თუნდაც ქართველობის განმსაზღვრელი დიუმასეული ცნობილი ფორმულის: "ლაზათიანობა, ომი, ღვინო, ცეკვა, მუსიკა" - la parure, la guerre, le vin, la danse, la musique კაზანდაკისებური ტრანსფორმაცია რად ღირს: "ლამაზ უდარდელი ქართველები, ღვინის, ომისა და ქალის მოყვარულნი" - des beaux Géorgiens insoucians, amants du vin, de la guerre et de la femme.

1929 წელს "თოდა რაბაში" შექმნილი კაზანდაკისი ეპიკური თბილისის ლიტერატურული პორტრეტი ამკარა კავშირს ავლენს ქალაქის გრივოლ რომბაქიძისეულ ხატთან, რომელიც უფრო ადრეულია

და ის 1926 წელს "გველის პერანგში" წარუდგინა მწერალმა თანამემამულეებს. ერთი წლის თავზე, რომაქიძემ თავად თარგმნა გერმანულად საკუთარი ნაწარმოები და ასე გააცნო ის გერმანულენოვან საზოგადოებას. წიგნი 1928 წელს გამოიცა იენაში შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით და საგულისხმო ქვესათაურით: Roman des georgischen Volkes - ქართველი ხალხის რომანი. ნიშანდობლივია, რომ ქართული საზოგადოების გულგრილობის ფონზე გერმანიაში და ევროპაში "ქართველი ხალხის რომანის" მიმართ ინტერესი გაცილებით უფრო დიდი იყო. ამიტომაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც გასაკვირი ის ფაქტი, რომ გოეთეს "ფაუსტის" მთარგმნელი კაზანდაკისი, ვინც თავის დროზე აწრი ბერგსონის ხელმძღვანელობით დისერტაცია სორბონაში ნიცმეზე დაიცვა, თბილისის პორტრეტის შექმნისას მთელ რიგ სიმბოლოებსა თუ მეტაფორებს თავის ქართველ ნიცმეანელ თანამომეხსა და თანამოკალმეს, გრივოლ რომაქიძეს დაესცხა.

რომაქიძესთან შევედრის აღსანერად კაზანდაკისი მათი საერთო სულიერი წინაპრის იდეათა სამყაროს და ნიცმესეული ფილოსოფიის ენას მიმართავს. ის თბილისის ვენების აღმძვრელ ხორციელ სურათს ხატავს და ადარებს "ულამაზეს, გრძნობა-აშლილ", "კეკლუც, მიშველ, იდუმალ" ქალს, უწინმორეული ზანტად და დაუდევრად გართმობით რომ განოლილა (la très belle, voluptueuse et fainéante Tiflis. Elle est étendue nonchalamment ... coquette, nue, mystérieuse, comme une femme).

საქართველოს დედაქალაქის კაზანდაკისისეული ეროტიკული სურათი ამკარად ეხმარება რომა-

ქიძის მიერ შექმნილ თბილისის პორტრეტს. ამავდროულად, თბილისის აღწერაში ორივე ავტორთან ნიციშენური იდეების გარდა ცოცხლდება გრძობიერების ბაზოფენისული ქალურ-მატერიალური პრინციპის (weiblich-stoffliches Prinzip), ანუ გინეკოკრატული სამართლის გვიანრომანტიკული აღტივინებულ რიტორიკა: თბილისი, რომაქიძისთვის "დე-ფეულია სასურვი", რომელსაც "ცრუ საქმარო ბევერი ახსავს": "ბიზანტიელინი. რომელინი. თურქები. სპარსები. ხორეზმელინი. სარაცინები. არაბები. ყივჩაღნი. მონგოლინი. რუსნი. არავის დანებებია. დარჩა გაუთხოვარი? არა: აუყვანიათ საქორნილოდ - მაგრამ ქალის მკერი არ განუცდათ. იყო მხოლოდ ძალაობა - მაგრამ ქალს ვინ მოსდებდა თუ მისი მკერი არ იხსნება?! დარჩა ქალობა - გაუშლელი: პერგამენტის ფერი მოუკვლელ ფინს ჰჳვარავს. არ ჰქონია განცხრომა და არ იცის დატყვრონა. ნეტავ ვის ელოდება?!" თითქოს ამ სიტყვების ექოდ გამოძახილი და ნახმეგია კახანძაკისეული ყველა იმ მომხდურის ჩამონათვალი - "ბიზანტიელინი, სპარსელები, სარაცინები, ცარისტი რუსები, ბოლშევიკები", ვისაც კი ოდესმე თბილისზე გამოუნგვია ცალ ხელში "ჯვრით, ნახევარმთვარით ან წითელი ვარსკვლავით", მეორეში კი, მძლით. "ყვედ ამ მხოლოდ მისი სხეული მიიღო, ვერავინ მოახერხა მისი გულის დაპყრობა. ის დღესაც უძალიანდება წითელარმიელის ხვედრ-აღერს".

"თად რაბასა" და "გველის პერანგის" შეპირისპირება ერთ მეტად საგულისხმო მომენტს ჰყენს ნათელს. აქ იმ ოპიათ შემთხვევასთან ვეკვს საქმე, როდესაც პორეგლდე წყაროდ ქართული კულტურის უცხოენოვანი პორტრეტი კი არ მოგველინება, არამედ ქართული ავტოპორტრეტი ახდენს აშკარა გავლენას უცხოურ ხატზე. ამ ავტოპორტრეტის შტრიხები გრიგოლ რომაქიძისთან "გველის პერანგის" შექმნამდე თითქმის ათეული წლით ადრე, 1917 წლით დათარიღებულ ცნობილ წერილში, "ლეილა", გამოიკვეთა, როცა აღმოსავლეთი საქართველოს "აკენად", ხოლო საქართველო კი აღმოსავლეთის "ნატეხად" გამოაცხადა: "ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთის ვერ დავსთმობთ." შემოთავაზებული გამოსავალი კი მეტად ქართულია: "უფჯობის იქნება მათი ქორნილი ქართული ნადიმით გადავხვადით". მოვიგინებო, რომაქიძემ "გველის პერანგში" მუდმივ ამოჩემებულ, პასუხგაუცემელ კითხვას - აზია თუ ევროპა? - გასული ორი საუკუნის განმავლობაში ეკონტრება რომ არ აძლევდა ქართველ ინტელექტუალებს, თბილისის ორსახოვნების იდეა შეაგება. ამასთანავე, ეს ქალაქი მხოლოდ ორსახოვანი კი არა, არამედ გზაჯვარედინიცაა "დასავლის ქარმა მიაგოდ იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის. {...} ათათა ქარი ეხეთქება: თითქო ქვეყნის გზა ჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია: შუაზე ვარჩა."

ეს იდეა წლების შემდეგ შესანიშნავად გამოიყენა ზურაბ ქარუმიძემ "დავნიში" ორსახოვანი თბილისის ინგლისურენოვანი პორტრეტის შექმნისას,

როცა მას იანუსის ნიღაბი მოარგო: "Tbilisi is like a kind of Janus: a face towards Asia and the other one to Europe" (ლევთაბა იანუსივით ორსახაა: მისი ერთი სახე აზიასაკენ იყურება, მეორე - ევროპასაკენ).

თბილისის ურბანული გარემოს აზიურ-ევროპული იანუსისებრი ორსახოვნობისა და მომავალდებელი ეროტოზმის გარდა, ამ ქალაქის პორტრეტის შექმნისას გადაწყვეტიდა დიონისური ზარბოშის "Rausch" ნიციშენური იდეა, რომელიც საკვანძო ცნებად იქცევა "გველის პერანგის" სიმბოლოებითა და მითოსით დატვირთული ენისათვის, რათა "მოტორტმანე" "ქალაქი ხომალდის" ექსტაზი და თრობა თვალნათელივით გახდეს: "ქალაქი ქანაობს. ტფილილი მთვარლია".

ასეთი ვენებალტიკინებელი გზებით დახატულმა თრობის სურათმა ძნელია, არ გაგვხსნოს იმავე 20-იანი წლების დასაწყისში შექმნილი მანდელშტამისეული ტექსტი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი "დამართობელია" ქართული კულტურა და ასევე იმ "ქართულ ტრადიციაზე", რუსულ რეზიზანსში რომ ასრულებს: "როდესაც ვასული საუკუნის რუსი პოეტები საქართველოზე წერდნენ, მათი ხმა ქალური სისათუთით უღერდა, ლექსები კი თითქოს იელინებოდა ნაზი და ნამიანი ატმოსფეროთი", რადგან "საქართველომ მოაჯადოვა რუსი პოეტები თავისეული ეროტიკით, ეროვნული ხასიათისათვის ჩვეული სატროფილო განწყობილებით, ლალი და უსყიანარი ზარბოშით, მელანქოლიური და მივირალი განცხრომით."

საქართველომ მხოლოდ "რუსი პოეტები" არ მოაჯადოვა. მისი დედაქალაქის მავიურ ხიბლზე წერს მაგალითად, ანდრე ჟიდი, ვინც 1936 წელს მეგობრებთან ერთად სტუმრობდა თბილისს. თავდაპირველი "უაღრესი განზიბოლან" (grandement decus) შემდეგ, ამ ქალაქმა თანდათან "მონუსხა" (séduisait de jour en jour) ისიც და მისი თანამოაზრე მხლებლებიც. სწორედ თბილისიდან იწყება მათთვის საბჭოთა კავშირში "მოგზაურების მეორე ნაწილი". ნაკლებად ხისტი, დაუძაბავი ატმოსფეროს წყალობით, ქართველი მწერლები (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე) გარეუკაცავში მოხერხდა "სახლთან უფრო უშუალო კონტაქტის დამყარება", რაც მანამდე უშედეგელი იყო საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა კუთხეში. თბილისი აღმოჩნდა ის ჯადოსნური გარემო, სადაც უფიდა და მის თანამგზავრებს "ქმნიარტრეტად აეხილათ თვალ" (à partir de Tiflis que nos yeux viraient s'ouvrir).

სწორედ ამ "ბიშნულსა" მავიურ ალაგზე აყვარათ ჯადო ოდესლაც საბჭოეთის მოტროფილე, კომუნისმის ჯადოშეპირილ მემორცხენი ინტელექტუალებს. თბილისური უჩვეულო გარემოს შუქზე, რეალურ კომუნისტურ რეჟიმთან უშუალო შეხებამ, მათ დანისწლილი თვალთ თითქოს აუხილა, რეჟიმის ნამდვილი სახე დაანახა და მასთან ყოველგვარი არტიკული ფორტის სურვილი დააკრავინა. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ჩამოყალიბებული ჟიდის ცნობილ ტექსტში "Retouches à mon Retour de l'U.R.S.S." (შესწორებები სსრკ-დან ჩემი დაბრუნებისთვის). ასე ნალვლიანად დაუსრულდა საკუთარ ილუზიებ-

ში ჩაფლულ, განხილულ ვეროპელ ინტელექტუალებს ბოლშევიზმთან ნამონყებული მსუბუქი ტრფიალი. კომუნისტური იდეებით შეზარხოშებულ მიჯნურთავებს ანდრე ჟიდე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ახლო მანძილიდან დანახულმა რეჟიმის შემზარავმა სახეც გამოაღვიზლა მასთან მოჩვენებითი სიაბჭოლობის თრობიდან.

საბჭოური ყოფის დამტრფუნელი, "უკიდურესი ერთფეროვნების" (extraordinaire uniformité) ფონზე, სადაც "ყოველი ჭვაგეს ყველას" (Chacun ressemble à tous) თბილისი და ქართველები ვერაფრით ვერ ენერებიან იმ ტოტალური "სოციალური ნივლირების" სქემაში, რაც ჟიდისთვის ასე თვალშისაცემია, ვთქვით, თუნდაც მოსკოვის ქუჩებში. ერთსახეობაზე დაყვანის საბჭოური იმპორტაცივი 30-იანი წლების საქართველოში ანდრე ჟიდისთვის ისევე ძალადაკარგულია, როგორც ომის შემდგომ 40-იანებში ჯონ სტიუარტისთვის, რომელიც დარწმუნებულია, რომ სხვა საბჭოელთაგან ასე გამორჩეული ქართველების "ინდივიდუალობასა და სულს ვერაფერი შეარყევს" (nothing can break their individuality or their spirit).

მეოცე საუკუნის ყოველ მომდევნო ათწლეულში თვალში საცემია ის ცვლილებები, რაც თბილისის აღწერისას სულ უფრო გამოკვეთილია უცხოელ ავტორთა "მოგზაურობანში". სხვადასხვა ენებზე შექმნილი გასული საუკუნის ტექსტების მაგალითთა თვალსაჩინო ხდება მეტად რთული ფენომენის თავისებურება - ათწლეულების მონაცვლეობას უცხოელ ავტორთა განწყობისა და რიტორიკის აშკარა ცვლილება მოსდევს. 10-იან-20-იანი წლების ეგზოტიკური გარემოთი ადრეული პერიოდის აღტაცება დროთა განმავლობაში, ბოლშევიკური რეჟიმის სისხლიანი ტერორის მოძალების ფონზე, სულ უფრო მინვდება და 30-40-იან წლებში სიტუაციის დამძიმებასთან ერთად, მძიმდება თბილისის ტონალობაც. 60-70-იან წლებში დასავლელი ავტორების თვალთ დანახული, ეგრეთ სოციალური, "განვითარებული სოციალიზმის" საბჭოთა ბიურკრატიული სისტემის ქართულ ყიდაზე მოწყობა-გამართვის წესზე საუბრისას კი, აშკარად ირონია სჭარბობს, რაც დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს პარტიული ნომენკლატურის მიერ ლაშის იძულებით თავს მოხვეული ოფიციალური ბანკეტიებით გაბეზრებული ავტორებისგან - პაინრის ბიოლი იქნება ეს, თუ სარტრთან ერთად თბილისში რატუნრად მყოფი სიმონ დე ბოუვარი, ვინც ვერაფრით ვერ იზიარებს 30-იანებში საქართველოში დამყოფი სარტრის მეგობრის, პოლ ნიზანის, აღფრთოვანებას თბილისის ნახევრად ორიენტალური (semi-orientale) გარემოთი. ბოუვარისთვის 60-იანი წლების სოციალისტური უსახურობის ფონზე, თბილისის აღმოსავლური უბანი, სადაც "მუსლიმები ცხოვრობენ", ყოველგვარ რომანტიკასა და ეგზოტიკას მოკლებული ქალაქის "ჯურღმულეზია" (bidonville).

საუკუნის მინურულს, ბოლო ათწლეულში კი, 90-იანი წლების გაპარტახებული თბილისის დამტრფუნელი ატმოსფეროს ზუსტი ასახვა რომ შეძ-

ლონ, უცხოენოვანი ავტორები ქალაქის სურათის შესაქმნელად გამალებით იწყებენ შესატყვისი ფერთა გაბის ძიებას, ვიდრე კლემენს აიხი "ლია შავი" (hellschwarz) ფერის პარადოქსულ ტონალობას არ მიაგნებს. ნიშანდობლივა, რომ 90-იანი წლების ჩაბნელებულ, ნახევრად ჩამოქცეული თბილისის დემურესიულ "ლია შავი" ფერის გარემოში გერმანულ-ავსტრიელი აიხისთვის განსაკუთრებით გამაღვიზანებელია ყალბი დასავლურობის სრულიად უხეირო, დუხჭირი იმიტაცია, იქნება ეს კოკა-კოლას პლასტიკატის ზიზის მომგვრელი ბოთლი, თუ ევროპულობის მდარე დონის ბუტაფორიულ (Filmkulisse) "ფასადად" აღქმული რესტორანი "შტუტგარტი".


კლემენს აიხისთვის, 90-იანი წლების თბილისი მუდმივად პასუხაუცემელ კითხვას ბადებს, თუ "სად მთავრდება ევროპა". ამ კითხვას ის აზიის სათავეების ძიებასთან მიჰყავს, რომელიც მისთვის, მართალია, "ბაქოში იწყება, მაგრამ საქართველო მაინც არაა ევროპა". დედიტ ავსტრიელი (ის იღზე აიხინგერის ვაჟი) აიხისთვის საქართველოს, ამ "მონყვლადი" (verletzliches) და "მონყლელი" (verletzt) ქვეყნის დედაქალაქი, სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა: "აღმოსავლეთი, რომელიც ვენაში იწყება, მთელი თავისი კალაპოტიდან ამოვარდნილობით, გაპარტახებულია და უკიდურესობით თბილისში მთავრდება. ამის იქეთ კი, კვლავ სრულიად სხვა რამ იწყება." მართალია, ფერთა შერყვის სკალა შეიძლება არ იცნობდეს "ლია შავს", მაგრამ ის სიმბოლურად მაინც შესანიშნავად ერგება 90-იანი წლების საქართველოს სულიერ ატმოსფეროს, მისი "ტრაგიკული მზიარულების" ემოციური სკალასა და შეგრძობნაბათა გამას. თბილისი აიხისთვის დგას იმ მიჯნაზე, სადაც ორი კულტურული სამყარო ხვდება ერთმანეთს და ისევე როგორც: "ევროპა არაა ერთიანად ღია ფერის, ხოლო აზია კი ერთიანად შავი, ისევე არაა აზია ერთიანად ღია ფერის, ხოლო ევროპა კი, ერთიანად შავი". სწორედ ამგვარ თალხ სამანად მყოფობაში მოიაზრება 90-იანი წლებში საქართველოს კულტურათა შორის საზღვრის მცველის მისია.

ასე ჩაანაცვლებს ათწლეულების განმავლობაში უხეიროების ტექსტებში ნაქმნ-ნადიდები თბილისის გამოგონებელ თვალისმომჭრელ ფერადოვნებას უჩვეულ, ნათელი შეფეროვლობის თალხი. სხვადასხვაფერად მოციმციმე შექმრდილთა მონაცვლეობის ამგვარ წარმოჩენაში აირეკლება ტექსტად ქცეული თბილისის თითქმის მთელი გასული საუკუნის ისტორია: საუკუნის დასაწყისის აღმოსავლურ-დასავლურ ყიდაზე მორთული ქალაქის ჭრელ-ჭრელი მოკაშმულობის ნაირფეროვნებას მომდევნო პერიოდში სულ უფრო უხეშად, ძალდატანებით განდევნის სოციალიზმის დამახასიათებელი უსახური ერთფეროვნება. საუკუნის მინურულს კი სამოქალაქი ომებით, თუ თავს დატყობილ ათასგვარი სხვა უბედურებით გატანჯული, განსაცდელ-გამოვლილი, ოდესღაც კაშკაშა ფერად-ფერადებში გამონყობილი თბილისი "ლია შავ" ფონზე, თალხემოსილი, ხვდება მორეთიდან მოსულ გაიშვიათებულ სტუმრებს.

აღასი აივაზიანი

# ტფილისი

თარგმნა მედეა იმერლიშვილმა




იყო ერთი გენერალი, გვარად ბარსეგოვი, თავით ფეხამდე გენერალი. ვერავინ წარმოიდგენდა უეპოლეტებოდ და ქართულით შეხავებული რუსულის გარეშე. მისი წინაპრები არავის ანაღვლებდა, მხოლოდ თავად გენერალმა, რაღაც ამოუცნობი გულის წაღლით, გადაწყვიტა გამოეკვლია თავისი წარმომავლობა... რა თქმა უნდა, ამით არ აიხსნებოდა მის ოთახში ვარდან მამიკონიანის პორტრეტების მომრავლება. არც უფიქრია, საკუთარი თავი ამ ძველისძველი მხედართმთავრის შთამომავლად წარმოედგინა - მეტისმეტად ბევრი საუკუნე ამორებდა. ბარსეგოვის ვარაუდით, მისი წინაპარი ბრძოლაში გადარჩენილი უკანასკნელი ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო, რომელიც ბრძოლის ველიდან გამოიქცა, სომხეთიდან გადმოსვენილი ტფილისში დასახლდა და სათავე დაუდო თავის საგვარეულოს. გენერალმა იცოდა, ვინ ინარჩუნებს სიცოცხლეს ბრძოლის ველზე. თვალწინ დაუდგებოდა გამოქცეული წინაპარი და ეამაყებოდა, რომ ლაჩართა შორის ულაჩრესის, უკანასკნელი გადარჩენილი ჯარისკაცის შთამომავლებში დღეს გენერალიც გამოერია. და უცნაური სიჯიუტით ცდილობდა თვალის მიდევნებას იმ გზისთვის, რომელიც მისმა გვარმა გამოიარა.

ბარსეგოვის მამა ოფიცერი გახლდათ, პაპა - რუსული არმიის პორუჩიკი ნაპოლეონის ომში, დიდი პაპი კი, უბრალო ვაჭარი... აი, მხოლოდ ეს იცოდა გენერალმა და ცდილობდა, კიდევ უფრო ღრმად ჩაეღწია თავისი წარმომავლობის ხვეულებში... ვარდან მამი-

კონიანის პორტრეტებს კი იმიტომ ხატავდა, რომ მასში მხატვარმა გაიღვიძა და, გენერლის აზრით, ესეც ერთ-ერთი ის შტრიხი იყო, რომელიც იმ ბრძოლის ველზე გადარჩენილ ჯარისკაცთან აკავშირებდა...

ნათესავები ზურგს უკან ამბობდნენ, რომ გენერალი ჭკუაზე შეიშალა. ატანილი იყო თავისი გვარის მომავალზე ფიქრით. "კიდევ გოგო რომ დაიბადოს, თავსაც აღარ ვიცოცხლებ", - უთხრა თავის ცოლს, მეოთხედ რომ დაორსულდა. და როდესაც გოგო დაიბადა, გენერალი საკუჭნაოში შეიკეტა, როგორც შედიანი ბრძოლაში, და იქიდან დამარცხებულივით გამოსვლა აღარ მოინდომა. მართლა სურდა სიკვდილი, თუ გენერლის სიტყვა მისთვის სიცოცხლეზე ძვირად ფასობდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ სიტყვა ითქვა და გენერალი საკუჭნაოდან მომაკვდავი გამოიყვანეს. გენერლის ღიმილი ერთდგოროულად ასხივებდა სინანულსაც, გამარჯვებასაც და დაბნეულობასაც. შუბლზე სისხლიანი ჭრილობა გადასხნოდა, სპილენძის ქვაბს კი მისი სისხლიანი თმები შეხმობოდა. საკუჭნაოდან გამარჯვებული კი გამოვიდა, მაგრამ სიკვდილი არ ეწადა. გულუბრყვილოდ იღიმებოდა და უცებ ყველა მიხვდა, რომ ის გენერალი კი აღარ იყო, არამედ ერთი მიამიტი ადამიანი... ასე, პირზე ღიმილით აღესრულა ჯაბანი მეომრის უკანასკნელი შთამომავალი - მამაცი გენერალი ბარსეგოვი.

ნავთლულის სადგური ვეღარ აუდიოდა აღმოსავლეთიდან ჩამოხვენილ ლტოლვილებს. ტფილისის ქუჩები და მოედნები გაივსო ადამიანებით, რომ-



ლებსაც თვალეში შიში და მუდარა ჩასდგომოდათ. მათ ზიზღით უქცევდნენ გვერდს ქალაქელები, მათი სიმღერა უცხო იყო, კილო - ჯვალოსავით უხეში.

მანთაშემა უფასო სასადლო გახსნა. მოქიფვე ყარაჩოლელები და ტფილისის ბოჰემის ნახევრად მშორი წარმომადგენლები შესანიშნავ გროვებდნენ. ადელანსაგის ფაბრიკასთან დღე და ღამე იდგა ხალხი - მზად იყვნენ ერთი ჯამი წვნიანისთვის ემუშავათ, შემდეგ იქვე, ჭოშკართან იძინებდნენ...

გენერალ ბარსეგოვის ცოლი სიკვდილისთვის ემზადებოდა - წინასწარ მოიკაზმა ჩიხტიკოპით და საწნოლიმ ჩანვა, რადგან, იცოდა, რომ კვდებოდა და იყო. იქვე, კედელთან ერთმანეთის გვერდით ჩამწერივბელოყენენ მისი ქალიშვილები - სირანა, ვარვარა, კატა და მამო.

1918 წლის მაისში გენერალ ბარსეგოვის უფროსი ქალიშვილი, სირანა დანიშნეს. მილიციონერმა ახლოდა ჯაბუამ სათავისოდ მოინიშნა ტიფლისსაგან ახლად გასწორებული, თავგადაპარსული სირანა, რომელსაც უარის თქმის ძალ-ღონეც კი არ შერჩენოდა. ერთხელ გააქინა თავი, მეორედ გააქინა, კიდევ ერთხელ გააქინა და დათანხმდა. ამის მერე შტურიალად მისი მგედი. კიდევ ერთხელ რომ გადაექინა თავი, იქნებ მისი ცხოვრება სხვაწაირადაც წასულიყო. ასე აღმოჩნდა მილიციონერ ვალოდია ჯაბუასთან ერთად ზესტაფონის მტვრიან ბაქანზე. რამდენიმე კვირაში კი, სირანას არსებობაც ვეღარ წარმოედგინა ვალოდია ჯაბუას გარეშე, მისი წითური დიდი თავის გარეშე, მისი გრძელი ბალნინი ხელევის გარეშე...

პირველივე ღამეს სიძარძუნა ვალოდია ჯაბუა განცლილი სიამოვნების სიმძაფრე - ასე ეგონა, მარტო სირანა კი არა, მასთან ერთად ესევოდა მიოელი არბია ჩამოძონძილი ლტოლვილებისა წყლიანი თვალებით, ტფილისის ქუჩებს რომ მოსდებოდა. იმ ღამეს შეიცვრა ვალოდია ჯაბუამ სირანას გვარის მიოელი ისტორია - ცრმადი, კვანსა, ქვითინი, პროსტიტი... და წამოხტა მოლოინიდან შემინებული ჯაბუა - "მე ამხელა სიყვარული არ მდომებია, რა თავში ვიხლი ამხელა სიყვარულს!" ...

ჯაბუა რამდენიმე თვეში აღესრულა ბათუმის გზაზე. სირანა ჩავიდა, საფლავი ამოთხარა, მკედარ ქმარს სახე და ხელედი დაუკონა, ზესტაფონში წამოასვენა და იქ თავიდან დაკრძალა.

ცხოვრობდა ამის შემდეგ სირანა მარტო, მალალ ხიმინჯებზე შემდგარ სახლში, რომელსაც ვარს სიმინდის ყანები ერტყა.

მაგარა უსიყვარულოდ დიდხანს ვერ გაძლებდა სირანა.

ლუკა ხუხუას მოლიმარი წყალწყალა თვალეები გაუბროდა უცხო მზერას.

ლუკა ხუხუა ფეხის წვერებზე დადიოდა, ხალხს მისი ემონოდა. მენშევიკების არმიიდან გამოქცეული ლუკა ხუხუა, დიდხანს არც ბოლშევიკებთან დარჩენილა... ისინი ერთმანეთს ესროდნენ, ტყეში ვაგვარდნილი ლუკა ხუხუა ერთსაც ესროდა და მეორესაც.

ერთხელაც, სიმინდისთვის შინიდან გამოსულმა სირანამ თავის სახლთან დინახა ლუკა ხუხუა. ნაქონი ძალღოვით გაუბროდა ლუკა ადამიანებს, რომლებიც ესროდნენ, ახლა კი სირანას კედელთან ჩაცსუქული იჯდა და სირანას უღიმოდა.

სახიდან სისხლს რომ სწმენდა, ლუკამ ხელზე

აკოცა. ჯერ კიდევ დასუსტებული ლუკა საბრლო მზერით თვალს ადევნებდა სირანას მოძრაობას. რამდენიმე დღეში ცოტა გამოკეთდა, ოთახში დადიოდა, ფართო მხრებს ათამამებდა და ლილინებდა. კიდევ რამდენიმე დღეში სახლის ბატონ-პატრონადაც იქცა. მერე გამოჩნდნენ ვილაც ადამიანები - ლუკას ამხანაგები, ორი დიდ სვეს, იმღერო და ლუკაც და სირანაც, მასთან ერთად, ტყეში წაიყვანეს.

ლუკამ სირანა წინ გაუშვა, ოთხი კაცი უკან მიჰყვებოდა. როცა ტყეში სიწუმე და სიმშვიდე დაისადგურებდა, ლუკა ხელს ხევედა სირანას, თემოზე ეხებოდა. იქვე გაიძლევიდნენ ბაზოს, მურთაზისა და ბონდოს თვალეები.

მიდიოდნენ ტყე-ტყე, გადადიოდნენ ბუნვის ხილებზე, ქურდი და ყაჩაღი ლუკას ურუმარი ნაბიჯები ხალხს შოშის ზარს სვემდა.

კაცები სირანას პირველი ტყვიისთვის იმეტებდნენ. სირანა კი, ბუნდოვი იყო, რომ თათიდან ფეხებამდე შეიარაღებული ოთხი კაცი, ფრთხილი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა და საფრთხის შემთხვევაში, ისინი სირანას უნდა გაეფრთხილებინა. ეს საფრთხე სირანასთვის ბედნიერება იყო, მისი სიყვარულის ხელნერილი. ზოგჯერ, რომ გამოცოცხლებოდა, პატარა გოგოს სიმკვირცხლით გაიქცევდა, აედევნებოდნენ სასაცილო ყაჩაღებიც - ლუკა, ბაზო, მურთაზი და ბონდი. ერთხელ იხუმრა - გაშუმდა, მურთაზი თითი მიიტანა - "სუ", - ისინიც ადგლოდ გაქვავდნენ. სირანამ გადაიკისკისა. ლუკა განრისხდა და სირანას ერთი მაგარი უთავისა. ბაზო განზე გაღვა, ქვაზე წამოჯდა. ეწყინა სირანას, გაბრაზდა, მერე დაფიქრდა და მათ მიშე გაეციოდა. ლუკამ გაულიბა, აპაკა და სირანამაც აპაკა.

ახლომხალი სოფლების რამდენიმე აქტივისტმა, რამდენიმე ათვისტმა და რამდენიმე ლიკებულმა, ჩეკას ხელმძღვანელ იაკინთე გაბლის მეთაურობით, მალე შეიპყრა სასაცილო მანანალები - ლუკა, ბაზო, მურთაზი და ბონდი და მათთან ერთად, სირანაც. და დაუწყეს სოფელ-სოფელ ტარება, სხვებისთვის ჭკუს სასწავლებლად. დადიოდნენ ნალიკ-ნალიკ, ფეხშიშვლები, სასაცილო ყაჩაღები, სოფლის მოედნებზე ერთმანეთს ეკვროდნენ.

და წავიდა სირანა, დაიკარგა იმის კვალი პროვინციების სატელელოების კანცელარიების მტვრიან საქალაქელებში...

გენერალ ბარსეგოვის ოჯახში ახლა მისი მეორე ქალიშვილის, ვარვარას ბედის გადასწყვეტად შეიკრიბნენ. მეკრემლთა შერის არ ყოფილა გენერალის ნათესავები. იქ გახლდნენ ერთი რუსი ოფიცერი, კაი ხნის წინ წამოსული ჯაროდაც, სვამდა და ტიტარაზე მღეროდა, "დებურტირების" ბაზრის თაღლითები, ვაგზლის ქურდები პაშა და ჩორნა და ნახშირით მოვაჭრე შოი კუმისიდან...

ვარვარა ტახტზე იჯდა და იცდიდა. სუფრაზე ენყო თევშები გენერალ ბარსეგოვის პორტრეტებით და დანა-ჩანგალი გენერლის გეხობით.

გიორგიმ შეხვდა ვარვარას გათქვირებულ ძუძუებს, გრძელ კაპაში გამოყვანილ მის თემოებს და პირი გამოშურა. მერე მოყვა პარიზულ ცდუნებებზე, "გეორგიჯანოვის" ქალწულთვის ბედზე, ვენერიულ დაავადებებზე, მერე დაიკრიფა გულხედი და თქვა, ვარვარა მამა პალეს მივეგვართო.

ჩასვეს ვარვარა ეტლში, აქეთ-იქით ამოუსხდნენ



და აუწყებენ ზემოთ, მონასტრისკენ.  
 მონასტერში ვარვარას დაკავება იოლი არ იყო. სოფელი სახეც იყო ჯარისკაცებით. ვარვარამდე აღწევდა მათი ხმები, და მისი ტანი, ლამის იყო, აფეთქებულიყო. ესმოდა ციხეების ხეივანი, ნანწყვეტ-ნანწყვეტი ჯარისკაცული გინებები... და ერთხელაც, ჭკუდაკარგულმა, შუმიძირი მონაზვნის კაბა, და ყველა წესის და რიგის საწინააღმდეგოდ, თავისი აცხაბხებული, თეთრი და გავარვარებული სხეულით, ერთ უხუბ პორუჩიკს ჩაბარდა. მას შემდეგ ვარვარა საქართველოში აღარ უნახავთ.

გენერალ ბარსეგოვის მესამე ქალიშვილი - კატო, სამმა კინტომ არღნიანი ფაფტონით მიიტაცა. მოიტაცეს თუ თავად გაჰყვა, ღმერთმა იცის.

ტფილისი სულს ლავავდა - მხოლოდ სარდაფის დუქნით შემორჩა ხალხი ტრადიციული ტფილისური სამოსით. ვიღაცამ შემოინახა შარავლი, სხვამ - ტფილისური ფარგონი, კიდევ სხვამ - ტფილისური ქუდიც...

მორჩა, გაქრა ტფილისი... მოედინებუ სიტყვით გამოდიოდნენ, არღნებზეც კი "მარსელიეზას" ამღერებდნენ.

კატო "თეთრ დუქანში" მიიყვანეს. კინტო გრიმა სახოლოში, გახურებულ ბოდაში უყევროდა ტფილისზე, რომელიც ქრებოდა, კინტოებზე - ტფილისელ რაინდებზე, კატო კი მკერდს უკოცინდა, მისთვის სამყარო მარადიული იყო და ყველაფრის დასაბამი და დასასრული აქ ეკულებოდა. გრიმა ტროდა, ოხრავდა, ლოგინს ღვინით აღბობდა. მერე ტფილისს გაემართა, ხოჯივანქზე, თავის პაპებთან, სულის დასამშვიდებლად... კატო კი, დარდსა და სასოწარკვეთაში, ერთმა, ცქციტთვალა, ნახევრად ფრანგმა მუღერმა იპოვა, ლეკვივით მოეფერა, დაუყვავა და ბათუმში წაიყვანა.

და ჩაიკარგა კატოს ხმა ინგლისზე, თურქ, ფრანგ მეფეებზე და გემების მღელვარე გუგუნში, დაიკარგა სამყაროში კატოს ხმა, რომელსაც სურდა ჰყვარებოდა და შექმლო მთელი ხმით ეყვირა თავის სიყვარულზე...

1955 წელს თბილისში მაგრად განვიმდა, რომ ვადაილო, სახურავებიდან კიდევ კია ხანს მონანქკარებდა წყალი და მიიკვლევდა გზას მინისკენ. ხარფუხის მოკირწყლულ ქუჩებში, სურბ გეორგას, სიონის, სინაგოგის ეზოებში, ვიწრო და დაკლაკნილ ქუჩაბანდებში მიიკვლევდა წყალი გზას და ჩაედინებოდა მტკვარში.

- ბარსეგოვა! - ყვიროს ვიღაც ელამი, გაუპარსავი კაცი.

მოხუცი მაშო, გენერალ ბარსეგოვის უმცროსი ქალიშვილი, ფანჯრის რაფას ჩამოყრდნობა და ნანკომარზე მზეს ეფიცებდა. სახეზე მუტ უთამაშებს. დიდიადრო სახეზე თმას იპუტავს.

- წერილია მამოსთვის!..  
 - უყურე ერთი, წერილებსაც რომ იღებს, - ხუმრობს ბაგო.

- ნეტა ვინ უნდა მისწეროს მაგ უბედურს წერილებში? ცხველებში არავინ ჰყვარებია... დუნიაზე არავინ ჰყავს. დები იყვნენ, თავისი და მისი ნილი სიყვარულიც თან წაიღეს...

მამოც გააკვივრა თავისი გვარის გაგონებად. ეზომ გამოივდა, წერილს ხელში ატრიალებს. ებრაელი ეფიმი და ორიც მრეცხავი ქალი გვერდში ამოუღ-

გნენ, წერილი გამოართვეს და შეუდგნენ ხმაშიაღა კითხვას: "მიიღე ჩემი ჭაბუკი გულის მხურვალე სალაში, ჩემი ძვირფასო და დაუფინყარო, ერთადერთი ბებია! როგორც იქნა, გიპოვდა და ახლა შემოიძლია ვთქვა, რომ მკვც კაცი ვარ, ველარავინ იტყვის, რომ დედამისის ზურგზე არავინ მაბადია... გენერალ ბარსეგოვის ქალიშვილის, სირანა შვილიშვილი ვარ, გენო ჭკადუა. დიდხანს ვეძებდი ნათესავებს. მამა დიდი ხნის წინ მომიკვდა. არ იფიქროთ, რომ სულ მარტო ვარ, მთელი სამტრედიო მიცნობს, მაგრამ ნათესავი მაინც სხვაა. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილი ვარ. ისევ შევიყრებით, ისევ ერთად ვიქნებით გენერალ ბარსეგოვის ოჯახში. არ დალონდეთ, ძვირფასო ბებია, მაგრამ ბედს ჩემთვის თავზე ხელი არ გადაუხვამს. არ იფიქროთ, დანხარებას ვითხოვდე. ორთაქალის ციხეში ვზვიარ. ერთი თვის წინ გადმომიყვანეს დიდი ჭყონიდან. თოთხმეტ მაისს გამასამართლებენ. თუ ვინმე თავდებად დამიდგება, გამათავისუფლებენ როგორც არასრულწლოვანს. შენი შვილიშვილი გენო ჭკადუა".

იმ გაუპარავ კაცს ჯი წერილი ციხიდან მოუტანა. ყოველი სტრიქონის ნაკითხვის მერე თავს აქნევდა. მამომ სახლში შეიყვანა, არაკი დაუხსა, წინაკის მწილით და ლობითი გაუმასპინძლდა.

თან ფიქრობდა, ნეტა ვინ არის, ან რატომ ჭკადუა, ან რატომ ციხეში. მერე იფიქრა, სამყარო დიდი, რას გაუგებო... თუ მილიციონერ ვალოდიას გოგო გაუწუნდა, ის კი ცოლად გაჰყვა ვიღაცას... რა არის ამაში საკვირველი. და მამო გამოკოცხლდა. სირანას შვილიშვილი, მისი სისხლი და ხორცი. თვითონ არაფერი გაანდა - არც სიყვარული, არც შვილები, მარტო ბაყეშური ცხოვრება...

თოთხმეტ მაისს მამო, ეფიმი და ბეგო სასამართლოსკენ გაეშურნენ. როგორც კი შეაღეს დარბაზის კარი, სიცილი შემოესმათ, სასამართლო სხდომა მზიარდად მიმდინარეობდა. სიტყვას წარმოთქვამდა დამცველი. მალაღმა ნითურმა ბიჭმა მამოსკენ მოიხედა, თვალის ჩაუკრა და გაუღიმა. ეს არისო, გაიფიქრა მამომ. ბიჭმა კი, ხელით ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო.


"არა უშვავ, ნუ შეუნუხდები", - ხელი გაიქინა მამომ.

"აქ უკეთესიაო", - შესტებით ანიშნებდა ყმანვილი.

"არაფერია, არაფერო", მამო აქედან ამვიდებდა, აქაც კარგად მოეთავსდებო. ამჯერად, გენო ჭკადუამ, რომელიც ერთხელ ზრდილობიანი ახალგაზრდა აღმოჩნდა, გულზე მუღარით დაიკრივდა ხელები და მამოს კიდევ ერთხელ სთხოვა, მასთან გადამჯდარიყო. ეფიმიმ და ბეგოსთან ერთად გაიკვივლა გზა მამომ სასამართლოს დარბაზში და მიხვდა, რომ მისი შვილიშვილი ბრალდებულის სკამზე იჯდა. მზიარული სხდომა იყო. ახლა უკვე მოსამართლე ლაპარაკობდა - ხალისიანად. მკუთოდ და ენამოსწრებულად. თან ნელ-ნელა უახლოვდებოდა ბრალდებულს და ვერც კი შენიშნა, რომ ბრალდებულის სკამზე ჩამოვარდა. მერე სიტყვა მისცეს ერთ ბრალდებულს, ვიღაც მექრთამეს. ისიც ადგა და ლაპარაკ-ლაპარაკში მოსამართლის სავარძელს მიუახლოვდა და მისი ადგილი დაიკავა. ასე საუბრობდნენ, ერთი კითხვებს სვამდა, მეორე მასუხობდა.

როცა დაილაღნენ ლაპარაკით და ყველაფერი





გაირკვა და მოსამართლეც და ბრალდებულიც კმაცოფილები დარჩნენ, დადგა გენო ჭკადუას ჯერი. იოლი საქმე იყო - წერილი ქურდობა, ბრალდებული - არასრულწლოვანი. თავდებდა უდგებოდა სამი ადამიანი - ეფიმი, ბეგო და მამო. და გენოსაც მეურვედ მამო დაუნიშნეს.

რამდენიმე თვის თავზე გენერალ ბარსეგოვის კიდევ ერთი შვილიშვილი გამოჩნდა. მამოს მეზობელმა, მკითხავმა ევამ, იმდენი იმარჩილა, სომხეთის ერთ-ერთ საავადმყოფოში გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილი ავეტიკა აღმოჩინა. ავეტიკამ ქრისტე იხილა და საავადმყოფოში უკრეს თავი. კარგი ბიჭი იყო, პიონერი, მერე კომკავშირელი და კოლმეურნეობის ფეხბურთის გუნდის წევრიც კი. მაგრამ ერთ დამესაც, კარი გაიღო და ოთახში იესო ქრისტე შემოვიდა. ამის მერე ავეტიკას საქმე უკუღმა დატრიალდა. კლინიკის ექიმი გაბრაზდა და ბიჭს ქრისტეს ვარეგნობის აღწერა მოსთხოვა. ავეტიკამაც ისე აღწერა, როგორც სხვადასხვა ნახატზე ენახა. ექიმს კიდევ უფრო გაბრაზდა და უთხრა, აი, სხვანაირი რომ დაგენახა, ისეთი, როგორსაც არავინ იცნობს, დაგიჯერებდიო.

მამო ახლა ავეტიკას სანახავად გაემგზავრა.

ტფილისის ვაგზის უკაცრიელ ბოლოში გენო ჭკადუა გენერალ ბარსეგოვის მეორე შვილიშვილს ელოდა. ქალების მუხლებისა და უკანალების თვალიერებით გართულს მაინცდამაინც არ აფიქრებდა, როგორ მოახერხა ამ შერეკილმა ქრისტეს დანახვა. ბაქანს აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა ძველი, მოხანხალებული შემადგენლობა. გაჩერდა, ამოიკნენსა, დაიღრჭილა. გენომ მატარებელს ჩაურბინა და ერთ-ერთი ბოლო ვაგონის კარში მხრებში მოხრილი მამო დანახა. მისკენ გაემართა და მერე ერთ ადგილზე გაშემდა დაბნეული ღიმილით, მამოსთან ერთად დანიხა წვეროსანი კაცი გაცივებული თვალებით. მამომ ერთი გადახედა თავის მეგზურს და რის ვაივავლახით ჩამოვიდა კიბიდან. დაბერებულიყო, ფეხებს ძლივს ადგამდა. კონდუქტორმა ხელი მიაშველა. ბაქანზე ჩამოსვლისას კაბის კალთა კიბის საფეხურს გამოედო და მამოს დამჭნარი და ბებერი ფეხები გამოუჩნდა. როგორც კი მიწაზე ფეხი დადგა, წვეროსანი შვილიშვილისკენ მიტრიალდა და ხელები ისე გაიშვირა, თითქოს მატარა ბავშვი უნდა ჩაეკრა გულში. გენო ჭკადუამ ავეტიკას გაუღიმა.

მოუყვებოდნენ ბაქსნს მამო და გენერალ ბარსეგოვის ორი შვილიშვილი.

გაზრდილი ხარჯისათვის თავი რომ გაერთმიათ, მამოს მზესუმზირას გაყიდვა ურჩიეს და ასანავლეს, ეს როგორ გაეკეთებინა. მამოც მიდიოდა "დეზერტირობში", იქ გლეხებისგან ყიდულობდა მზესუმზირას, ხალავდა, ტომსიკით კარის ზღურბლთან დებდა და პატარა ჭიქებით ყიდდა.

ჩუღურეთის ვინორი, დაკლავნილ და ჩახლართულ ქურეზში ზოგჯერ მზესვც უჭირს გზის გაგნება. მთავარ ქუჩაზე გამოასახველად ჯერ აღმართს უნდა ამოჰყოლოდნენ, მერე ისევ დამშვებოლიყვინეს და გზად ტფილისის ეზოები გამოეგონათ. ტფილისის ეზო არ მოუწყვიათ - ტფილისის ეზო ილუზიონისტებმა გამოიგონეს, მერე გულუხვმა ყარაოლილებმა ჩიხირთით და ბულღამით შექმანეს, ღვინო მოპაკურეს და სურნელოვანი ტარბუნა მოაბლინეს... ტფილისური ეზო, როგორც ძველისძველი აზრი, ჩუმი და მშვიდი - აივნებზე ხალიჩები, ეზოს შუაგულში - მოჩუხჩუხე ონკანი...

ამ ეზოებმა თითქოს დაბადეს ერთმანეთი - დიდები და მომცროები - ყველა ერთი ჯურის, ერთ თარგზე გამოჭრილი... ძველისძველ ოთახებში კიდევ ცოცხლობს საუკუნის საუბრები, სიტყვები ერთგულდებსა და ღირსებაზე, ნათქვამი ათასი წლის წინ, კვება, ოცნებები, სიკვდილისწინა ამოხვარა, კოცნის შარიშური... ღმერთთან გაბასება, წმინდა და ცოდვილი სურვილები, ჩუმი, შეკავებული ქვითინი. საღამოობით ეს ხმები მოეფინება ეზოს, და ნარეცხავს წყალი მოშვებული ონკანიდან, გაისმება ჩურჩული და ეზოც კიდევ ერთხელ გაცოცხლდება... ერთ-ერთი ასეთი ეზო წინ ვღებდა თაღს კაბაში გახვეული მამო, ლოყაზე თიანე ხალით, და ყიდის მოხალულ მზესუმზირას...

მოსულოდნელად შევიდა, კარი ღია იყო.

- გამარჯობა! - თქვა და გაიღმა. ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, თმა მუბლზე დამაზად ჩამოევარცნა. სახელოებიდან მოუჩანდა გამხდარი, თეთრი ხელები.

- გამარჯობა! - გაიმეორა - ჩემთან არავინ მოდის. სხვებს აკითხავენ მეგობრები, გოგოები... მაგრამ ჩემთან არავინ მოსულა. სულ ველოდი, მაგრამ არავინ გამოჩენილა... თუ ვინმე მაინც შემოიხედავდა, წყლის და ნაგვის გადასახადზე... თმა შევიჭერი, მიიწვრიდი, მოღურად გამოვწყვე, მაინც არავინ მოსულა. არ ვიცი, რატომ. აღბათ ლამაზი არა ვარ...

ბოლო სიტყვებზე გენომ ჩაიფიქურა. "აღბათ" სასაცილოდ მოუჩენა. ის, რომ ლამაზი არ იყო, მეტისმეტად ცხადი გახლდათ და თან რაღაცნაირად, უჩვეულოც - ძალაუნებურად სიცილს მოგვჩინათ. არიან ადამიანები, არცთუ ლამაზები, მაგრამ ძლიერები, მონივნების თუ არა, პატივისცემის გამომწვევები, ზოგჯერ შიშისაც. ეს კი სასაცილო იყო.

- შვილი, სტუმარი შემოიპატიე... - თქვა მამომ. - დაბრძანდით.

ავეტიკამ სკამი დაუთმო. სტუმარი დაჯდა, არ იცის, ხელებს რა უყოს, სად წაიღოს. ხან ვიბეჭდი ჩაინყობს, ხან მაგადაზე ჩამოაწყობს, მერე მუხლებზე ჩამოკარფეს, თითქოს საკუთარ ხელებში გაბლანდულიყო. - თქვენ გენერალ ბარსეგოვის... მიმართა მამოს და გაჩუმდა. უყურებდა მოკუზულ მამოს, მის ჭღარას და არ იცოდა, "ქალიშვილად" როგორ მო-

ესხენიებინა. - დიას, ქალიშვილი, - მიეზნა მამომ, - კაცმა გაიღმა, წამონითლდა, გაუხარდა, მერე თავი მაგადაზე ჩამოლო, ხელებში ჩამალა და ატორდა. გაჩუმდნენ, აცალეს, მაგრამ აღარ გაჩერდა. გენომ დამშვიდება სცადა. - ჩემთან არავინ დადის... სულ მოლოდინში ვარ, მაგრამ არავინ მოდის... ყველასთან ვილაყ მინდის, ჩემთან კი არავინ.

ახლა ავეტიკამ დაუყვავა, - დამშვიდდით, - ეუბნება.

დაბნეულები უყურებენ ერთმანეთს. კაცმა შეწყვიტა ტირილი, მაგრამ მაგიდიდან თავი არ აუღია. მერე, როგორც იქნა, ჩამოიღო თავიდან ხელი და დასიხული თვალის აქეთ-იქით მიმოხედა. - ჩემთან არავინ მოდის... და ვიდრე ისევ თავზე შემოიხვევდა, გნო ხელზე სწვდა. - მე გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილი ვარ, - როგორც იქნა, ამითქვა.

გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს.

მამო მოუახლოვდა, დააცქერდა და ჰკითხა:

- ვისი ხარ?
  - არ ვიცი.
  - რა გქვია და რა ვვარი ხარ?
  - კრივიციკო... ოუზუ... - ვარვარასი ყოფილა... - თქვა მამომ და გენერალ ბარსეგოვის წვრილხელებმა შვილიშვილი გულში ჩაიკრა.
- ძველი სამოვარი წყლით აავსეს, ნახშირი დაამატეს და დასიხდნენ იუზუვ კრივიციკის ამბის მოსასმენად.

ასე მოიყარა თავი მამოსთან რვა კაცმა. ერთს ბერძნული სახელიც კი ჰქონდა - გრამატიკოპოლო ვინ იყო და სადან, არავინ იცოდა. მხიარული კაცი იყო, მომეტებულად მხიარულიც კი. სასაცილო ოჯახი შეიყარა - გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილები...

მამო ბედნიერი და კმაყოფილი იყო. საქმე გამოუნდა - ბაზარში დადიოდა, სარეცხს რეცხავდა, მზესუმზირას ყიდდა და გენერლის შვილიშვილებზე ფიქრობდა.

თბილისში სამი ვაგ ზალია.

თუკი უსახკაროს ექიმებს დაინახავენ, ურჩევენ, გენერალ ბარსეგოვის ქალიშვილს მიაკითხო. - ძალიან კეთილია, - ეუბნებიან, - შევიფარებს, და თან, იქნებ შენც მისი შვილიშვილი იყო? ჯერ გაეხუმრებიან, მერე კი სერიოზულიც - ნამდვილად მისი შვილიშვილი ხარ, წყალი არ გაუვა...




თუ კაცს მზესუმზირა და ცოტა უცნაური თვლები აქვს, მინავანი ხმა კარნახობს - "შვილიშვილია თუ არა, გენერლისა კი რაღაც მოსდგამს... ნამდვილად მოსდგამს..." გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები მთელ ქვეყანას მოედევნენ...

მამო ყველა შემხვედრს გაუფაციცებული უყურებს. რამდენი დამაინი, მისი შვილიშვილებივით, დაქასქუსლა, ცხრა მთას იქით გადაკარგულა... ყველა ადამიანი ახლობელი გამხდარა მამოსათვის.

ვინმე ხუმრობით რომ ეტყვის, გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილი ვარო, მამო იფურებს. ოღონდ იფურებს იმიტომ კი არა, რომ ხუმრობას ვერ მიმხვდება, იმიტომ, რომ ამ ადამიანმა თავდაც არ იცის, რომ მართლაც გენერალ ბარსეგოვის შვილიშვილია... ან რაღაცნაირი კავშირი აქვს მასთან... ამის მამოს ძალიან სჯერა.

მალხაზ ხარბელია

# გიგი სულაკაური თბილისი, ჩემი სოფელი



ლევან ხერხეულიძის ფოტოგრაფია

ამ სტატიის გმირი კიდევ ერთი მოხეტიალეა, ქალაქელი ყარობი, გზებისა და ჯურღმულების მცოდნე გიგი სულაკაური, პოეტი, ვინც თბილისის ტექსტი, პირველ რიგში, საკუთარ გამოცდილებას და პირად გეოგრაფიას დაუკავშირა. კიდევ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ქართულ ლიტერატურას სხვა რამდენიმე ქალაქელი მოხეტიალემაც ჰყავს, მაგ. შოთა ჩანტლაძე. ადრე მასზეც მქონდა წერილი. "ბალი და ხეტიალი" - ასე ერქვა, თუმცა გიგიზე წერისას მინდა სრულიად გავთავისუფლდე იმ ტექსტიკიდან და სხვა ხეტიალი, სხვა კავშირები დავინახო.

გიგიც დახეტიალობს, ხეტიალი და დანარჩენი "სიიფიები", როგორც წინას მძიმეწამი წერს, მასთანაც მთავარია. მაგრამ ეს მისი, გიგის სახეტიალო და საწერია. ზოგი მამის, არჩილ სულაკაურის ტექსტებსაც დაუკავშირებს მის ნაწერს, თავად გიგიც არაერთხელ ასხენებს მას, არაერთი პარალელის გავლებაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ცდუნებას გავუძლებ და მხოლოდ გიგიზე დავწერ, რადგან არჩილ სულაკაურზე და მის ქალაქზე ცალკე სტატია მაქვს ჩაფიქრებული. ნუ გავიკვირდებათ, თუკი მამა აქ აწრდილივით გაივლებს ერთი-ორჯერ.

გიგის ქალაქური ტექსტები, პირველ რიგში, მოძრაობის ტექსტებია. შეუძლებელია იყო მოხეტიალე და ადგილზე იდგე, არ იძვროდე. გიგი არაა ძეგლების პოეტი, ქალაქური მონუმენტურობის მეზობლები, მასთან, უპირველეს ყოვლისა, გადაადგილებას, მიზნისკენ სვლას, ზანტ ან მკვეთრ მოძრაობებს ვხედავთ და შესაბამისი ზმნებიც ძალზე ხშირია. თავად ქალაქიც მოძრაობს, მასში, ბებერ ქალაქში კი სიცოცხლე მოძრაობს და მასთან ერთად პოეტი სადღაც მიემართება, იგი გზას ადგას, მას გზა უჭირავს, "როგორც ბებუთი". იგი გვეშვებობება და გვეუბნება, რომ ნავიდა:

*"ახლა ნება მაქვს, რომ იქ მივიდე  
სადაც უკეთესს ანდა უარესს  
სამყაროს მოგქსოვ ობობასავით და  
იქ მარტო ვიმოძრავებ"*

მას სიარულისას ხან მოუხარია (მოუხარია), ხანაც წელი ნაბიჯით დადის, დაეხეტება მოჩვენებითი გულგრილობით. იგი გამოქცეული კატორღელიცაა, "საკუთარი ნაბიჯისა და სუნთქვის სიხშირეს" აყოლილი და სახლიდან წამსვლელიც, რომელსაც ყველა ერთად-ერთი რეჩიტატივი ჩაესმის:

“იბარგეთ, თქვენი წასვლის უამრავი დამდგარა...” იგი დაიბნა, ქუჩას მიუყვება, მისი მინა ასფალტია, რომელზეც დაბაიჯებს, დაწანალებს, ხშირად სრულიად ავტომატურადაც:

“არა მაქვს იმის დრო და თავი, რომ ვიფიქრო სად ჩაუხუხუო, რომელი ქუჩა გადავჭრა ან რომელ გუბეს გადავაბიჯო. მე ჩემსას ვფიქრო, ჩემი სხეული თავისთვის მიდის, ჯერჯერობით, ნაცნობ ტრასებზე უმეცდომოდ, კარგად მატარებს”.

იგი შეიძლება თბილისში მოულოდნელად შემოვიდეს ყველა კარიდან.

მოდრაობის კლასიკური ქალაქური ტექსტია “დევნა”, სადაც პოეტს ვილაც უდგას კვალში: “ვიცი, რომ კვალში ჩამიდგები, / მდევ და ბოლომდე დამედევნები და / სივრცეებშიც თან გამოვყვები... / მაგრამ არასდროს არ დაგნებდები, - / შენ წინ არასდროს დავეციედი და / შენც ვერასდროს ვერ მომიხლოვები... / და მე რე ჩემზე გულადრენილი, / გაჯავრებული / (რახან გავრბივარ, / არ გიჩერდები. არ გეჩორები და / სიცოცხლესაც არ გვედრები) / აკუთრო თავს / (შენ ხომ შევეცი ხარ, ნაირ-ნაირი) / უხმოდ, ბოლოით ჩაეციები...” და ის “მდევარი” ამ ჩაძიების შემდეგ ხედავს, თუ რა მიძიმე გზებით უღვია მის “ნადირს”, რათა თვალი აეხვია მისთვის, ბილიკები გადახვალარათა, გაქცეულიყო, ხელიდან დასხლტომოდა.

ბოლოს, ამდენი ხეტიალისა და წანწალის შემდეგ, შეიძლება “სამშობლოში” შემოვიდეს პროტაგონისტი, “ნათრევი და მოწყურებული”. ხეტიალის ნაწილია ასეთი მოტივიც, “უცნობმა ქალმა შემოიფარა, / დამამშვიდა და დამაპურა - / ძუძუ მაწოვა... და მე მოვკაიო”.

აი ძირითადი ზმნები: მივარდევ, გადავიყრები, წავიდე, გადავიარე, მივალ, გავივლი, მელოდება, მივემართები, გამოვევიდო, “მივებარბაცებ, ზოჯერ შევედგები”. მასთან ხან მიეშურებიან, მიემართებიან (როცა მიზანი არსებობს), ხანაც უაზროდ დადიან. ხშირად გვხვდება მოკრე პირის ფორმებიც, მიმართვები, თხოვნები: დაგისხლტი, გაგეპარე, ჩაგივლია, შემოიყვანე, დამეკარგე, დამელუპე... ესეც ხომ მოძრაობაა, როცა ვილაცას თავიდან იზორებ, მოძრაობა “მე”-სგან - საპირისპირო მიმართულებით.

სხვაგვარი მოძრაობაც არსებობს, მოძრაობა როგორც ყოფნა თუ თანაზიარობა, გარკვეულ წრეში ტრიალი. ხომ გაგივიათ ასეთი ქალაქური გამოთქმა: “სად მოძრაობ, ვისთან მოძრაობ...”

გიგი სულაკაურიანს ცნებებიც და ადგილებიც კი მოძრაობენ, მთანწინდა გარბის, თბილისს კი მტკვარი ნაფოტივით მიატანებს. მის ერთ-ერთ მთავარ ქალაქურ ტექსტს “...გამოვდე” ჰქვია, სადაც ასეთ სტრიქონებსაც ვხვდებით: “ვაკალ თბილისში - ჩემ სოფელში, - ...”. ამ სოფელში წუთისოფელიც შეგვიძლია ვიგულისხმობთ, მთელი თანამდევნი მნიშვნელობებით.

ლექსში “ხეტიალი” მზე სიმზურვალისგან დამ-

სკადრი კეცივით ამხია ქალაქი და მუდღისაგან დადუღებულ ქალაქის ხვატში ქართან, წინასწარ შეგებებას ნატრობს პოეტი და თავს შეუძახებს: “ხეტიალით, / სულ ერთი არის: - / ქუჩის დღეები დათვლილი...”

ამდენი ხეტიალის მიუხედავად, არსებობს მისი საპირისპირო ყოფიერებაც და სივრცე, სადაც ეს ყოფიერება განიფინება. ესაა ლოგონი და ლოგონის მსხვერპლი პოეტს, ლოგონი, როგორც ლაბირინთი, სადაც შეღწევაც რთულია და იქიდან თავის დაღწევა: “იქ არც მზე არის და არც მთვარეა, / რომ გაანათოს სველი სივრცე / ერთმანეთში ჩახლართული / ლაბირინთის უპაირო დერეფნებისა...”. მეტიც, იქ არც ძილია, ესაა უადგილობა და იმის შეგრძობა, რომ იქ არ მოხვდა, სადაც უნდოდა პოეტს, “სადაც კარვ ბილიკს მიყავს ხოლმე / ადამიანი...”

### რამდენიმე ინტერტექსტი

გიგის ქალაქი/თბილისი ხანდახან იტერტექსტუალურ კავშირებსაც ამყარებს. ზოჯერ ლიად, ზოჯერ ფარულად მასში სხვა, წინამორბედი ავტორების სტრიქონებიც ამონათებენ ხოლმე, ერთი მხრივ, კლასიკური, ქალაქური ტექსტისთვის მოთხოვნილი იმპულსები, მეორე მხრივ, სრულიად სახელდახელო, მაგრამ ზუსტი ბმები. კრებულ “ხეტიალი” (საქართველოს ბიოგრაფიული ცენტრი, 2011) პირველივე ლექსში გვხვდება სტრიქონები, “ეს ყოირანი კი ველარ პოულობს / თავის მადათოვს...”, ალუზიას გალაკტიონის ცნობილ ლექსზე “თეთრი პელიკანი”.

გალაკტიონთან დაკავშირებული ქალაქური ინტერტექსტიც კიდევ არაერთხელ გვხვდება გიგი სულაკაურთან. მაგ. ლექსში “ივლისი-Horror”, აქ ზემოთ დამონებული სიტუაცია გვხვდება, სადაც მთანწინდა გარბის, თავად ლექსი კი მთანწინდის ქედზე დაკვირვებით იწყება, რომელიც ოდნავ ქანაობს. მთანწინდა გიგის ბავშვობისდროინდელი უბანია, საიდანაც მისი ოჯახი საბურთალოზე გადავიდა საცხოვრებლად და ლექსშიც საბურთალოზე გადავიდა მზურა პოეტს: “სმორტის სასახლის აუზიდან / ნელა, ზმორებით ამოდან / გადადილი, გატანჯული / ლოთები და მანიაკები - / მითელ ღამე წყლის ქვეშ ეძინათ”. მათ ზაფხულის მზე ესალმებოდა და ამას მოსდევს გალაკტიონის ცნობილი სტრიქონები ლექსიდან “შში”: “მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია...”. გიგი სულაკაური გალაკტიონის სიტყვებს მყისიერად ადასტურებს: “მართლდება ჩემი დიდი ხნის ეჭვი: - / ჩავა, ამოვა, მართლა შავია!...”. იქვე გვხვდებიან ტოქსიკომანი ბავშვებიც, რომლებიც “იზღაზნებიან, იქექებიან, / პირველ სივარეტს ეწვიან...”. უბინაო ბავშვებიც გალაკტიონის კიდევ ერთი მოტივი, მისი ფოტოც კი არსებობს, გამურულ უბინაო ბავშვებთან გადაღებული. ასევე გაახსენებთ მის ლექსებს, “უბინაო ბავშვები”, “ბავშვები კაფეში” და სხვ. უბინაო ბავშვები და გალაკტიონის ქალაქური სიმბოლო, ყოირანი, ერთად გვხვდება მის ლექსში “ყოირანის ცრემლები”. გალაკტიონის ქუჩის დიდრონი თვალებიც ხანდახან ბავშვის თვა-



ლებია. და, როგორც წესი, ბავშვები ბალებს უკავშირდება. ბალის კონტექსტშია მოხსენიებული. გივისთანაც ბავშვების სხეულების შემდეგ, მაშინვე ვკითხულობთ: "ნელ-ნელა ყველა იკრიბება / დოლიძის ბაღში".

ივლისი გალაკტიონთან თბილისს ერიობება, ხანაც ივლისსხმება. ასეა გივისთანაც: "წვიმა ივლისის / ივლის ასე / გრილ ნიაღვრებად...".

ლექსში Foxtrot ქალაქური თოვლი გვხვდება, ლურჯიც, იისფერიც "მაინც რატომღაც მიხაროდა / წყალწყალა თოვლი - / ალბათ მახსოვდა, / რომ იმ წიგნში ჩაკეტული ბიჭების დროს / თოვლი იყო ცისფერი და გენიალური, / იყო ლურჯიც, იისფერიც, / ირობიცა და ალმაცერიც. / მტირალა კლდესაც მტკნარი ცრემლი / ჯადოსნურად ეყინებოდა...". "წიგნში ჩაკეტული ბიჭები" ქართველი რომანტიკოსები არი-

ან, უფრო ზუსტად კი ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მემკვიდრე, გალაკტიონ ტაბიძე, ვისი კიდევ ერთი მოტივიც გვხვდება ლექსში "ნახატი": "არ იფიქრო, ჩემო გოგონა, / "ერთ მშვენიერ დღეს" / სხვა აწმყოში, სხვა დროს ან / ვანსხვავებულმა გამოიღვიძო". ეს სხვა დროში გამოიღვიძებაც ბავშვებს უკავშირდება გალაკტიონთან. სხვათა შორის, გიგი სულაკაურის ლექსს, "თბილისი" ეპიგრაფი აქვს, სადაც ვკითხულობთ: "ჩვენთან გამოღვიძება თავისუფლებებში ნიშნავს ახალი გზის დასაწყისის დასასრულს დასაწყისშივე...".

გალაკტიონის ინტონაციებს და ლექსიკას ვხვდებით ლექსში "ვიდრე": "მაგრამ ჯანდაბას, / ბევრჯერ დაათოვს / წყალს და ნაპირებს / და გაუქმებულ ხეებს და / გაუქმებულ ხეების იქით / დაათოვს ცასაც...".

ბავშვები და თოვლი, გალაკტიონის სემანტიკით, კიდევ ერთხან ვვხვდები. "ძლივს შეველოეთ ეზოს / ბავშვები.../ მაგრამ ჩემში / დარჩა ძველი ნაფხურები", ასე იწყება ლექსი, ხოლო შემდეგ პოეტი "სხვადსხვა მხარეს გაეშურება" და თოვლის გამომშობას იწყებს, "რომ დილაშდვ / თქვენს ნაფხურებს / ძველი თოვლით გადავახურო". შდრ. გალაკტიონის: "სარკმილიდან ვუცქერ, თუ თეთრი თოვლი / მთა-ბარს როგორ რთავს და ათანაბრებს, / სული მძებნა მოგონებაში, / სიყმაწვილისას ვიგონებ ზღაპრებს".

ამ ზღაპრებს ჩვენ კიდევ დაგვბრუნდებით. გიგი სულაკაურს ერთი უძველესი ქალაქური ლექსი აქვს, "ვერს ჭალად უდდაკაცი", რომელიც შექსპირის "ჰამლეტის" ინტერტექსტია: "მამა მოკლეს, / ძმა აქ არ არი...". ეს სტრიქონები ცხადად განიხარტება მომდევნო ლექსში "თველია", სადაც იგი სიტყვა-სიტყვით მეორდება.

ასევე ინტერტექსტად უნდა მივიჩნიოთ მამის, არჩილ სულაკაურის აზრდილის რამდენიმე გაელვებაც მის ლექსებში. ერთ მის ქალაქურ ტექსტს მიხსიტყვები აქვს ეპიგრავად: "...მოდის, მოცელავს... სხვა არაფერი...". ლექსში წამსვლელების ფინალი კი მთლიანად მამის სახეზეა აგებული და ერთგვარ მემკვიდრეობით, გენეტიკურ ქალაქურ პოეტიკაზეცაა მიჩნობა: "მამა, / მომხედე შენი ქვეყნიდან, / გამოიწოდე დილა / ხელივით, / თორემ უკვე მთელი ღამეა / აქა ვდგავარ, - / შენ ფანჯარასთან, / ახლა უკვე ჩემ ფანჯარასთან და / კი არ ვხედავ, / ნადირის მსგავსად სხუთელი ვგრძნობ / ამ ქალაქის ნაცნობ კიდევებს, / რომელიც მუდამ იდუმალია / ისევე, / როგორც მძინარე ქალი და / რომელსაც აღბათ უკვე ვეღარ გაუმხელ, / რომ ამ დილით, / შვილის ნაცვლად / შვილის ფიტული შერჩება ხელში...".

კიდევ ერთი პირდაპირი მავალითაა ლექსი "უძღვბი შვილი", სადაც ათი ათასი უძღვბი შვილის დაბრუნების ფონზე, პროტაგონისტი პირიქით, მიდის, მიემგზავრება და ტოვებს სურვილს: "დე, იხმაუროს მამის სახლში / ჩემმა ბავშვებმა, - / ვით ნიჟარაში მოქცეულმა ოკეანებ." ბოლოსკენ ვკითხულობთ, "გზაზე დამდგარმა / მამისეულ სახლს / არ მოხედო, / ჯობს შენი კევა დაამახსოვრდეს უმცროს დაიოს, ვიდრე თვალები...". სახლს მოხედვაზე გამახსენდა, გიგი სულაკაურს, როგორც მახსოვს, ტომას ვულფის პროზაც უყვარდა.

**ქალაქის სახეები**

გიგი სულაკაურის ქალაქში, პოეზიაშიც და პროზაშიც, რეალური ადამიანები და ცხოველები მოძრაობენ. აქ ბევრი სხვადასხვა საგანია, მრავალი მოგონება და ხილვებიც კი. ამოსავალი წერტილი ქალაქის ჭყვრტისთვის, როგორც ხშირად ხდება ასეთ დროს, უსაქმურობაც შეიძლება იყოს, "შემეიერი უსაქმურობა". ერთ ლექსში ამ უსაქმურობაში მოიხაზრებს პოეტი "ყველა სიკეთისა და ოცნების გემ"-ს და შემოჰყავს თავისი ქალაქის ბინადრებიც: მკაცრი მამერი, საბედისწერი დედაცაცები, ავი მზერებით და ავი მუსაიფებით. ბავშვები, სახეები...

ბოლოს ამბობს: "მომეცი ძალა, / ყოვლისშემძლე უსაქმურობაც, / აივნიდან სივრცეებში გადავაბოჯო, / ესლა დამრჩა სანახავი და სანუგეგმო, / სხვა ყველაფერი, მგონი უკვე / ვადაფრილი მაქვს...".

აქ შესვდებით თბილისურ ტიპებს, სახელებს - "ქიორუგი", ბესო, აფონია, ტატუ-გელა ბინძოვები, სუნიახვებს, "კვირეების მატარებ სივთებზე / შარვლებზე და / გულისპირებზე...". ახსენებთ აფციანურს, რომელიც ისევ "სროკუნა", მაგრამ მათ ჭიქებს და სივრცეებს თითქოს არც მომორიბია, მათში არსებობს. გამოჩნდება მარი, გახუნებული მაიკი, "მისი სახის ყოველი ნაკვთი შემოვლილი, / გაქცეული, მოლაპარაკე". იწყება ქალაქური საუზმე, 5 კაცი, 5 ქალია, ბევრი "პრინა", ძალიან იმგითად ფილტრინი, ისიც მარისთვის. ჩხუბიც ატყდება, ერთი მეორეს ცხვირს უშობს მუშპით, შერიგება კი სპორტის ვეჯბა, სპორტის კისრებით. ქალაქის მზე უკვე აცხუნებს, ზემოდან დაჰყურებს სპორტის სასახლის რიხიდან ამოსულ ლით რინანდებს, ოთხი სის ქუჩის რინანდებს, "ფიზკულტურულ" რინანდებს, საბურთალოს კამელოტებს. იქვეა მაღაზია "მორკინალი". შემდეგ ლუდი "ბოლნისის" დრო მოდის მზე კავე "მწვანეში". მზე გადადის, გადაიმთვარე მზე, საკუთარი სიმზურავებით გაოცებული, ეზოს კუთხეში კი ჩოჩქოლია, სისხლიც იღვრება, რომელშიც ლამპიონები იხედებიან, "მართას მანქანა დაფახებია... / "საბრალო ვოვო, კიდევ კარგი, გადაჩრჩა!" / <...> ყველა ხე უკვე ჩამქრალია, გაშავებული, / მაგრამ ანთია ყველა ფანარი. / განათებულია დომინოს კლასი - ტკაცავ-ტკუცი ლუდის თანხლებით...". დგება თბილისური საქციელის დროც, როცა სადარბაზოში მძინარე ვილაც ბიჭს პოულობენ. გათიშულია, ვერ ცნობენ: "გაკვირთხათ, უფიგროებო, / ასე უნდა გადააბიჯოთ?!" ბიჭი სახლში აპყავთ, ბოლოს კი "ეზოს სიღრმეში ორი აღქაჯი / მიაწყდა მიწას, - მიაწყდა მთვარეს..", მთვარეს, რომელიც ამინმებს პოეტს, სულ დაეცა თუ ჯერ კიდევ შერჩა რამე ადამიანის.

აქვეა "კავე თბილისიც": "ნაცნობი კავე, უცნობი კევა. / ოთხკუთხა ანფისი. ბოლო ნაფხო. / შემწვარი კარტოფილი. დახრილი პროფილი. / უკაცო ქალბები. თითქმის ჩამქრალები. / უქალი კაცები. მღვრიე, ზარმაცი და. / ხმელი უცხოელი. რაღაცას მოელის. / ღვირი და ყავა. "დალი, წავა..." / ორმაგი ფარდები. "აქ გადავარდები..." / მწვანე კედლები. "შენ მე რას მთვრიები..." / ჩემი დაილო. "შენ მიდი, ალოკე..." / შევი როიალი, ბარბაცი, ბორიალი. / გვერდითაც მთვრალები. შუშის თვალებით. / გარსონი ლევონი. ქამდღვრები. / სახელოცინარი. ცხოვრება წინ არი...". დღეს ამ სტილისტიკაში არარეტი პოეტი მუშაობს, ზოგი საკმაოდ წარმატებულად და ამომწურავადაც.

ლექსში "ნიშანი" სიცხე და ქარებია ქალაქის მთავარი ნიშნები, მკვირი მტვერი, მდინარის ნაპირები, კვესი "კრიკეტი", "არაყი "ტრიუმფი", / ვაურკვეველი წარმობავლობის ამერიკული / სივრცეები, / ქალაქი თბილისი. თრიალეთის ქელი. / მთა არსენალის..." და უცხებ, ზღვა შავი. ნახსენებია კოსტავას, შრომის, საბურთალოს, გოგებაშვილის ქუჩები და ფიქრის გორა: "საქართველოში ყველა

გორა ფიქრისა”, შენიშნავს პოეტი. ქომაგი, გიგი-  
მა, გოგას ნივთა და ალაკას მერსედესი, სასტუმრო  
ივერია, და ბოლოს, კიდევ ერთხელ, მთვარე, რო-  
გორც გამოსავალი: “კიდევ რამდენჯერ დავივმუე-  
ლო, / კიდევ რამდენჯერ შევალეწო / ეს ხალვალი,  
ირინია და მარტობა? / ამ საწყალო მთვარეს, / მთვა-  
რის მეტი ხომ ამ ღამეში / აღარავინ მყავს...”.

სხვა სახელები და ტომონიმები ჩამოვთვალთ:  
ხერხეულიძეების სახლი, ვალოდას დუქანი, ბულ-  
დოგას გასტრონომი, თაღლი, ბუჯის სახლი, გიგის  
სახლი, კოსტავას და პეკინის ქუჩები, ლილის სახლი  
(ძალიან უყვარდა). მეგობრების, შეყვარებულების,  
უცნობების, ნაცნობების სახლები, აუზი, “პაილას”  
გასტრონომი, ოყიის ქუჩა, პლენანოვი, კიევის ქუ-  
ჩა, ვაგარინის მოედნის ზედა ჯორღმუხის, კარუ-  
სელის ქუჩა, რუსთაველის თეატრი, დილიძის ქუ-  
ჩის კუთხე, თბილისის ვაგზალში, ავტოკართან,  
სპარტაკოსთან სალუდში, ტრისტანას დუქანი, ელ-  
დასას სარდაფი, პირამიდა (ოღონდ ეს ზღვაზეა,  
ალბათ ბათუმში).

ზემოთ რამდენიმე სახლი ვახსენე, კონკრეტულ  
ადამიანებთან დაკავშირებული სახლები. გიგი სუ-  
ლაკაშვილი თავის მარშრუტებს ასე ადგენს, ძვირფე-  
ნი ადამიანების, მეგობრების სახლების მიხედვით.  
და საერთოდაც, მისთვის “სახლი” ერთ-ერთი უმე-  
რავალი ღირებულებაა, “სახლი” და “უბანი”. ისინი  
ამოსავალი ნერტილებიც არიან და მიზანსაც წარ-  
მოადგენენ, გადის სახლიდან, უბნიდან და მიემარ-  
თება სხვა სახლებისკენ და სხვა უბნებისკენ. ამას-  
წინათ გიგის მეუღლეს, როსულან სულაკაურს ვიზო-  
ვ რამდენიმე კითხვებზე პასუხი და ამ თემაზე ასე-  
რი რამ მომწერა. უცვლელად მოვიყვან ტექსტს:  
“სტუდენტობისას უფრო უნივერსიტეტის მიდამო-  
ებში მხვდებოდა ხოლმე. იქვე ცხოვრობდა გიგის  
უახლოესი მეგობარი ბიძინა ხერხეულიძე. მერე მე  
და გიგი საბურთალოს ქუჩაზე გადავიქცე. და მისი  
ძირითადი მარშრუტი საბურთალოს ქუჩიდან, ბაბ-  
ტრონის ქუჩის და ბუკიას ბაღის ვაკლით, კოსტა-  
ვას ქუჩამდე იყო, სადაც მისი მეგობრები და ძმა  
ცხოვრობდნენ. ბოლო წლებში ჩვენც კოსტავას ქუ-  
ჩაზე გადავიქცე და გიგი ბავშვების ადგილებს და-  
უბრუნდა: ოყიის ქუჩა, ფოკულტურის ქუჩა, ტექ-  
ნიკური უნივერსიტეტის ეზო. ხშირად ნახავდით იქ-  
ვე სახლთან მდებარე მწვანე კაფეში. არ ვიცი ასე  
ჰქვია, თუ “მწვანე კაფე” ეკვდა დარქმეულია. ძა-  
ლიან უყვარდა ეზოები: კარკლიძეზე ხერხეული-  
ძეების ეზო, კოსტავას და საბურთალოს ქუჩის ეზო-  
ები. ეზოს ყველა ბიჭი (ჩვენი შვილების ტოლები,  
ცოტა უფროსები და უმცროსებიც) მასთან მეგობ-  
რობდა. გვყავდა ძალიან “ზანზიბარი”. ეზოში ძირი-  
თადად გიგის ჩააყვავდა და მასთან ერთად მოივლი-  
და ხოლმე ახლო-მახლო ქუჩებს და ეზოებს”.

მეგობრების ეზოების ჩამოთვლა კიდევ შეიძ-  
ლება რუსულადან სულაკაურის მცირე ინტერვიუდან:  
“წითლო პარტიზანების” (იგივე ხვიჩის ქუჩა) -  
იქ ცხოვრობდა მისი ბავშვობის მეგობარი გვიმა  
მუსხელიშვილი, პეკინის და მიცკევიჩის ქუჩები (ან-  
დრო ალექსიძე, გაია თოღუა - ესენიც ბავშვობის  
მეგობრები). მისსავე ეზოში ცხოვრობდა ასევე ბავ-  
შვობიდან - ნიკა ლოლაძე. მცხეთის ქუჩა, სადაც

ბიძინა ხერხეულიძე უკვე საკუთარი ოჯახით ცხოვ-  
რობდა, მერე რუსთაველზე. შრომის ქუჩა (გოგა  
ლაჭყვიანი), ნუცუბიძის ქუჩა (მაშუკა სალუქვა-  
ძე და ნიკა მჭედლოშვილი), ისევ პეკინის ქუჩა (ვა-  
ხო მამალაძე), ბაბტრონის ქუჩა ( აქ ჩემი მშობ-  
ლები და ჩემი ძმა სოსო ტკვილიანი ცხოვრობდნენ).  
ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი იყო კაფე  
“თბილისი”. იქ ხან მამასთან ერთად დინახავდით,  
ხან მამამისთან და მის მეგობრებთან ერთად, ხანაც  
გიგის და ოტია პაპუკორიას”.

ერთგან თბილისი ნაქარი და ნაწიშიარია, მთვა-  
რე უიქვე მამად წარმოუდგებდა (ეს სწორედ ის ზე-  
მოთ დამონშებული ლექსია, რომელსაც მამის, არ-  
ჩილ სულაკაურის სტრიქონი უძღვის ეპიგრაფად)  
და მისი ვაღის გასტუმრებას სთხოვს. ისევ ჩნდება  
ლოგინი, “ლოგინის შმის ურგადალაზავა”. მამას-  
თან ერთად აუცილებლად უნდა გახსენოთ პაპაც,  
სამსონ სულაკაური, რომელიც მისი ერთი მოთხრო-  
ბის გმირიცაა. იგი გადასახლებიდან ბრუნდება და  
შემდეგ შვილიშვილს განსაკუთრებული სიყვარუ-  
ლით უყავშირდება. თავის თავსაც ხედავდა შეიძ-  
ლება მასში. პაპასთან ურთიერთობაში ჩნდება მის  
ცხოვრებაში ერთ-ერთი ერთგული ქალაქისრი ადგი-  
ლი, “მუშტაიღის ბაღი”. “ეს ადგილი მის მოგონე-  
ბებში პაპამისა, სამსონ სულაკაურს ეკუთვნოდა.  
ვადაძაპაძისთან დაბრუნებულ კაცს სახლში ორი  
რძალი და სამი შვილიშვილი დახვდა. გაუცხოებუ-  
ლი ადამიანი როგორც ჩანს თავსწაფარის ბავშვ-  
ების სამყაროში ეძებდა. დილით შეეცოდოდა, იგო-  
რნებდა ჩემი დედამთილი, აბა ჩააცვით ბავშვებს.  
და ჩვენც სასწრაფოდ ვაცმევდით, რომ არ გადაე-  
ფიქრებინაო. და მთელი დღით მიპყავდა გიგი, ლა-  
შა (გიგის ძმა) და დათო (გიგის ბიძაშვილი). მაშინ-  
დელი უამრავი ფოტოც გვაქვს გიგის ფოტოსაცაყ-  
ში” (რუსულად სულაკაურთან ინტერვიუდან).

გიგი სულაკაურთან დიდი ქალაქის სხვა ნიშნე-  
ბია: ეკლესიის პატარა ეზო, მკვდარი ჩიტი წვიმის  
გუბეში, ნეონის შუქი, მძაფრი სიცივე, ელექტრო-  
ნის ხმა, ელექტრო-სევადა, “გაუზრდელი ახალგაზ-  
რები”, ადაბაული ძალი შიმშელ ხეობათა, მისი  
თვალეები, სასონარკეთის ორი ნაპერკალი შიშის  
ბუდეში.

ზემოთ ცხოველები ვახსენე, მათი მოძრაობა,  
ქცევები. მის ერთ ლექსშია “ძაღვები ხეებს ისევ  
ისე, / ფხვის აწეით ესალმებიან...”, ხოლო ლექსში  
“ვგრეს ჭალაში დედაკაცი” ნოთუდვლება სპილენ-  
ძისფერი ძაღლი გვხვდება, ტრასა, მარშრუტი, ბი-  
ლიკები, ქოჯაკების შეკრება, სადაც თვანიან ძაღ-  
ვს რისტორების ყვებიან, არკვევენ სვადანსვა  
ძუკნისა და ხვადის აშბავს, ტერიტორიებს არჩევენ,  
გადახვდავენ, ხელახლა იყოფენ, და აგრძელებენ  
ცხოვრების ერთად-ერთ სწორ გზას, ნანანალს, სავ-  
სუს ხიფათით, ან იღბლონებს. ეს სპილენძის ძაღლი  
მჭკრეტელია, თავად პოეტისთვის, აკვირდება მარ-  
ტოქალს ღამის ხელთან, ვერეს ჭალაში, უყურებს  
რგორ ჩვერის ქალი ვეღ და ცივ ტოტებს, უშმენს  
მონოლოგს, “ისინი ხომ ერთი წამით შეხვდნენ / ერ-  
თმანის, / ველური ძაღლი და / ქერა, ქერა, უტანა-  
ური დედაკაცი - / ერთმანეთი / საშუბრდომ რამ  
დაეკარგათ...” შემდეგ ამ ძაღლის/ავტორის თვა-

ლით ვხედავთ ქალს, მის ტანისამოსს, გარეგნობას, ყველაფერს. იგივე ხაზის გამგრძელებელია კიდევ ერთ ძაღლი, ამჯერად შინაური ძაღლი, ზანზობარი, რომელიც ზემოთაც ვახსენებ ვისაც ავტორი მიმართავს: "ვინ ვინ არის საქართველოში - ძველ - გიგი თუ მე - ზანზობარი."

პოეტი ქალაქურ ნესტოზეც ახერხებს საუბარს, სადაც გზის დათმობა, მოფერება, ნებსები დაცვით ლაპარაკი, გინება, სინდისის ქენჯნა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ "ყველაფერი მანაც კიდაით / ძვლებით, კუნთებით / და ათასი, / ათიათასი მცულ ღირსებით შემეკულ / ფტეხებზე...". ფინალში ისევ მთვარეს ვხედავთ, მთვარის, დღეების და სივარეტის უმიზონო ნუნუნას.

ხანდახან პეიზაჟებსაც ვარჩევთ, ხედებს, სადაც ქალაქის ტრადიციული თუ ახალი სახე ჩანს: "მხოლოდ წვიმა ჩანს, ჩვენი სახლები, / სველი თუნუქით ვაბნობსურლო...". ნანვიმარ თბილისზე სიტყვები ახსენდება, რომელიც, ჰგონია, რომ მხოლოდ მისთვისაა ნარწერილი: "გეყო... მვიდობით!...", სიტყვები, რომელსაც ყველგან კითხულობს, მთელს ქალაქში, ქალაქში, სადაც ქუჩები ღიაა ღამეული ამბებისათვის. ქუჩები, რომლებიც ყოველთვის გადარჩენიან, "როგორც ყოველთვის გადარჩა ქუჩა, / იმასაც სხვისი სახელი უკეცა".

ქალაქის ხედებში ერთხელ ნითელი პლდები გაიბერება აივანზე და მარტოხელა ქალის ვენებებს ამბეურებს, ზოგჯერ კი ხეზე შერჩენილ ძონდს ხედავ, მაგნიტოფონის ფირის აბურდულ გორგალს და ცელფონის პარკებს. ნარსული მოგონებებიც უცნაურად ამოტივტივდება ხოლმე მის ლექსებში. ერთგან ნერს, რომ მის ძველ ეზოს დაემსგავსა მთაწმინდაზე, "რომელსაც ერთხელ, / ბავშვობაში, / წვიმების შემდეგ, / მოხეტიალე მუსიკოსმა დაუტოვა / უჩვეულო, / თავისებური შესიქობა, / დაემსგავსე. / ილიონდ მე ახლა / აკეიატებულ სევედას ვლილინებ...".

ზამთარში ბებერი ლოთები გაყინულ ვასტრონომებთან დგანან, მოისმის ჩახლენილი დიალოგები, ლოთურ ლოცვებდა რომ იღვრებიან, ამიტომ, აუცილებლად უნდა ვახსენებოთ ისეთი ურბანული მდგომარეობაც, როგორიცაა ქალაქური ნადიმი, ერთ-ერთი სმა, საყვარელ ქალთან ერთად სმა, კაფეები, დუქნები, სარდაფები, რესტორნები, მარტო სმა, ლითონა, ნაბახუსევი. გიგისთან ნაბახუსევი, შეიძლება ითქვას, წმინდად ურბანული მდგომარეობაა, რადგან ვთქვით სადმე ლიკანში ან ბორჯომში, ან ზღვისპირა კურორტზე ეს ნასპურეობა სულ სხვანაირად აღიქმება და ისე არ იცემა შინაარსით, როგორც ქალაქში, მის ფართო ქუჩებში თუ ჯუროღმულებში. სხვათა შორის, ნაბახუსევი, როგორც ურბანული მდგომარეობა, ცოტათი მწველი ირონითაც შეგვიძლია ვაგიგოთ, ისე, როგორც თავად გიგი იტყვოდა რომელიმე ლექსში ან მოთხრობაში. გიგისთან ძალიან ურბანულ სახეებსაც ვხედავ-

ბით, პროზაშიც და პოეზიაშიც, ზოგიერთ ლექსს კი ანტიკური პოეზიის ცნობილ ნიმუშებთანაც კი ვადავყვართ, რომელიმე კატულუსის ან ოვიდიუსის "არაკორექტულ" ლექსებთან. აი ერთი მაგალითი: "შენ, / მოგზაურო, / კარი გიქინია, / ჩვენი ქალაქში / რომ შემოსულხარ. / ეს ქალაქი ერთად ერთია / მთელს მსოფლიოში - / გაუთხოვარი და სვედიანი / ქლებით სავსე. / მართალი გთხრობა, / მათ კედლებში / ეჭვი არავის ეპარება. / და შეიძლება ამიტომაც / საკუთარ თეძოებზე ამხედრებულნი, / ასაფეთქებელ ნალმებვით დატენილ / მკერდებს დაატარებენ. / და ზოგიერთი მათგანი / დილიდან შუალამედე / მთელი საუკუნით იკარგება".

ქალაქის ყოფით კულტურას გიგი დეტალებში ამუშავებს. მაგ. ლექსი, "გარაფი ჩემს ძველ სახლთან" და მისი ეპიგრაფი, "ვარაუთან არსებული პროზაული საპროცემბეროს პოეზია". გვხვდება სტომატოლოგიც და ბევრი სხვა. ასეთი დეტალები კარგად გრძნობენ თავს სხვა ქალაქურ ადგილებთან, დუქნებთან და კაფეებთან ერთად. ისევ ზაღლ სამადამშეილის ერთ ჩანაწერს ვავისენებ: "სეროან - გიგის მეზობელი სტომატოლოგი, სომეხი, რომელსაც პარკმანერი რობერტა, ისიც სომეხი, ურჩევს, - გაყიდო რა, ეკოროთახიანი, ქაშევი რა, ან საბურთალოს, ვადალ ჩემსავით თემქში, ფულიც დაგჩრება და რამე... სერიანა სტომატოლოგობით თავს ვერ იჩრებს, ბორმანქანით ხან რას ჩარხავს, ხან რას. აბას წინათ კასტანეტები შუუკეთა ვიდაცამ... თემქში ვინ შუუკეთავს კასტანეტებს?... ამიტომაც ვერ ელუვა საბურთალოს".

ქალაქური ტექსტია ლექსი "ჩემდა სახსოვრად", სადაც პოეტი პატარა, ციციქნა ეზოში ბებერ თუთას და სარეცხს ხედავს და "პურანგებს თავიანთი ახუნაგებით - / გაყინულებს ქანდაკებებად... / ის გახვედა, გაიყინა და გადაიქცა / ჩვენი ბაშუვობაც ქანდაკებებად...". შემდეგ ომიია, ახალი წლის დამე, "მაკერი ბიჭები ისევ ისვრიან, - / ახლა გაძლების დილეცია / და მშია უსასუბოის...".

გაყინვა და გაქვავება სხვაგანაც ვხვდებოდა, მაგ. ლექსში "ხეები": "დაძაბულები / (როგორც ბრძები / ბნელები...) მოვონებები / (როგორც ქაჩაები / მწერები...) / გაქვავებულან / ის ხეები, / იქ რომ დარჩნენ, / ძველ სიციფლებში...".

"მე ამ საღამოს / სხვისი თვალეებით შევხედავ / თბილისს. / და ეს იქნება ჩემი სასჯელი...", ნერს ერთგან პოეტი.

გიგი სულაკაურის ქალაქური ტექსტის ერთ-ერთი გასაღები მინდა დავიმონწიო, პატარა ლექსი, რომელიც ურბანული პოეზიის გარკვეულ ტრადიციასაც უდგება და ძალზე პირადი შესახებაც გვეუბნება:

"ასე,  
ქუჩიდან გამოქცეული,  
ძალიან ადრე  
ან იქნებ გვიან,

1 ზაღლ სამადამშეილს აქვს ერთ მცირე ტექსტში, "გიგის მაგია", სადაც იგი გიგი სულაკაურის ხელით შექმნილ მაგიაზე ამოკანწულ სიტყვებს განმარტავს. ამ პატარა ლექსიკონის ერთ-ერთი სიტყვაა "ზანზობა", "ძაღლი ზანზობარის" მოსაფერებელ სახელთაგან ერთ-ერთი. "ზანზობარი" მსხვერპლ, მოკლავთეხება, უღალბენვინაინი ხვადია. გიგის მის შესახებ დანერული აქვს ნოველა "ბოლანდიური ნავაზი".



შინ ვერუნდებოდი,  
რომ მეპოვა  
სხვების სახეებს  
დამსკავებულთ  
ჩემივე სახე.

დაბოლოს, ლექს "თბილისს" გავიხსენებ, რომელიც შეიძლება ითქვას, ასრულებს გიგი სულაკაურის პოეზიის სრულ კრებულს. აქ ბევრ რამე გხვდებით, პირველ რიგში კი ომს, თვითმკვლელობებს, ჩინებას და მთავარ ქუჩებს, და იმას, რომ "ქუჩაში უკვე / ვასაკვირი და მოულოდნელი / არაფერია".

კიდევ უფრო დატვირთულია დეტალებით გიგი სულაკაურის ქალაქური პროზა. აქაც, როგორც რეალობაში, ავტობუსი იგვიანებს, ლიფტი იჭედება, ასპარეზზე გამოდიან თბილისელი ბრექიანი ბიძები, რომელთაც ვერ გაურკვევიათ, ბრექმეისტრები არიან თუ ბრექმეიკერები.

მოთხრობა "თამაში რევოლვერით", ასე იწყება, "ვისთელი და ესაგმდით. მე და ვილაც კაცი ვისხედით". კიდევ ცარიელია, იაფფასიანი, უზნის კაცება. ფანჯრიდან მოჩანს მეყვავილე მარუსა, რომელიც ძალიან მკაფიოდ ჩანს რუხ ფონზე, ქუჩა სველია, რაც კიდევ უფრო ამკვეთრებს სახლების და გამყვლელების გამოსახულებას, მოსაღამოებულზე კი, კაფეში შუქის ანთებისას, თითქოს უფრო ბნელდება. შუქს კაფეს დიასახლისი ანთებს, მანანა, რომელიც საუკეთესო აჭარულ ხაჭაპურს აცხობს, ავტორის ასეთი ბათუმშიც კი არ გაუსიხვავს. შემოიხსენებ, იწყებ, იწყებ სიტყვების თამაში: კაფე "ისანი" - ცისანი - კესანი - სოსანი - ნისანი. ასხენდებით ვილაც თემქელი თუ ნახალოვკელი ბიჭებიც, იქნებ ულიელებიც იყვნენ. მოგონებები ისევ საკუთარ უბანს უბრუნდება, თბილისში თოვლია, თოვლია ბუკიას ბაღშიც, ციგებით სრიალი, გუნდაობა, კახელების მარანი მყრალი ჭაჭით, "ნისიზე არ გაიცივება" (არადა ეს აბრა იმის მანუწყნებია, რომ გაიცივება ნისიები), გულისრევა ("აბაროტი"), ბახტრიონელები ფლადი სითხით, "კანიაჩნი სპირტი", "ნელა დალიე, აპრობირებულია ძმობა", დოპინგია, ლაღიმედვე ერთი ამოსუნთქვით მიდის, ჯერ შუსვენებადა, ხერხეულიძეების სახლამდე, მერე უნივერსიტეტის ბაღშიც ბუკიას სიტუაცია ხვდება, თოვლი და გართობა. მოხეტიალე ასეთი დასაცემები ფიქრობს: "შემწვენებოდა, რომ ჩამოვედი ჩემ ქალაქში, შორიდან, რაღაც სამხრული ჯურღმლებიდან გამოვალქი, პირველად ვარ აქ, როგორც სიზმარში, ისე გამორბობდი და ფუჟურები ვეკლავფერს...". შემდეგ მოგონებები, ვალოდას ვიხორი, ჯაფჯური, "ჩემთან ავიდით", დანჯღრეული მოსკვიჩი, ვილაც გაუპარსავი "როუები", ბენვის პალტოებით და უშანაკეებით, უიშვიათესი ვეგემპლარები. ჩხუბი, სილის ანვანა, ტკაცანი ისეთი, ხანა წუცუბიძის პლატოზეც გაიგეს, ბუღდოვას გასტრონომი და მთავარი საზრუნავი და საოცნებო, იმდენი საჭმელი და ნაირნაირი სასმელი დაგროვდეს, რომ მთელს უბანს ეყოს, ყველა დანაყრდეს და დაიავრეს. ახალი წელი მიდის. მოთხრობით ამ საერთო სუფრიდან იპარება, ერთ ბოთლ თელიანს, ერთ მუკუხანს და ერთ "შამპანურს" გამოიყოლებს და ვალიოდასთან, დოლიძის ზედა ჯურღმლებში მიდის. ვალიოდა თბილისელი

რუსია, "ვენი გარადოკოში" მუშაობს, დარაჯია, მთხრობელი შიგადაშიგ ასხენებს გიგის, ის რა თქმა უნდა თავად გიგი სულაკაურია, ავტორი.

მოთხრობა "ყვავები და ყაყაჩოებიც" ნახაუსევიით იწყება. კოსტავას და პეკინის ქუჩების გადაჭრა, უროუელი ამოცანა, ეჩვენება, რომ ბუკიას სკვერი აღარ არსებობს, მის ნაცვლად ყაყაჩოს მინდორია გაშლილი, ბოლოში ლილის სახლი, რისი თანახმი მძაფრი სურნელით, ასირიული, სხვა არსებული სუნი, რომელიც ჩვენს ბინებში არანაირად არ ჩერდება. შადრევანში ენდროს ნახარმისფერი წყალი ასხია, შადრევნის ბაგეზე ორი უბნელი ლოთია ჩამომჯდარი... შემდეგ "საიალას" გასტრონომი, კუთხის მაგიდა და ნატურმორტი შლასტმასის ჭიჭიებით, არყით, წვევით და ერთი ცალი ბრონეულით. გიგაური იშხანას მოკვლის ამბავს ყვება, უზნის დამანაოკებლის, "აბიფიკი" იშხანას მოკვლის ამბავს. არ უნდოდა მოეკლა, მაგრამ შემოაკვდა, შემდეგ კი ნაგვის ბუქენკაში შეგადგო გვამი: "თურმე მთელი უბანი ფანჯრებსა მომდგარი და გვიყურებენ, სეირს უყურებენ ის ვირიშვილები... მერე უკაც ვილაც კაცმა გახარულმა გადმოძახა, მოკალი ეგ ძაღლმშვილიო? ავიხედე და ეს აბუნეი ხალხი რა დავინახე, კინაღამ დაეციენტრე, თანაც ლამის ტაში დაეკრათ ბოზიშვილებს, რამე რო იყოს ბისზე გამომიძახებდებოქ ბიჭო...ნიშნის მოგებით იღიმებოდნენ, კმაყოფილები იყვნენ, იშხანა აღარ ეყოლებოდათ უბანში, მშვიდად დაიძინებდნენ, ისეირნებდნენ და ფულიც შერჩებოდათ ვიზიზე, არავინ შეაქრებოდა... ხალხის უგულობამ გადაშრა, ბიჭო და დაუფძახე, ჩამოეთირიეთ თქვე პედერსატბო, ევრე ავლილი და სახალისოა ჩხუბის ყურება, სიკვდილი ნახეთ და რამე ვაკაზარა, ჩამოეთირეთ სეირს აქ განახეთ, თქვენი უჯიშო დედა მოეცანა-მთქი...".

ქარიანი თბილისი გიგის პროზის საყვარელი თემაა, ერთ-ერთ მოთხრობას ასევე ჰქვია, "ნაბიჯები ნასესხებში", რომელსაც მალე დაუბრუნდები, ახლა კი ერთი ეპიზოდი მინდა გავისინო მოთხრობიდან "ყვავები და ყაყაჩოები". ავტორი ქარიანი დღეს აღწერს, ის და მისი ძმა ფანჯრიდან იხედებიან, ქარს აკვირდებიან, მასთან ერთად საგანთა ქროლასაც - "ცლოფნის პარაკები, ფერადი ბუშტები და ხმელი ფოთლები, ადამიანები და პრეზერვატებიც, მანქანები, სტადიონები და ქუჩები, ვარაუები, ძაღლები და კატები... ამ დროს ყვავიც გამოჩნდა, ქარის საწინააღმდეგოდ მიფრთხილდა. ოფლად იღვრებოდა, ფრთებს ნელა, მძიმედ, დიდი ზაჭირებით იქნევედა და მარცხ მიფრთხილდა. ეტყობა, გადაულტებოდა საქმე ჰქონდა, თორემ მძვინვარეობდა და გაუსაძლისი თავს ასე არ გაქურავდა, არ გაწვალდებოდა და გაისარჯებოდა. ჩვენი ფანჯრიდან ნუთიოდე მეტრით თუ იქნებოდა დაშორებული.

- ნეტავ, სად ჯანდაბამ მიფრთხილავს ეს დეკენერატი? - იკითხა ჩემმა ძმამ.

ორივეს გავცვიცნა და ყვავიცა სწორედ მაშინ მოიხდა. ბედკრულს ისეთი გვცდა, ნაღველი, ტკივილი და კაქშანი ედგა თვალბეჭში, მისი საცოდაობით ქვაც დადებოდა.

თითქმის მთელი წუთი იქნია ფრთები ჩვენი ფანჯრის წინ, თანაც ორიბულად გვიყურებდა, უფ

რო სწორად, შიგ სულში ჩაცეკურებდა. ბოლოს ძა-  
ლიან მაკრად გაუჭირდა, ერთი ამოიხორა და შე-  
მოგვერბინა:

- კარგაა, არა, თბილ ბინაში ყოფნა, თქვენი დე-  
და მოგტყავს - მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო,  
ქარი მოერია, წილი და ერთ წამში გადაკარგა."

"ნაბიჯები ნასესხებში" ორბაგი დატვირთვისაა,  
მასში ნასესხები დღეებიც იგულისხმება და რეა-  
ლური ვალიც, რომელიც მოთხრობის მთავარი თე-  
მაა. მოთხრობა ამ საშინელი, მაზალი დღეების და  
საშინელი ქალაქის აღწერით იწყება, რომელიც "თვი-  
თონ ირჩვეს ადამიანებს და მერე თავის რჩეულებს  
ფქვავს, პრესავს, აქუცმაცებს, შებოლავს და საბო-  
ლოდ დაფსოვებულებს გულში იხუტებს. თუმცა  
ეს ყველა იმ ბებერი და ბოროტი ქალაქის თვისე-  
ბაა, სადაც ადამიანებს ერევენებათ, რომ ასაკთან  
ერთად სიბრძნის იძენენ. ასეა, ამას მათი ცხოვრე-  
ბა ჰქონა".

ბოლოსდაბოლოს, ეს ქარი ჩადგება და ქალაქს  
სიგრილეს დაუტოვებს. ქალაქში რაღაცნაირი უც-  
ნალორი იდლიაა, მარჯანიშვილის და უზნაძის კუთხე-  
ში ჭალარა ბიჭები გამოდიან სიტყვით, თბილისელი  
ქეშები, ყვარლის მოსანევი და ა.შ. მოხრობელი წმინ-  
და ნიკოლოზის ეკლესიასთან შეჩერდება, მტკვარს  
გახედავს, დარდობს, "სახლი როგორ ვაყვირო, ამის  
დედა ვატრეო..." (ზემოთაც ვასენენ სახლის გაყიდ-  
ვა). ბოლოს, როგორც იქნა, მიადნებს თავის ეზოს,  
"ალიზონიან, მურაიან, გავიკიან და აღმოვრეიან ეზოს"  
და აქ იწყება გიგი სულაკაურის ერთ-ერთი ყველა-  
ზე ვრცელი ქალაქური პროსოდია, რომელიც ამ  
ეზოს სურნელით იწყება და ერთმანეთის ბინებში  
გულგრილი ცნობისმოყვარეობით "შვირველი" და  
"ჭირისუფალი" მეზობლებით გრძელდება. ავტორი  
აღწერს აივანს, თბილისურ ტიპებს, პიტალოს, მი-  
ტოს, გავიკას, სამ "ფურჩას" - ფეხისა, ილინას და  
ნინას, თავზე წყლის გადმოსხმების, ბურთის დაჭ-  
რის და გრძელი, ლურჯი ენების საესავის დიდოს-  
ტატების.

ეზო ფენებადაა განანილებული, პირველი სარ-  
თული - მესამე კლასი, მეორე სართული - პირველი  
კლასი, ბავშვობის ეროტიკული მოვლენები, ბებე-  
რი თუთა, როლანდა, ხანძარი, ეფდარას დაქვანი.  
ჩნდება ანდგილობრივი ძაღლებიც, ვაჟა და მარ-  
გო, ჟანგისფერი და თეთრი. ფინანსი ყველაფერი  
აღივარება: "სახლი, რომელიც გემს მაკონვერდა, აღარ  
არის, წყალმა წაილი. ყველა და ყველაფერი წაილი  
წყალმა - აღექსანდრე, მაკული, ოქრო... ჩვენი ატ-  
ლანტიდა - მადათოვი, თბილისი თელი.


წყალმა არც მე დაბინდი, არც მე დავინდობს  
და არც - არავის, ასეთია მისი ბუნება..."

ამ უზანძრე ბევრს წერდა არჩილ სულაკაური, გი-  
ვისთვის კი ეს ღრმა ბავშვობის მოგონებაა. შემდეგ  
სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად და აქ უკვე  
მივადევით მოთხრობას, "იქ, სადაც გველოდები-  
ან...", რომელიც ასე იწყება: "საბურთალოს უზანში

60-იანი წლების დასაწყისში გადმოვევით. მთაწ-  
მინდის წვირო, დაკიდებული ქუჩებისა და ძველ-  
ბური ეზოების შემდეგ ისეთი სივრცეები და მას-  
შტაბები ვადაძალა ჩემ წინ, რომ სიხარულით ჭკუ-  
აზე აღარ ვიყავი. ყველაზე მეტად სახლის უკან გაშ-  
ლოლმა მოედინება მომავალთვის". ქალაქში მშე-  
ნებლობებია, ამენებენ "ხრუშჩოკებს", სამინის-  
ტროებს, ტრენტებს, საავადმყოფოს, კომინიზმს,  
შედებას სასტუმრო "აჭარის" და მოთხრობის ამბე-  
ბიც მის სიახლოვეს ვითარდება: ბავშვური ორთაბ-  
რძოლები, ნორჩი გლადიატორები, ცხვირის, ხელის  
და თითების მოჭრებები, ასირიელი ალიბეგას დახ-  
ლი, ზუსტად იქ, სადაც ახლა "აჭარის" შესასვლე-  
ლია. 20 კაპიკად ფინიკის ბრიკეტის მოზრდილი ნა-  
ჭერი, ალიბეგას "ზაპობები", მისი ქალიშვილი ლი-  
ლი, მოთხრობის პირველი სიყვარული, რომელიც  
მამასთან ერთად აჭარის ამენებისთანავე გაუჩი-  
ნარდება. ამ მოთხრობაში თბილისური შემოდგი-  
მის ლურჯი დიდი დედა თენდება, მოხრობელიც ცოტა  
ნამოიზრდება და უკვე დიდ ბიჭებთან ერთად დგას  
დოლიძის კუთხეში, უზარია და ემამყება. ჩნდება  
ვოვა, პერსონაჟი, ვისაც "ყველაზე კარვად ეძის  
ქუჩაში" უაზროდ" თუ "აზრიანად" ყოფნის ყველა  
კანონი". იწყება ხეტიალი, საუბრები ნივნებზე, დი-  
ალექტიკაზე და "ხეტიალის ბასურდები" (ვოვას ტერ-  
მინია). კვირა ერთი გამოთქმის ავტორია ვოვა, რო-  
ცა ეკითხებიან "სად მიდიხარ?", პასუხობს, "მივდი-  
ვარ იქ, სადაც მელოდებიან..."

აქვე ზოგიერთი თბილისურ წესსაც ვეცნობთ,  
მაგ. სახლში შესვლისას ფეხზე არ უნდა გაიხადო  
და ა.შ. გვხვდება პირველი ტაქსიტო ქალებიც,  
ხითხითა და კაკანები, რომლებიც თავიანთ "რკინის  
რაშებს" დააქროლებენ. შევდივართ სპარტაკის დუ-  
ქანძიც, ვისაც შეეკეთაც არ სჭირდება, "ორნი იყა-  
ვით, ორი კაცისა მოგიტანდა, რამდენიმე - ბევრი-  
სას. მოსაზრება იმდენი არაფერი იყო - ლული, არა-  
ყი ან ლიმონათი, სოსისი, მძღვევი, რუხი პური". ამ  
დუქანზე კიდევ აგრძელებს ავტორი საუბარს, მე კი  
ზაღა სამადაშვილის კიდევ ერთ ფრაგმენტს მო-  
ვიხიბობ: "სერ" მებუფეტე იყო. უფრო ჩვენებურად  
და თბილისურად - დახლიდარი, გენავით მელექე.  
მუშაობდა "ლოკომოტივის" სტადიონის სასადილო-  
ში, რომლის ვიტრინიდან სამთავრობო ლოფის საი-  
მედოდ დაგმანული კარი და კუს ტბის ფერდობები  
მოჩანდა. სამუშაოლოში თვითონ ტრიალებდა, თა-  
ვად ამზადებდა კერძებს. თვალის ვიწრო ჭრი-  
ლით და დაბერილი ქუთუთოებით გორდონ ბენქსს  
ჰკავდა, სერ ალფ რემოს საფეხურითო ნაკრების  
მეკარეა. შევიდებით მის სამფლობელოში და მი-  
ვესალმებოდით, - გამარჯობა, სერ! მოგვესალმე-  
ბოდა, - გავიმბარჯოთ, ახალგაზრდა სენიორებო! სა-  
ნამ დაესდებოდით, გვიკითხავთ, - არა ინებებთ?  
რას შემოგვკეთავაზებთ? - ავყვებოდით ჩვენ. გვაქვს  
ოლიმპური "საერო" და ნენკები მეკლენურგუ-  
ლად. შეუუკეთავით. ცოტა ხანში გავგავონებ-

2 როსუდან სულაკაურთან ინტერვიოდან: "ბუნებრივია, სხვა სივრცეები გამოჩნდებოდა. მანამდე "საქანელას  
ქუჩაზე" ცხოვრობდნენ, თვითონ გაიქ "კარუსელის ქუჩას" ეძახდა. საბურთალო კი იმ დროს განსწავლანებული არ  
იყო და მოზარდობის ბევრი საინტერესო კუთხე-კუჩქული იქნებოდა - მშენებლობები, სადაც ბიჭები  
დაძვრებოდნენ და ჩუმად სიგარეტსაც ეწოდნენ. გივის ბავშვობის მეგობრებისც ამავე უბნიდან არიან".



და,- პელე, გაუშვი მეორე ლიანდაგზე ნეკნები და "საერო". პელე - სამოცს გადაცილებული, ბრინჯაოსფერი ქურთი ქალი - თან დაძლავებული იყო, თან ოფიციალტი".

კიდევ ერთ დუქანს ვაგვისხენებ, ტრისტანას დუქანს (მოთხრობას ასეც ჰქვია, "ტრისტანას დუქანის მცირე ისტორია"). დევნილია ტრისტანა, ლტოლვილის რომ ეძახდნენ მაშინ, თუმცა ლტოლვილის მაინცდამაინც არა ჰგავს, კილოც და იერიც ქალაქური აქვს. ირონიით იმეორებს გამოთქმას "თბილისელი ბიჭები", "მე თუ აქაური არა ვარ რა, ცუდი ვარ?". ტრისტანას უბრალო ხალხი უყვარს, "ტყლარჭი" კი არა, ნისიაშიც კარგი ბიჭია და აღიზიანებს უცნაური მოინტელექტუალო ძველი ბიჭები, ლოთი იმპრესიონისტები ნიგნებიდან ამოკრეფილი ფრაზებითა და ცინიზმით: "ვაგითოშეთ როგორც მარინა ეტი ნაცნობ პორტში", "მე ყოველთვის მიყვარდა თქვენი ავრელიუსი მარკუს..." და მსგავსი გამოთქმები. დაინახავენ დუქანს ლია კარიდან Volvo-ს სამკრილალა ავტობუსს და ამბობენ: "ნახე, ბიჭო, აქედან ხალხი ფერად ქალაღდებში ვახვეულ კანფეტებსა ჰგავს", "ჰო, ოღონდ მოძრავ კანფეტებს, ერთი სული აქვთ როდის ჩაუვარდებიან life-ს სახალწლო ხაზში". ასეთები "ბომჟს" არაფრით გაიკარებენ, ცხვირს უბზუებენ, დუქანში ცხვირმემოყოფლ ძაღლს კი აუცილებლად მოუხმობენ, დაუყვავებენ, "შიდი ცუკო, ერთი ჭიკა დაგვილიე". შემდეგ დუქანში საბერძნეთში მიმავალი თბილისელი ბერძენიც შემოვა ხაჭაპურზე, რომელიც თვითბრინჯიულად დასუფხობს ერთ-ერთის შეკითხვას: "ჩემისთანა ბერძნული ყველა თბილისელმა იცის".

დაახლოებით ასეთივე დუქანში თუ სარდაფში კვდება რაფიკა. უცებ მოკვდება, სკამზე, იქვე გაიყინება, სადაც იჯდა. შემდეგ ქარი დაუბერავს, დუქანში ჭადრის ფოთოლი შემოფრინდება, სახეზე აეფარება მიცვალებულს და ზედევე შერჩება: "სახეზე ფოთოლაფარებული მოკვდა ეგ ჩემისა, მე რა უნდა მექნა, ძმაო...". რაფიკა კიდევ ერთი მკვეთრი აეფარება მიცვალებულს და ზედევე შერჩება: "რაფიკა, ვინც თავის შვილი, უნაიკას კაშხის შენერებას ასწავლის, ასევე ასწავლის ქუჩაში მოძრაობის ნესებს, კამნები კი გროვდება და გროვდება, "რად უნდოდა ამდენი კამნე, ყიდა თუ ფენსაცმელებს იპრიალებდა, ნაღდად არ ვიცი", რაფიკა - ჩაცმუქულ, ტუქსავს მის წინ მდგარ ორ თავჩაქინდრულ ვირგლას და თან დანის ნევრით ფრჩხილებს ისუფთავებს.

თბილისს ხილვებსა და სიზმრებშიც ვეცდებო. მაგ. მოთხრობაში "უბრალო ამაზე" ხელით იზომება მთაწმინდის ქედი. სამი მტკაველი გამოდის, 75 სანტიმეტრი, და ვინც ზომავს, აინტერესებს, "სერიოზულ მასშტაბში" რამდენი გამოვა.

## რეალური ქალაქი და ოცნების ტალღები

რამდენადღაც რეალურია გიგი სულაკაურის ქალაქური ტექსტები, იმდენად ძლიერი ნაკადით შემოდის მასთან ოცნების, ერთგვარი ყმანვილური რომანტიზმის თემა. როგორც ვნახეთ, ქალაქი ძალიან კონკრეტულია გიგისთან, სახელებით, სახელებით, ქცევებით, თუმცა ქალაქი მასთან ყოველთვის

ცხადი რეალებით არაა დატვირთული, ხანდახან ოცნებაც იკავებს გარკვეულ ადგილს, ოცნება სხვა ქალაქებსა თუ სხვა ადგილებზე. ეს რეალური ქალაქი, თბილისი, შეიძლება პოეტური ბუნდოვანებით, მძაფრი წარმოსახვითა და ბნელი სახეებით ხასიათდებოდეს, მაგრამ სწორედ ამიტომ ლალი ფანტაზიის მოთხოვნისთვისაც აჩვენს, წარმოსახვით სივრცეს მონიშნავს ამ ფანტაზიისთვის. მეტიც, მასთან ამ ორი საწყისის, რეალური ქალაქის მძაფრი სახეებისა და ფანტაზიის ერთგვარი დაპირისპირება, კონტრასტი განსაზღვრავს ბევრ რამეს.

ასე უპირისპირდება ქალაქი მთა და ზღვა, თბილისს კი საპორტო თუ სხვა საოცნებო ქალაქები. გიგი სულაკაურის ძალიან უყვარს საპორტო ქალაქები, დღი ნავსადგომებით, სადღაც სამხრეთის ზღვაში. საოცნებო ქალაქები, სადაც არასდროს უტახორია, მაგრამ ენატრება. იგი ქალაქურ ტექსტებში ხშირად ასხენებს ზღვებს, იალქნთან შხუნებასა და კარავლებს, როგორც რაღაც ალტერნატივას. თავის ეზოს ზღვას ადარებს, მოქანავს სტიქიას, ეზოში მოთამაშე ბავშვებს კი დელფინებს. მისთვის დღებშიც ზღვებშია ჩატყვული, ვიგორფად იმონებებს ხოსე ერედიას ჩიტიყვებს: "ზღვის ქვეშ მზე არი" და ზღვიდან დანახულ ნაპირსაც აღწერს: "ჩემი ზეფით ახლა ზღვის ქალაქია, / ფსკერიდან ვუმზერ ქალაქის მუცელს..."

იგი ასხენებს ზღვის ხმაურს, ფიტრებს, რომლებიც ზღვასავით ხმაურებენ თავის ქალაქში, ითვის ნომჩებს ზღვის შუბლებზე, წარმოდგენას დაღწილ ხობაღდას, აფეთქებულ, ჩაყვინთულ ნავსადგურებს, შავ დუქანს გამოკეტილ ნავსაყუდელთან, წვიმაში ცეკვას ზღვის წინაშე, წვიმის ბაღში გახვეული ზღვის ფრინველების თვლებს.

ლექსი "წერილი" ბოთლში ჩადებულ წერილს ჰკვავს, სადაც წერილის ავტორი ძალიან შორიდან ინერება, იგი მინდვრებისა და მთების გადაღმაა, სამხრეთის ციხე ქვეშ სურს მშვიდად გამოიძინოს - ღია ზღვა, სანაპიროს სინათლეები, ნიჟარები, მარადიული ქალწულების წელი დუქანი.

ასეთი სხვა, რეალური ქალაქებიდან ყველაზე მეტად გავრა უყვარდა. როდესაც რუსუდან სულაკაურს ვკითხე ასეთ ქალაქებზე, მიპასუხა: "ულაპარაკოდ გავრა. ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული მისი სიყმაწვილის და უკვე ზრდასრული გიგი სულაკაურის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ვაგრძელებ ცალკე ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. იქ ვერ მამასთან ერთად დადიოდა, მერე მამასთან და ძმასთან ერთად, მერე უკვე ჩვენც. და ეს ქალაქი მეც ძალიან შემეყვარა. ბოლოს ვაგრძელებ ადრევე გაზაფხულზე ვიყავით გიგი, მე და ჩვენი უფროსი შვილი ვიორგი. არასეზონზეც კი ეს ქალაქი უშვებენიერესა და ასეთად დარჩა მის ნატკენ ვულში და მცხსიერებაში". თუმცა იყო ლიტერატურული ან ისეთი ქალაქები, სადაც არასდროს ყოფილა: "დიდად არ ამუღავებდა წიგნებით აღმოჩენილი რომელიმე ქალაქის მონახულების სურვილს" (ზხალ სამადაშვილი). ცხადია, ზღვის გამო იყო მისი საყვარელი მწერალი პერმან მელვილი, ვისი "მოზი დიკიც" თურმე ლამის ზეპირად იცოდა.

"მოზი დიკი" ვახსენე და იმასაც ვიტყვი, რომ

ხშირად ეს ოცნება და რომანტიკა წინგისმიერია, ბავშვობაში ან მერე ამოკითხული - ადინანჯალა, "ძულომი - რიტა უსტინოვიჩი, / ბადრ-ალ-ბუღარი ულაღინო, / მარჯავა ალი ბაბას ვარემე, / ისააკის გოგორებეკა, / გრაფ მონტე კრისტო, / მუშუკეტრები, / დედედ კოპრფილდ (ოლონდ არა ჯდოქარი), / პირატა მთელი ბუდე "ჭოგრიტი", / ვაწო სილვერის მეთაურობით, / პრილიანტების გატაცებლები, / თბლობით დაზრდილი / ბადრი და უსუბ და ამირანი და / დეეთა რისხვა - გმირი ცამცუმი, / თვით ჩხუბისთავი კაპიტანიც / იქ მოვიდა, - გამოკეტილ ნავსაყუდელთან და / დღე ვერაფრით გადაარჩინეს... / მე ვინც მასწავლა, - / არასოდეს არ დავვიღო, / დადილი იყო და / იმ დღისთვის ფასიც იცოდა...". ერთ ლექსში მეღმობტიც შემოჰყავს, მსოფლიო ლიტერატურის მთავარი მოხეტიალე.

ამ ხეტიალისა და გადაკარგვის წრეში ექცევა ხორხე ლუის ბორხესიცი, ყელის გამოჭრებით, სახრობელებით, სისხლით გამტყვერალი ხომალდებით, ოქროს ძიებით, ზღვებზე წანწალითა და გაუთავებელი აბორდაჟებით, უბნისა და ქვეყნის ძაღლებით, შარაზე დამდგარი ბრმა ავაზაკით.

ლექსში "კარუსელის ქუჩა", ეს დაპირისპირება, ერთი მხრივ ქალაქი და მეორე მხრივ ზღვა, მთა, ოცნება, წარსულისა და მომავლის დაპირისპირებაცაა და სიბრძნის თემა აქაც ჩნდება. პოეტს აგონდება ბავშვობის საყვარელი წიგნები, მერე კვლავ რომ გადაიკითხა (ღიახ, მე გმირი ნამდვილად ესაა მისი ოცნების, ზღაპრის ერთ-ერთი გასაღები) და ლექსს ახე ასრულებს: "უცნაური ის იქნებოდა, / მომავალი რომ დამენახა - / მოხუცი ბავშვი / მზეს უყურებს / დაბრმავებულს". შესაბამისად, მასთან მომავალი დახუჭულ თვალებს, ვერდანახვას, სიბრმავესაც აღნიშნავს.

ოცნებაში შეიძლება სახლიდან, კედლის ფარდაც დახმარებითაც შეიღწიოს, სადაც ირმების მყვირალბობა და ოქროსფერი შემოდგომა ამოქარგული. ქალაქში ომია, ის კი ბუხარში წარმოსახვით ცეცხლს ანთებს და ინგლისის სამეფო ბაღზე საუბრობს, პრინციბზე და დედოფლის ბრწყინვალეობაზე. ქალაქში მანათობელი ტყეებიც დაფრინავენ, მთანმინდას და არსუნალის მთას ანათებენ, თუმცა უტებ მზერა ვარსკვლავებზე გადადის და პოეტიც სხვაგან აღმოჩნდება: მინიატურაში, მირაჟებში, სადაც ჩიტებს გაუშვებს, "წინ მათ ზამთარი ელოდებოდა, - / როგორც ჩვენი გადასატანი და სკერიო, / უსასრულო, გრძელი ოცნება...". იგი ცდილობს უკეთეს სინამდვილეში გაემგზავროს, ცდილობს ბინა ახლებულიად გადაწეროს ბუხარით, წიგნებით, ცეცხლით, სითბოთი. ახალი სამფლობელო შექმნას.

გიგი ცდილობს მიატოვოს თავისი ქალაქის ზამთრის ქუჩები და ღრუბლებზე წამოწვეს. "მერე რა, რომ ვარსკვლავები / ისუხებიან" და შემდეგ მიემართება გაზაფხულის ბაღებისკენ. ერთ ლექსში ოცნება მარსადეც კი აღწევს, ესიზმრება ამ პლანეტის გადაშმაბრი მდელი, სადაც სიკვდილის შემდეგ ჩვენი სულები დაქრიაან. იქვეა წყალი და ჩათვლემილი ხომალდები, რომლებიც მარსის სისხლიან მზეზე მღერიაან.

ამ ოცნებებს თავისი ატრიბუტებიც აქვს და სა-

კუთარი პერსონაჟები ჰყავს. მაგ. დანა, ხან ჯიბეში, ხანაც ხელში, ხანაც ხელიდან - ხელში. ჩნდება კითხვა, საიდან მოდის ეს დანა, ცხოვრებიდან? რომელიმე პოეტადან, მაგ. ლორედიდან? ამგვარ გადაწყვეტებში დიდი ადგილი უკავიათ ქალებს, შესაძლოა საბუნდისწერი ქალებსაც. აქაა პორტის კახასა აკიდებული დასპირტული მეზღვარი, გვხვდება სიგა-ეროტი (თამბაქო), რეკორდერი, ალესიო ნაჯახები, გასროლილი ვახანა, გადაჭრილი თოჯი და წამლის კოლოფები, ბებერი პარიზი, თამბაქოს ბოლში გამოყვანილი ლაპარაკი, ტრაბახი, ინტელექტი, უცხო სიბრძნე, ბრმა სევდა. ჩნდებიან ცხენები, გრძნეული და ბებერი მეფეები, მათი ასულები. სხვა ლექსში მეფე დარბეულ და გაძარცვულ ქალაქს გაჰყურებს, ამ უცხო ქალაქში კი ქალბერი დაწანწალეუბენ. ჩანან მკვლევები ბალიშის ქვეშ ამოდებული პისტოლეტებით. სხვათა შორის, გიგი სულაკაური თან პარზოშიც გვხვდება იარაღი, ერთ მოთხრობაში მთელ სახლში პისტოლეტის სუნი დგება, სას-მელსაც და საქმელსაც კი მისი გემო აქვს.

ეს კონკრეტული გმირები და პერსონაჟები მეტაფორად იქცევიან, რომელიც ერთი ან ორი ლექსიკური ერთეულით გამოიხატება, ბიჭები, ძმები და ა.შ.... ეს ბიჭები და ძმები მთელს მის შემოქმედებას გასაღებს და მეგობრებს აღნიშნავს, მეგობრების მეგობრებს, ადამიანებს, ვინც იყვნენ და აღარ არიან, ან არიან და უბრალოდ არსებობენ. ზემოთ მეგობრების სახლები ჩამოვთვალე და არსებობს მეგობრების სხვა სახლებიც, სიკვდილის შემდეგ სადაც ბინადრობენ: *“ვერაზე, დიდებუნი, / საბურთალოზე / გამაგებულან საფლაოზე / ძმების სახლები...”*. იგი ასხენებს ბიჭებს, რომლებიც დააკლდნენ ბიჭებს, და ზოგადადაც ეს ქალაქი მისთვის ძმების სივრცის ადგილია, აქ მათი ძვლებია დანერგილი, აქ მათ ქვის სახნებია წარწერებით, თუმცა იგი ხანდახან თავის სიზმრებშიც ვერ პოულობს ამ ბიჭებს.

ლექსი “ძველი ნავი” თითქოს ანტიქალაქის სიტუაციას აღწერს, სანაპიროზე შავი ქვევით დაულაგებულ შავ ძაღლებს, ძველ ნავს, ზღვას, თევზებს, ძველ ნავში ძილს, ზღვაში ჩამავალ შიპილენძის ნატებს, ქარს, ზღვისპირა დუქანში მსმელებს, ძველ კიდობანს. დაბოლოს, ქალაქს სტიკია გვიანი ხმები, ქვიშას კი უჭირავს ნაფეხურები. რა არის ეს? ნარსული? რაღაცის კვალ? მოგონება?

ქართლის ველებიც, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად ძალიან ახლოსაა თბილისთან, ამ რაღაცა ზღვისმავარ, წარმოსახვით სივრცეს ქმნის, მას თავისუფლება ქართლის ქარებმა ასწავლეს, მათ მიაჩვენს. *“სევდას მოაქვს / უცხო მინდვრების და ტყეების, / მდინარეების უცხო სურნელი.”* კიდევ უფრო ხშირად ასხენებს გიგი სულაკაური მთებს, ზღვასავით საოცნებო მთებს. ერთგან იმასაც ამბობს, რომ ბავშვობიდან, უფრო ადრეც, დაბადებამდე უყვარდა მთები.

უცხო ქალაქები თითქოს ერთმანეთში აერთიან-

ნებს ქალაქისა და ოცნების, ან სხვაობის თემას. მაგ. ავილით გიგის ერთგვარი ბოპ-პროსოდია, სახელად **Foxtrot**, რომელიც უცხო ქალაქზეა. ლექსში თავიდანვე ჩნდება თოვლი, რომელიც უკვე იშვიათობაა თბილისში, მაგრამ სხვა ქალაქში ჩვეულებრივია ამბავია<sup>3</sup>. ამ ლექსში ბარათათაშვილის ხიდიცაა ნახსენები და მწვანე, მჭირალა კლდე (ციციანოვის აღმართი), მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ უცხო ქალაქში გრძნობს თავს, *“უცხო კაცი - უცხო ქალაქში”*, სველი თოვლი, ქუჩის შუქები, რუსული წიგნის მაღაზიის ვიტრინა, ვიტრინიდან დანახული წიგნი *“გრუზინსკიე რომანტიკი”*, იმ უცხო ქალაქის უცხო რესტორანი, უცხო მინეუ და სასმელი, *“სლივოვიცა”*, უცხო ქალაქის ძაღლები, რომლებიც უცხო ენაზე ყეფენ და სხვ.

ლექს “პატარა ქალაქშიც”, რა თქმა უნდა სხვა, უცხო ქალაქი იგულისხმება და არა თბილისი, თუმცა რეალები ხანდახან მაინც თბილისური რჩება: ვინრო დუქანი და ლითები, ხიდი, ხმაური, თუმცა ეს ხმაური მაინც დაბისაა და არა ქალაქის, რიყზე პატარა მდინარისაა და არა მტკვრის. იგივე შეიძლება ითქვას *“ზღვისპირა ქალაქზეც”*, შავი ხალივით ყავახანაზე, ცარიელ ქალაქზე, რომელიც სველი შუბლით ცხლება ზღვის ნაპირებს. გრძელი წვირები, მაგნოლისის ასტრალური მწარე სურნელი და ზღვის ხმაური.

ასეთ პატარა ქალაქში ჩასულ პოეტს ბაქანზე სადალაქო ხვდება, როგორც ნათესავი. თბილისში ასეთს ვერ ნახავ. ეს უცხო ქალაქი მარტივი, ძველი, ბნელი ქალაქია, სადაც ყველაფერი რატომღაც ყვირთელია. აქაც ასხენებს თბილისს და თბილისურს. მაგ. ძველ თბილისურ ამბავს, ქალაქში მოარულ შერილს<sup>4</sup>, *“12 წლის ბიჭმა იხილა ღმერთი”*. ამ სხვა ქალაქში ნათურები ბუჭტავენ, ძლივს ანათებენ, შექმანუხებლად ინალებიან, *“კი არ ანათებს, ფერს უცვლის ოთახს, - / <...> ასეთ შუქზე იბადებიან / ოთახის ფარულ, ბნელ კუთხეებში / გაურკვეველი წარმოშობის ჩრდილები / და მაჯალაჯუნები”*. გვხვდება ხელოვნური ქვის ქალაქი, სწორედ აქ დაეპეტება იგი მოჩვენებითი გულგრილობით: *“ხამთრის ყალბი სითბო, პორტატიული ცისქვეშეთი, ქარისკენ ზურგმეტკეცივით მდგარი ხეები, რომელსაც დანახ-შირებულ ლერებს ადარებს, სასანის ლერებს.*

და ბოლოს, გიგის გრძელი ლექსი მინდა ვავის-სენო, *“მთვრალი პოლიფემე ოდისევსს არეულად ესაუბრება”*, სადაც ოდისევსი, შეიძლება ითქვას ქალაქურ კულტურას განასახიერებს, მოლიფემე კი იმ უცხო, ოცნების სამყაროს. მისი თვალსაწიერია დანისცხლი მწვერვალები, წყაროები, ილაღლები და ხურჭოპიანი სატირები, მისი კუნძული იდოტების სამოთხეა და როგორც დაეინახავთ, ამ რომანტიკული, ოცნების სამყაროსგან დიდი საფრთხეა მო-

3 გიგის ყმანვილკაცობაში ერთი მძაკეტი ჰყავდა, ვისთან ერთადაც წესად ჰქონია, როცა მოთოვდა, ღამით, გაღმა ნაპირზე, ჩუღურეთი-ხანაეთის უბნისკენ, ქუჩა-ქუჩა და ეზო-ეზო დადიდნენ, დათოვლილი, მიჩუმებული თბილისური ეზოების სანახავად.

სალოდნელი, მან შეიძლება მეორეები შეგიჭამოს და შემდეგ მწინვე მალალი კულტურის მთავარი ნაყოფი, ღვინო დააყოლოს ზედ. მის ტვინში მუქი, ავი ხნულნადა, უკუნი სუფვეს, სინდრეა, იქ ყველაფერი უჩინარდება, ოდისვესი კი მოხეტიალდა, ესაა მისი მთავარი ნიშანი, იგი მშობითვარ გულის პატრონია და მისი ნაწნაღს "სიცოცხლე ქვია, / მსხვერპლის გაღება, / მარადიული რწევა წყალზე და / უძღურების ფანტიკური შემოტყვები...".

### მტკვარი, ისევ მოძრაობა

ზემოხსენებული "რწევა წყალზე" ზღვის საკუთრებაა, ზღვაზე მოგზაურობის. ქალაქში კი გიცი სულაკაურის მტკვარი ჰყავდა, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა, ხშირად პირად მითოლოგიამაც იმბობდა, ან რაიმე ამბის მოყოლისას მტკვარს პერსონაჟად აქცევდა. ეს მდინარე მოძრაობის კიდევ ერთი აგენტია გიცი სულაკაურის ტექსტებში, მაგ. ლექსში "ნაფოტის ცურვა": "მტკვარი თბილისის ნაფოტით მიაქანებდა ქვევით, ზღვისაკენ, უცხო ზღვისაკენ...". ზღვის ხმანაბა ყოველთვის მოისმის გიცი სულაკაურის ლექსებში, ან უხმოდ დგას, არსებობს, მყოფობს, თუქცა ეს უფორს ხვდა ზღვებს ან სულაც დასავლეთის ზღვას შეეხება, შვ ზღვას. ის "უცხო ზღვა" კი ქალაქთანაა გაკვირში და თითქოს განცალკევებით დგას იმ ოცნების ზღვებისგან. ამ ზღვაში მტკვარი ჩაედინება, ქალაქგამოვლილი. ამ მოქანავე "ნაფოტ-სახლშია" თავად ავტორიც, გამოკეტილი, როგორც საკანში და ისიც შეშვება დღე, უცხო ზღვისკენ: "გარედან ამას / ვინმე ცურვას დაარქმევდა, / მაგრამ ჩემთვის / უბრალოდ ერქვა, - / მიახლოება მონატრებასთან. / გუზმანით უკვე ვგრძნობდი კიდევ / უცხო წყლებს და / უთოჯლო დროს და / უცნობ ბალებს და / გაუვალ ლაბირინთში ჩასაფრებულ, / მომლოდინე, / უკვდავებისგან დაღლილ მინოტავრს...".

მტკვარი "მორევიანი მწვანეა" და მხარეთმცხე ნამოწოლილი. ეს მწვანე კიდევ არაერთხელ შეგვხვდება მდინარის აღწერისას, იგი ერთდვარ აკეთებდადაც კი იქცევა. მტკვარი ყველაფერს იღებს და სადაც მიერეკება, თანავარსკვლავედიც კი შეუძლია თხის ჯგოფით გადენოს, თუმცა ხანდახან პოეტი მტკვარში ჩახებდასაც ახერხებს და საკუთარი იერის დანახვასაც.

გავისხენით გიგის კლასიკური ლექსი, "ანტიქამირი": "ამ ლამით მტკვარი უფორ ცივია, / ვიდრე ყინულზე დაღვრილი მთვარი, თანაც მწვანეა - ადამიანთა ბოღმასავით - / წყალთან ერთად ბოღდა და ნაღველს მიაგორებს კასპიისკენ...".

ლექსში, "ქუჩის ბიჭების ვასაგონად" ქუჩის ბიჭებთან მოძრაობის სირთულეს გვხვდებით, მოძრაობას იმ მეორე გავებით, ზემოთ რომ დავექრეთ, "ძნელი ყოფილა კარს მიღობა ყოფნა, / ქუჩის ბიჭებთან მოძრაობა, / მდინარის დევნა, - ზღვაზედ მიყავხარ...". აქაც ისევ კასპიის ზღვაა, რომელზეც როგორც ჭიპლარით, მიბმულია ეს უცნაური ბებერი ქალაქი.

კიდევ ერთი ლექსი: "შე ვარ გოლიათი / და მე ვარ მკვდარი. / ე.ი. მკვდარი გოლიათი ვარ. / ჩემი

ნარჩენი ვადა მდინარეში, / რომელსაც შტევი მტკვარი". გოლიათი უხერხულად ნეეს, თავით ქვიშას ეხება, ფეხები წყალში აქვს ჩაყრილი, ცალი თვალი არა აქვს, ჩიტმა წაიღო. იქნებ ეს ის ცალთვალი პოლიფემეა რომელიც უკვე შეგვხვდა სხვა ლექსში? ახრილია. ქათქათებს რიყე და მისი კბილები, ნეეს ეს გოლიათი მარტო და წყალდიდობას ელოდება, რომელიც ამ მდინარის ნაპირები ზღვისკენ გააქანებს: "როდემდე უნდა ვეგლო რიყეზე, / მე ხომ მკვდარი გოლიათი ვარ, / ჩემი ადგილი არის ზღვის ფსკერზე, / სისხლისმძელი თევზების ბაღში...".

მტკვრის თემაში ნარცილის მითის გადააზრებასაც შეგვხვართ, საკმაოდ გართულებულადაც:

"შე ჩაიხებდე მდინარეში / და დავინახე ქალაქი, / მდინარეში რომ იხედებოდა. / კიდევ დავინახე ღრუბელი, - / იხედებოდა ქალაქში / და მდინარეში. / ზაფხულის / დაუჩინებელი მზე კი / იხედებოდა ღრუბელიც, / ქალაქიც და / (რა თქმა უნდა) / მდინარეც... / ასე ვიხედებოდი თოხივენი / მდინარეში / და რადგან წყალი გვირეკლავდა - / ვერ გავიგეთ / სად იხედებოდა თვითონ მდინარე, / ხოლო მე: - / ვინ იხედებოდა ჩემში".

მტკვარის მოძრაობას ერთიორგან თავად ქალაქის უძრაობა უპირისპირდება: "ჩამომჯდარი მტკვარზე / თბილისი...". ხანდახან კი თავად მწვანე მტკვარიც უძრავია, გაყინულია და მასზე მარტოხელა მგზავრი დააბიჯებს, ქარში, მდინარის დღუმლიში. და ვინ იცის, იქნებ კაცს "მწვანეც" შეიძლება მტკვრის ფილიალია ხმელეთზე, ადგილი, სადაც ყველაზე მეტ დროს ატარებდა ქალაქში გამოსული გიცი სულაკაური. ადგილი, სადაც შეიძლება სულემი და აწრიდლებიც სახლობდნენ.

ბოლოს ყოველთვის უძრაობა მოდის, თუმცა ამ უძრაობაში უზარმაზარი ინერცია და დაგროვილი ენერჯია იყრის თავს. როგორც გიგის მეგობრები ამბობენ, ბოლოს იგი იმდენს აღარ დახეტიალობდა, მხოლოდ თავის უბანს უტყვამდა წრეები. იმეათად გაზრდიდა მარშრუტებს, ისიც წუნუნით, ტანჯვით. სამაგიეროდ მის ლექსებში და მოთხრობებში გაფანტული ქალაქური გეოგრაფია დღესაც ზუსტად ამონათებს მისი ძველი მოძრაობის ტრაექტორიას, სახელებს, განცდებს, ფიქრებს. პირქუშად კი ფლრის, მაგრამ წარსულის სთარული, ხეტიალი და მისი თანამდევ ფიქრები ავტორის დედადედელ უძრაობაშიც არ წყდება. ეს ფიქრები სიკვდილის შემდეგაც ახურებდა გონებას. ავტორი აღარაა, მაგრამ მოძრაობა დარჩა. იგი არ გადაშენდება, როგორც მამია გადაშენდა, და არც მეორე მამია გამოჩნდება, უფროსი მამია, რომელსაც შესწივლებს: "მე გადავქმნი, ბატონო მამია...". იგი არც ნამქერში და ღამის ყინვაში გაუჩინარდება, არამედ ივლის, ფურცლიდან ფურცელზე გადავა, წიგნიდან წიგნიში იმპორტავს ძველი და მშობითვარე გულით. საბოლოო უძრაობა არ ნიშნავს, რომ ბოლოს სიმშვიდე მოვა. ჩრდილი ყოველთვის დარჩება და არ დაგვაგინვდეს, რომ მფოთვა და მოუსვენრობა მრდილებსაც ახასიათებთ:

"ჩრდილია დავრჩი და ამასაც აქა ვტოვებ  
ამ უცნაურ, ბებერ ქალაქში -  
ჩრდილების სადგურს არ მოადგავ  
მატარებელი".

დათო ქარდავა

# ძველი თბილისით სავსე ზანდუკი

“რა ვენა, ძმაო, ჩვენი ქალაქი ასეთია!” - “ხათაბლა”,  
 გაბრიელ სუნდუკიანი



ქალაქის კონვერტაცია რომ შეიძლებოდა ადამიანად, XIX საუკუნის თბილისის კონვერტირება, ერთ-ერთ ვარიანტად, უთუოდ მოგვცემდა გაბრიელ სუნდუკიანს - მწერალსა და დრამატურგს, რომელმაც თბილისში დაბადებითა და გარდაცვალებით, თბილისში ცხოვრებითა და საქმიანობით, თბილისის სიყვარულითა და თბილისზე ზრუნვით, თბილისელზე წერიტა და თბილისის აღწერით - მთელი ქალაქი, მისი ყველა ფენა, ყველა ეროვნება, ყველა ხელობის ადამიანი, მთელი მისი აზიურ-ევროპული სიჭრელე დაიტია... რომელმაც ძველი თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი, სომხურ-ქართული კომპონენტები ისე დაუახლოვა ერთმანეთს, როგორც ვერავინ მანამდე.

რუსთაველის გამზირს უხდება ილიას და აკაკის ძეგლი, მაგრამ არანაკლებ მოუხდებოდა და არანაკლები მინარსით აავსებდა ქალაქის ყოფას

გაბრიელისა და აკაკის ერთად დგომაც. აკაკის სცენაზე უთამაშია სუნდუკიანის პიესაში (თერგდალეული მიხილი “კიდევ ერთ მსხვერპლში”), მრავალი წელი გაუნელელად უმეგობრია გაბრიელთან, არაერთხელ ხელკავითაც უსეირნიათ ქალაქის მთავარ გამზირზე და სულ ზოლოს მწარე ცრემლითაც დაუტირებია უფროსი მეგობარი, როცა 1912 წლის 16 მარტს, 87 წლის ასაკში გარდაცვლილა მშობლიურ თბილისში.

თუმცა, აკაკი წერეთლის გარდა, სუნდუკიანის პიესებში უთამაშობია რაფიელ ერისთავს, ალექსანდრე ყაზბეგს, იოსებ ბაქრაძეს, ასიკო ცაგარელს, ნინო და ილია ნაკაშიძეებს, იოსებ გრიშაშვილს და ბევრ სხვას. ილიამ “ივერიაში” დაბეჭდა “პუკო”. სუნდუკიანის სპექტაკლებზე რეცენზიები უწერიათ სერგი მესხს, კირილე ლორთქიფანიძეს, ანტონ ფურცელაძეს, ნიკო ნიკოლაძესა და პეტრე უმიკაშვილს.



გაბრიელ სუნდუკიანის კალმის მოსმა ქალაქ-დზე ყოველ ჯერზე აჩენდა თბილისის ისე, როგორც ბერძნულ მითოლოგიაში მიდიის მეფე მიდასი აქცევდა ოქროდ ყველაფერს, რასაც კი ხელით შეეცვოდა. შემთხვევით არ იყო, რომ ერთხელ კოლტე ყიფიანმა უთხრა, თქვენ დრამატურგი კი არა, პოეტო ხართ, რომელიც არა რითმით, არამედ ჩვენი ცოცხალი მეტყველებით სწერთ და, რომელმაც ჩვენი ყოველდღიური უფერული მერკანტილური ცხოვრებიდან წამოაყენეთ თბილისის ისეთი ტიპები, რომლებიც არასოდეს არ გაჰკრებიანო. სერგი მესხაძე, როცა სუნდუკიანის ყველაზე ცნობილი დამდგმის, "პეპოს" შესახებ წერდა ("დროება", 1875 წ. N 137), აღფრთოვანებულმა შენიშნა, ყველა აქ გამოყვანილი პირები ჩვენი კარგი ნაცნობები არიან, იმათ ყოველ დღე, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ჩვენო.

მართლაც, რა გარემოშიც სუნდუკიანის ზამბახოვი, ოსეფა, ზომიზოვი, პეპო, კაკული, გიქო, ეფემია, ოსკან პეტროვიჩი, ისაია, გიორგი და მარგალიტი ცხოვრობენ, სწორედ ისაა ძველი ტფილისის ტოპოგრაფია, როგორც ისინი დაბარკობენ, რაც მათ აცვივით და რასაც ისინი გვახსლებიან (ღარბულ თუ მდიდრულ სუფურებზე), სწორედ ესაა ძველი თბილისის ყოფა და ყოველდღიურობა.

სუნდუკიანის პერსონაჟების აღწერა და მეტყველება მართლაც თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა XIX საუკუნის თბილისზე, მის ტიპებსა და ლინგვისტურ ქსოვილზე - ერთგვარ თბილისურ ესპერანტოზე, რომლის გასაგებად, როგორც ოსებ გრიშაშვილი ამბობს, ქალაქში ცხოვრების გამოცდილება იყო საჭირო. "ამიტომაც, ერთხელ პეპოს თარგმნა სცადეს სომხურიდან სომხურად, ვინაიდან სუნდუკიანის ქალაქური დიალექტი ყველა სომეხს არ ესმისო."

**თბილისური ესპერანტო**

1950 წელს, როცა გაბრიელ სუნდუკიანის 125 წლის იუბილე აღინიშნებოდა, თბილისში გამოიცა მწერლის პიესების კრებული, რომელსაც, წინათქმასთან და შენიშვნებთან ერთად, ლექსიკონიც დაურთო გამოცემის რედაქტორმა, ოსებ გრიშაშვილმა.

"გაბრიელ სუნდუკიანს, როგორც თბილისში დაბადებულს, ბევრი თავისებური გამოთქმა აქვს..." - წერს ძველი ტფილისის ლიტერატურული ბიჭების ავტორი და ქალაქური ლექსიკონის შემდგენელი, რომლის დახმარების გარეშე ბევრი რამე გაუგებარი დარჩებოდა თანამედროვე მკითხველს.

როცა პეპო ამბობს, სანამ რასმე იტყვის, სიტყვებს აქლემის ლობხასავით პირში ღეჭავსო, განა ბევრმა იცის, რომ ლობხა რაპათ-ლუქუმის მსგავსი ტკბილეულია, რომლის ლუქმაც კევივით იღებება? ანდა კაკულიმ რომ დაჯაჯული ლურჯი სუფრა გაშალოს, ზედ ყვითელი ჩალის კოვებში

და რამეტლსამე თეფში რომ დაანყოს, მერე ხელსახოციდან ამოღებულ დროის ნაჭერზე, მოთალზე, მწვანილსა და ლავაშებზე რომ დაბატივოს და თან უთხრას, შახე ამ ლაბალუსხაო, განა ბევრი მიხვდება, "ლაბალუსი" უმაღლესი ხარისხის დომ-ზურგიელი და სამეფო თეფში რომ არის?

"ზაპრუმალი!" - მიაძახებდნენ ხოლმე ცუდის მთქმელს და ეს ზაპრუმალი თურმე გველის შხამი ყოფილა და თუ ცუდის მთქმელი სიავის არ დაიშლიდა, ვიღაც აუცილებლად დაემუქრებოდა, ისე გავახდო, რო სეფოლის ბაიათი (ანუ დარდიანი ჰანგი) დავაბახოო... დღეს თუ ვინმეზე იტყვიან ლოთ-პაუარნააო, მასზე კარგს არც ვფიქროს იფიქრებთ, მაგრამ სუნდუკიანის თბილისში ლოთი გულმართალი, ხელგამოღლი და პატოსანი კაცია, ლოთიანად თქვამს სიმართლის თქმას ნიშნავს, პაუარნის და თეზხეულაღებულ, მხიარულ, დაუდგრომელ კაცზე იტყვიან.

ვისაც სუნდუკიანის დროინდელი თბილისური ესმის, უმალ მიხვდება, როგორ ადამიანზე ითქმის კოთხუნჯი (კუნძივით უშნო), კუპაჭია (დაბალი, მოღუბლი), მაიამა (ფეხმრუდნი), ლუუსტანი (უსინცხვილო), თავფეკილა (ქარაფშუტა), ჩაფლანა (ბეჩავი) და როგორც - ჩათუქსანი, რომელიც თოკანყვეტილი, უქნარა, მოქიფ და უჯარული კაცია, როგორც გიფომზე და კაკული არიან, კარგ ლეინოს რომ სტაქნით არ დალევენ, მხოლოდ ჯამით, სმაში შიგ სახე რომ გამოჩნდეს ქრისტიანურად...

შავან კუპუნზე (ვაჭარზე) ხალხი ამბობდა, ჰა-შაქარიო (უარის მთქმელი), რომელსაც ქვეყანა აღნათალანად (ძარცვა-გლეჯად) გაუხდიაო. ტფილისი ამ დროს სავსეა ლოტოზაზებით (ლოტოს მოთამაშებით), რომლებიც ერთად გროვედებიან ერთს ოთახში ისე, თითქოს ხოჯას ბანო იყოს. ცხადია, ყველას არ ჰქონდა ფორდრები (იჯარის) საქმე აწყობილი, მაგრამ ყველა შეძლო რიგის პურის (რიგ-რიგობით წვეულების) გამართვა და ტრაქტორში სიარული, სადაც ბილეთის სასყიდლათ მისული ხალხი იმხელა რიგს აყენებდა, რომ იტყვიდი, გელაქნური (სევანის კალმახი) მოსულაო. ახალგაზრდები ამახსაც არ სჯერდებოდნენ და ჯერ მოსიო ჰანრისთან ფორტქიანოზე თავს იხეთქავდნენ, მერე კი ერთი-ორი საათიც მადამას მიუჯვდებოდნენ, რათა ყებდათ: "კომან ვუ პორტეფუ? მერსი მადამ, მერსი მუსიო, იღვე ბოჯან, იღვე მოვეტან", ხოლო უფროსებს ქოქოლა მიეყარათ, ეს მინდაოხა და ის მინდაოხგან, ზაჰლა ნამივი-დაო...

ტროტორზე (ტროტუარზე) მოდის, სირაჯხანის სუნით ყარს, ორთაჭალის ვირსაც არ აქვს მაგოდენა ყურები; ისეთი ჭკვიანია, ტელეგრაფის მავთული მაგის მოგონილია; მუცელი აქვს აღიხანას რუმბივით - ერთი სიტყვით, ნამდილი "ფაშა და დროშია" (წარმოსადგენ ადამიანი) და თუ ტყუ-



ილს ვამბობდე და რამეც ვამატებდე ამ ფართრეტში (პორტრეტში), თორნეში დავინეცე.

### სუნდუკიანის სამყაროს ტოპოგრაფია

როგორც მწერალმა და პუბლიცისტმა, ილია ზურაბიშვილმა შენიშნა, სუნდუკიანის გმირთა მოქმედების არემარე თბილისია, ქალაქის ფარგალს ისინი არ გასცილებიანო, და, მართლაც, სუნდუკიანის თითქმის ყველა პიესასა და მოთხრობაში ("ჰამალის მასალათების" (ციკლი) ტფილისისა მთავარი პერსონაჟი, ქალაქი, რომლის "კლდე და მტკვარი ისევე ისინი არიან და ხალხი კი სხვა გამხდარა".

არ დარწმუნია საქართველოში ადგილი, სადაც თეატრი იყო და სადაც სუნდუკიანის პიესები არ უთამაშიათ საყოველთაო მოწონებითა და აღფრთოვანებით, მაგრამ ყველაზე კარგად და გამორჩეულად, თურმე, თბილისელი მსახიობები თამაშობდნენ და ამის მიზეზი მხოლოდ ის არ ყოფილა, რომ თბილისში უკეთესი არტისტები იყვნენ. თუ სუფელიორის ორმოდან მაცქერალ იოსებ გრიშაშვილს დაფუჯვრებთ, სუნდუკიანს უმთავრესად თბილისის ცხოვრება აქვს აღწერილი, რაც ასეთი მშობლიური იყო თბილისელი მსახიობებისთვის.

1932 წელს ჟურნალ "დროშის" მე-6 ნომერში გამოქვეყნდა ექიმ ნავასარდიანის, გაბრულის ახლო მეგობრის მოგონება, რომლის მიხედვითაც, მწერალი თავისი პიესების ტიპებს ქალაქის სინამდვილიდან იღებდა და "პეპოში", "ხათაბალაში" და სხვა პიესებშიც ნამდვილი ცხოვრება იყო ასახული.

"ერთხელ ამ ორმოცი წლის წინათ, მე და გაბრიელი ფეხით მივიდიოდით მეტეხის ციხის ახლოს ბაყალხანაში. ამ დროს მან დაინახა ერთი ბაყლის საეაქროს წინ მდგომი ყარაჩოელის კოხტა ტანისამოსში გამორყობილი ახოვანი ლამაზი ვაჟკაცი. მის დანახვაზე გაბრიელს სახე მხიარულად გადაეშალა და ღიმილით მითხრა: "ბაგრატ, აი ხედავ ამ კაცს, ეგ არის ჩემო პეპო, მე ეგა მყავს გამოყვანილი". ეს კაცი იყო მეოთხე, რომელიც სუნდუკიანის ძალიან უყვარადა, ასე რომ ამ კაცს ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი მოანათვლინა. ამასთანავე ხანდისხან სახლშიც მიიპატიჟებდა ხოლმე".

ამიტომაც არიან სუნდუკიანის პერსონაჟები დამაჯერებლები, თითქოს დარბაზში მსხდომი მაყურებლების კარგი ნაცნობები იყვნენ და როცა მსახიობები მურნების გამოწვევასა და მტკვარში ბადის გამლაზე ლაპარაკობენ, თვითონაც იქ არიან, მტკვრის მღვრიე ტალღებში, პეტრეს მორევთან.

"ჰო, ჰო, ჰო! რა ბადა! იმდენი ვესროლე და ისეც მთლია!.. ვესროდი თუ არა: ზმ, ზმ!.. გამოსდებდნენ, ფართხალით!.. ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს, ამის მეტი ხელობა არ ექნებოდა... რომ ისერი

და მანამ გამოსწევ, გულს ტაკი-ტუკი ვააქვს... ასე გეგონება სიცოცხლე და სიკვდილი მენგზედ ჰკიდაიო!.. მერე თუ ბნელი ღამეც არის, ასე გგონია, ვარსკვლავები ვეჭყიჭყებოიან!.. და თუ ნათელი ღამეა, იტყვი, მთვარე თითქო თავზე, ფარვანასავით მადგაო, ლოთი!... ეშხშიაც რომ შედიხარ და ფეხებიც გისველდება და ერთბაშით ისერი... ოჰ, შენი კი ჭირიმე!" ("პეპო")

სუნდუკიანის პეპოს მსგავსად ბევრ თბილისელ არჩვენ კიტკვარი, რომელიც, კაშხლებით ჩახერგვამდე და სანარმოო ნარჩენებით დაბინძურებამდე, საცხე იყო იხტიოფუნი. ბევრ ზღვისპირა ქალაქს შემუშავებოდა ტფილისის თევზის ბაზრის მრავალფეროვნებისა. თბილისელებში განსაკუთრებულად კარგი გასავალი ჰქონდა ე.წ. ცოცხალს - ყოველგვარ ჟიჟმატ (პატარა) თევზს, რომელიც, დილით დაჭერილი, იმავე დღესვე თბილისელთა საფურაზე ხვედებოდა. აკი პეპოც თაბახ მურნასთან ერთად, შინ ნავაჭრი 5 მანეთით ბრუნდება.

სუნდუკიანის თბილისში აღმანიანებთან ერთად იცვლება ქალაქის იერსახე და ურთიერთობები, წვრილი ვაჭრობა და ხელოსნობა, მსხვილი სოცდაგრებისა და მენარმეების ჩრდილი ექცევა.

"ჩემ ხელობაში ხეირი აღარ არის, ძმაო, ფაბრიკები და ზაფხულები გამარცხვდა და ჩემისთანების ოჯახი დაიქვა. სად არის უწინდელი დროება, რომ ყველასათვის თითოთი საჩვენებელი ოსტატი ვიყავი, ათ-თორმეტ ქარგალს ვინახავდი, თხუთმეტზე მეტი შევირდი მყავდა. ეხლა კი კაცათაც აღარაქვ მაგდებს" ("ბანასო ღოღრა") - ასეთი ძველ დროს, ბანაინ სახლებსა და სანთურანი დარბაზებს მისტირია.

"იჰ, სოფეჯანი! ძველ დარდებს ნუ ამიშლი. საოჯახო ტახტი იდგა ხოლმე, ზედ მთლად ერთიანათ ორხო ეფინა ხოლმე... დაღამდებოდა, ვეება მამხალას შუაზედ ავანთებდით და ფარვანასავით ყმანვილები გარს უვლიდით, ჩვენი ღამაპაც ის იყო, ჩვენი ჭალიც... მერე ტახტზედ ერთ წვერიდაც მიორენდინ ლურჯ დარახტულ სურსას გავეშლიდით, შემოუსხდებოდით გარშემო ჟიჟილით, ხივილით: პაპა, მამა, ბიძა, დედა, ძალებუბი, ძმებუბი, დებუბი... შემრიქოფე ღვინოს ჩამოაჩხრიკებოდა და აზარტოშა თავიდან ბოლომდის უვლიდა... დარბაზის სანთური გვექონდა, რომ ოცდა ხუთ ფანჯარათ ღირდა... გათენდებოდა, ცის სინათლე ექიდგან გვეწვეოდა და დაღამდებოდა, ვარსკვლავების ბრწყინვავც იქიდა... მერე ყველას ლოგინებს ერთად ვავშლიდით. შენმა მზემ და წული-წულის ვითამაშობდით. თუ მთვარეც იქნებოდა, ხომ ყველას ერთად გვინათებდა" ("დაქცეული ოჯახი").

მაგრამ მერე ქალაქი განათლებაში შევიდა და გამოცვლილა. "აქ არ იყო, რომ ქოხები იდგა? შეხედე ახლა, სან ეტაჟიანი სახლები გამოუჭიმავთ" ("დაქცეული ოჯახი").  
ეს "სამეტაჟიანი" სახლები, ცხადია, ახალმა

თბილისელებმა "გამოჭიმეს". "მრავალთათვის ისინი სასიქაღლონი არიან, ბევრნი შუენატრიან კიდევაც, რომ წინათ არა ებადით-რა, და ახლა კი სამ ეტაჟიანი სახლები გადაუჭიმავთ, კალასკები და კარტუნი გაუმართავი, მაგრამ ვისაც სინდისი და ბატონსება აქვს, ის ზიზილი შესცქერის იმათ მოქმედებას..." (" კიდევ ერთი მსხვერპლი").

სამეტაჟიანი (სამსართულიანი) სახლები ძველ თბილისში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იმე-დაიბოდა იყო. 1933 წლისთვისაც კი თბილისში ძირითადად ერთსართულიანი (62% ) და ორსართულიანი (29%) სახლები იდგა. სამეტაჟიანებით, ძირითადად, სოლოლაკი, სუნდუკიანის მშობლიური უბანი იწინებდა თავს, უბანი, რომელიც ყველაფერს თავის თარგზე ცვლიდა.

"სახელი თალალა ჩვენი უბანი არ მოუხდება. მე შენ თალინკას დაგიძახებ, თუ დასჯერდები... თალინკა კარგია. სოლოლაკში სულ ინკები არიან: დარინკა, ვარინკა, ნადინკა, კატინკა, საშინკა, მაშინკა, ალმასინკა, ზურმუხტინკა და კიდევ რამდენიც გინდა სულ ინკა და ინკა" ("ბანოს ბოღნა").

სუნდუკიანის თბილისში, რომელიც არსებითად XIX საუკუნის 60-80-იანი წლების თბილისია, თავდახურული მანდილოსნები ახლადდაგებულ ქვა-დახურულ ფეხებს იმტრევენ ("ვაჰ, გენაცვა, ამ ქუჩის ქვეშა ხომ ფეხები დამამტრევის"), თუმცა ესეც მხოლოდ სოლოლაკსა და იშვიათ უბნებში, რადგან XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე თბილისის ქუჩების 35% მოუკრეწყლავი იყო, ხოლო ასფალტის გზების მხოლოდ 1%-ს მოსავდა.

"ჰო, მეც ეგრე ვატყობ, რომ ჩვენი ქალაქის გარეგანი შეხედულება იცვლება. განათლებულ ქალაქებს ესგავსება, - ამბობს სუნდუკიანის ერთ-ერთი პერსონაჟი, თერგდალეული გიორგი, - მაგრამ სიტყვა ის არის, რომ ხალხის სული განათლდეს და ამ მხრით, ძლიერ შორსა ვართ".

"ამ ჩვენი ქალაქში, რომ ერთმანეთს არ ატყუებდნენ, შეუძლიან კაცს ერთი დღე იცოცხლოს? შეუძლია ერთი ფეხი გადადგას? რაც გინდა ხელობა სთქვი, რაც გინდა ვაჭრობა სთქვი - ერთი ისეთი ვინცა, რომ მოუტყუებლათ მიჰყავდეს იოლათ თავისი საქმე? ...ფეხვლად ჰყიდვლობ მოდინაში, რაც გინდა, ძმაო, შიგ არ ურეგია. გამომტყვარს ყიდულობ, წონაში ნაკლებს გაძლიევენ... თუ გინდა ეს შენი გრანდიის საქონლის გამყიდველები, ვნახოთ ერთი, რომელიც ვაჭრობს ალალ-მართლათ... ერთი აგრომის კარაქს ექვს აბაზათ ჰყიდან, პომადა არის... რის პომადა, რის ფლავი, რის ჩლავი? სულ მოტყუება და მოტყუება" ("ხათაბალა").

ასეთია თბილისი, მაგრამ ამის გამო, განა, ნაკლებად საყვარელია თბილისელებისთვის? გავიხსენოთ, რას მისტირის ჯოჯოხეთის ბანზე (!) მოხვედრლი ოსკან პეტროვიჩი:

"მამ ჩვენი ქალაქს აღარა ვნახავ? პრამშია თიფლის... აი, თურმე რა ყოფილა ჯოჯოხეთი... ახ, ჩე-

მი მწვანე ორთაქალაქ!" ("ოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში").

### ტფილისელი კლდიაშვილი

პეტრე უმიკაშვილმა, ფსევდონიმით "ანჩისხატის უბნელი", 1877 წლის "ივერიის" მე-15 ნომერში გამოაქვეყნა ფელეტონი "ქალაქის სცენებთან - ხათაბალა", რომელშიც გაბრიელ სუნდუკიანის პიესის "ხათაბალის" აფიშა ასე აღწერა: "გზე-ვათ, კედელს ერთი ვეებერთელა ქალადი აკრავს და ზედ ასეთი ვეებერთელა ასოები სწერია, რომ თითო ასო მოკრევე კალატოზიშვილის მუშტების ოდენა ჩიქება. ნავითხე: და აი დასწყევლა ღმერთმა, ხათაბალა არ ეწერა?!"

"ხათაბალაში" მდიდარ ტფილისელ ვაჭარ გერასიმ იაკულაჩ ზამბახოვს გასათხოვარი ქალი ჰყავს. ქონება და სიმდიდრე ვერ შველის ზამბახოვს ქალიშვილის გათხოვებაში, რადგან მისი მარგალიტა მუხუბედაია. ზამბახოვი ცდილობს მარგალიტა მოტყუებით შერთოს ცოლად ახალგაზრდა და განათლებულ გიორგის, მაგრამ არაფერი გამოსდის. ზამბახოვი ყველაფერს ფულითა და ანგარიშით ზომავს, მისთვის მარგალიტაც ვაჭრობის საგანია ("ქალის გათხოვებაც ერთი ხელობა"), სასიძო კი - მუშტარი, რომელიც შიქილება მოატყუონ მისთვის ("ფული ჭჭუის იარაღია. ბევრს საქმეს რასაც კაცი სწავლით ვერ გააკეთებს, ფულით გააკეთებს").

"ივერიის" პუბლიკაციიდან 20 წლის შემდეგ, პეტრე უმიკაშვილი ბათუმის ბულვარში შეხვდა დეო კლდიაშვილს და, როგორც ეს უკანასკნელი იხსენებს თავის მემუარებში, საყვედური ჰჰადრა სამანიშვილის ავტორს:

"მე შენ ხმას არ გცემ! - შემომიბთა პეტრემ. - რიგანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ... ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა!.. გადმოიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში - რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახევი დედინაცვალი".

ცხადია, ქართლისა და კახეთის მსგავსად ასევე საინტერესო იქნებოდა "თბილისის სურათი", მაგრამ, როგორც ვიცით, კლდიაშვილი არ გასცდა იმერეთის საზღვრებს და "თბილისის სურათზეც" სუნდუკიანის (ასევე ასოკო ცაგარელის) პიესებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. სუნდუკიანისა და კლდიაშვილის პიესების თემატიკა თითქმის იდენტურია. ორივე მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქორწინებისადმი, რომელიც, მათ მიერ აღწერილ სამყაროში, ყველაფერია, გარდა ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირისა. ვაჭრობა, მოგება-წაგება, სარგებელი, ვენებები, ანგარება, ქონებებისა და ნოდებების დატოლება, მზითევი და მატანკალ-მარებლები (სუნდუკიანთან მოციქულები) - ყოველივე ამის გარეშე არც კლდიაშ-

ვილთან და არც სუნდუკიანთან ოჯახი არ იქმნება. ჭირვეულობენ სასიძოვები, ჭირვეულობენ მშობლები, ჭირვეულობენ მოციქულები...

“კარგად იცოდე, რომ უფულოთ არავინ არავის ქალს არა თხოულობს” (“ხათაბალა”).

“ისინი ჩვენი საკადრისნი არიან? ვინ არიან ისინი, ვისი შვილები არიან?”

“ქასქანჯვილა იაგორას ხომ იცნობდი, უქანას-კნელი სახლები გაყიდა ქალის მზითვისათვის და მერე მთელ თავის სიცოცხლეში ღარიბ-ღატაკად დარჩა... რომ მოკვდა სამარხი ღღარ ჰქონდა, ღმერთმანი”.

“ახ, ღმერთო ეს რა რისხვაა, ქალი გაზარდე, ზედ იმდენი ფული დახარჯე, სწავლა მიეცი და ბოლო ერთი ტომარა ფულაც აპვიდე კიხერზედ, რომ ეგება ვინმემ ხელი დაუჭიროს და ისე წაიყვანოს... ფუ, ჩვენ ნამუსსა”. (“დაქცეული ოჯახი”)

“ლამაზი ცოლი და ფული... ორივე ერთად ჩემს ხელშია... ფული, ფული, სიტყვა ფულია... უფულო კაცი გროშად არ ღირს! რაც გინდა იწვალე, რაც გინდა იტანჯე, თუ ფული არ გაქვს, არავინ კაცად არ გაგვადებს... კარგა მდიდრები ჩანან... ოღონდ ერთი, ჩემი თავი შევაცვარო, ერთი წურბელისოდენი შრომით არ მაქვს: მივეკარ, გამოვონონე...”

“მანამ პირში სული მიდვია, მე იმას ნებას არ მივცემ უმზითვით ქალი შეირთოს” (“კიდევ ერთი მსხვერპლი”)

“საწყალი კაცი - ფულიან კაცს დაექებს, ფულიანი კი - ლამაზსა. რჩება მხოლოდ ქალის გასინჯვა. გასათხოვარი ქალებისთვის ყველაზე მარჯვე ადგილი სიონია, წორაშენი, ფეთხანი, ხანდახან ვანქი, მეიდნის წმინდა გიორგი და კიდევ სხვა საყდრები, რომელიც უფრო ახლოა ქალისთვის. კაცი კი, დაე, ჯანი გავარდეს, ირბინოს თავის ბედის საქმენადად. შევლენ, ჩემო ბატონო, საყდარში ქალიცა და კაციც, და ცხარე ლოცვის დროს ერთმანეთს ხარბად შესქქერიან. ან თუ არა და ღვთისმშობლის წინ, სანთლის ანთების დროს, კაცი ერთსაბუთ იდაყვს მოახვედრებს ქალსა, ისე, მითომ უცაბუთად და საქმე იქვე კეთდება ქალისაცა და ჩემიცა... თუ საყდარში ვერ მოხდა, ქუჩის კარები ხომ იქ არის და იქა. ან თუ არა და მუშტაიდი, სკანკეები და სხვა ბევრი ადგილები. ვისაც სად მოუხდება... კლუბები, თეატრები, ბულვარები, და ბალები ჩვენი ყაიდის ქალებისთვის არ არის? იქ მოსიარულე ქალები სხვები არიან - მოდნის ქალები არიან, თავიდან საქმეს თვითონვე აკეთებენ და ჩემიანების ბურსა სწყვიტენ”.

“თუ მოდის ქვრივები არიან, იმათთან მე საქმე არ მაქვს, და თუ ჩვენი ყაიდის არიან, ავლაბარი მხრივობით იყოს. სასაფლაო იქ არ არის? ორივეს მხრივ გადიან იქ, ვითომ თავიანთი მიცვალებულის სანახავად, მიცვალებულის სულიც ღმერთმა აცხონოს, იქ მაღლა შუამავლობს იმისთვის” (“აბანოს ბოლჩა”).

“მე ისეთი სიძე მინდა, რომ იმან მეცს პატივი და არ მე იმას. ჩემსავეთი ფულის მოგების გზა იცოდეს... მე შემინახოს... უფრო კარგი იქნება, რომ ვაჭარი იყოს და ფულები ჰქონდეს, რომ მეც დოვლათში გვგროვებდ” (“საღამოს ერთი ცხვირი”).

## თბილისის ტიპები და მათი “ტანთ-საცმელი”

როსული ურთიერთობის, კონფლიქტების, ხასიათებისა და ტრაგიკომიკური დიალოგების გარდა, სუნდუკიანი დეტალურად აღწერს თავის პერსონაჟებს. არსებითად XIX საუკუნის ტფილისის ტიპებს: მსხვილი და წერილი ვაჭრებს (“კუნუნებს”), კინტოებსა და ყარაჩოღლებს, ჩინოვნიკებსა და ხელოსნებს, მათ ცოლებსა და ქალიშვილებს (“მხარშავის ცოლი - მხარშავია, მწერალის ცოლი - მწერალია, ვაჭრის ცოლი - ვაჭარია, ერთად იგებენ, ერთად ჭამენ, ნადევლსაც შუაზედ იყოფენ, სიხარულსაც...”).

ყველა პიესას, მოქმედების ადგილის მითითებისა და მოქმედ პირობა ჩამოთავალის გარდა, ნამდევრებული აქვს “აღწერა მოქმედ პირობა და მათი ტანთ-საცმელისა”, რომელსაც მხატვრულთან ერთად, ერთგვარი ეთნოგრაფიული ღირებულებაც აქვს. მათი საშუალებით შედგინებით ზუსტად შეიძლება XIX საუკუნის თბილისის ტიპების გაცოცხლება, მაგალითად ყველაზე ცნობილი პერსონაჟი პეო ავილოთ:

35 წლისაა, მოშავო და ლამაზის სახისა, მაღალი ტანისა, მაგარის აგებულებისა, მხარბეჭიანია; შავი მოკლე თმა აქვს წინ გადმოტანილი, მოკლე კიკინები, განვდილი წარბები და სუფთა უღვაშეში, პირ-მოშავოსულია, - ორი ხელი ტანისამოსი აქვს ნამდვილის ტფილისის ლოთისა: ერთი საშინაო და ერთი საგარეო. საშინაო: ჩითის და პირკაღის პერანგი, მუქი ლურჯი დოშლული (გულის პირი), გარშემო შავ ყაითან მოვლებული, შავი ნაშურის ახალუხი, ლეკური შავი შალის ჩოხა მოურთავი, იმნაირივე შალის განვირი შალვარი, რომელსაც ტოტები მიგინდან აქვს ჩამაგრებული საცვეთების წიფე-საკრავებში. შავი ყაფიანი ნაღები, ვინრო ვერცხლის ქამარი, ბატკნის ტყავის წითელი მაღალი ქუდი, რომლის წვერი ცოტათი ჩაკეცილია და წითელი ბამბის ხელ-მანდილი. საგარეო ტანისამოსი: ბარემუშის წითელი დოშლული და შავი ახალუხი. ორივე ოქრომბეჭდის წვერილი ყაითნით გარს შემოვლებული, თითოთიკის ყვითელი ჩოხა, შავის განვირი ჩაფარიწითი მორთული, იმავე ნაჭრის განვირი შალვარი, რომლის ტოტები ისევე აქვს გამარგერებული, როგორც საშინაო შალვარს, თეთრი ყაფიანი ნაღები, მწვანე ყაფიანი შემოვლებული, შავი ბუხრის ქუდი, წვერ ჩაკეცილი, იმერული აბრეშუმის სარტყელი და ლურჯი ბამბის ხელ-მანდილი.

ანდა ვაჭარი ზამბახოვი: 60 წლის, შუა ტანისა, დარბაისული სახით და თეთრი თმებით, პირმოპარსულია, წარბები - სქელი, უღვაში - საშუალო. აცვია: შავი მალის ევროპული ტანთაცმელი. გრძელი ჟილეტი, ცოტათი განიერი შარვალი, გრძელი და განიერი სერთუკი, ზხურავს ძველი ყაიდის ქუდი - ფურაჟკა, არტყია აბრეშუმის შავი განიერი ყელსახვევი. ქუჩაში ატარებს მოკლე, კანელ ხელის ჯოხს და გრძელ, განიერ წამოსახსამს - პალტოს. აქვს - ვერცხლის ძველი ყაიდის სქელი საათი, წვრილი ლენტით შეკრული, ხმარობს მომწვანო აბრეშუმის ყვავილნარვე ხელსახოცს. ნაბაჯი - მისკიცე, ხმა - გავლენიანი. მოძრაობა და ლაპარაკის კილო - მძიმე.

ქეთევანი, ქვრივი დედაკაცი 52 წლის: ქართული ტანისამოსით. თავდახურულია, უბრალო ჩიქილა, მუქი, ყალამქრის თავსაკრავი, უშუბლისქინძისთავოდ, შავი აბრეშუმის მოსახვევი, მუქი იისფერი გულის პირი, შავი ზაფერდის არშია შემოვლებული და უბრალო ქინძისთავი. მუქი მისკიცე, ფერი აბრეშუმის კაბა და შავი ქირმანიშალის სარტყელი.

სუნდუკიანის თბილისის ქუჩებში უთუოდ ნახავთ ხელოსნის გაფაფრულ ცოლს, იასამნის გლასით (ტფილისურად აბრეშუმით) ჩაცმულს, შავ შაბაქა პლატოკით, კოხტა პერჩტკებით, გაჭიმულს, ატლასის ზონტიკით ხელში, რომელიც ისე მოდიოდა, რომ ჭკუა-გონება გააყოფებდა მნახველი:

“სამ არშინ კუდს, შლეიფს ამბობენ, რაღაც ზახრუმალს, ათრევედა უკან. გულ-ღვიძლი დამეთუთქა, შენმა მზემ, რომ იმისთანა მშვენიერი კაბა დედამიწაზედ ისე ითხოუნებოდა, და რაც გინდა თან ხეჭტავდა: ჩალა, ბალახი, მინა... მიდიოდა და თან ტრო-ტროსა ჰგვიდა...” (“დაქცეული ოჯახი”).

გიორგი მისისიანცი 27 წლის შავთმიანი, მომხიბვლელი სახის ყმაწვილი იყო, რომელსაც “ტანთსაცმელი - სულ მთლად ევროპიული”, საუკეთესო გემოვნებით ჰქონდა შეკრებილი:

“ქუდი - ყოველთვის ცილინდრი. ქუჩაში ატარებს მოკლე პიჯაკს, ყვითელ ხელთათმანებს და წვრილ ხელის ჯოხს, შინ ხმარობს - ნაცრისფერ ხალათს (ჟაკეტს) წითელ ლენტ შემოვლებულს, ასევე შავ სერთუქს და ფრაკს. ქუჩაში ატარებს - პალტოს და ხელის ჯოხს.”

გიორგი ახალი, წანსავლი თაობაა, თერგდალეულია (“თქვენც მიდიხართ და იმ მუდრეგ თერგის წყალია თუ რაღაც, სვამთ და ხდებით წმინდა: ბონურა!..”)

ახალი თაობაა ფავრის პანსიონში გაზრდილი მარგალიტაც, მდიდარი ვაჭრის, ზამბახოვის (“ხათაბალა”) ქალიშვილი, რომელსაც “გინდა ქართულად ელაპარაკე, გინდა რუსულათ. ფრანციცულიც ესმის, მაგრამ ჯერ გაბეჭდვით არ შეუძლია. პორტოპიანი ხომ არ, ასეთ პოლკებს და ვალცებს დაუკრავს შენმა მზემ, რომ ქეიფზე მოგიყვანს”.

## ანდერძი, როგორც “მშვენიერი პოემა”

გაბრიელ სუნდუკიანის წინაპრები ხელოსნები იყვნენ, ზანდუკ-სკიერების (სუნდუკების) ოსტატები და მათი გვარიც აქედან წარმოშობილა. გაბრიელმა (მეზანდუკებთან გაბრიელ ნინაშვილის გზას გადაუხვია და ხარისხიანი განათლების (1838- 1840 წლებში სწავლობდა კერძო პანსიონში, 1846 წელს დაასრულა თბილისის გიმნაზია, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტი) და შთამბეჭდავი სამოხელეო კარიერის შემდეგ, პიესების წერა დაიწყო. “სალამოს ერთი ცხვირი ხივრია” (ვოდვეილი ერთ მოქმედებად) რომ დაწერა, 40 წლამდე იყო, მალევე მოაყოლა “ოსკან პეტროვიჩი საიქოს” (ერთმოქმედებიანი კომედია), შემდეგ “ხათაბალა” (კომედია ოთხ მოქმედებად), “ახალი დიოგენი”, “პეპო” და ა.შ. ლამის სიცოცხლის ბოლომდე სულ ისეთები წერდა თბილისზე, რომ მის ღირებულებას ვერცერთი სხვა სკივრის შიგთავსი ვერ გადარწმუნის, თუმცა სტილის, გულწრფელობის, ადამიანებსა და მშობლიურ ქალაქზე ზრუნვა-ფიქრის თვალსაზრისით, არაფერი შეედრება გაბრიელ სუნდუკიანის უკანასკნელ ტექსტს, გარდაცვალებამდე 8 თვით ადრე დაწერილ ანდერძს, რომელსაც იოსებ გრიშაშვილმა “მშვენიერი პოემა” უწოდა:

“მშენებობით, მე ვწევდი, იმისთანა ალაგას, საიდანაც რაც ქვეყანა არსებობს, არავინ დაბრუნებულა.

თქვენ კარგად იყავით, დიდი დღე გქონდეთ, ჯანსაღი იყავით, გულთი მზიარული, სულთი წყნარი.

თუ ვინმესთვის რაიმე დამიშავებია, ვთხოვ, მაპატიოს, ვისაც ჩემთვის დაუშავებია, მეც ვაპატიებ წმინდის გულით: სინდისმა არა ჰქენჯნოს არასოდეს მისი გული. ჩემი დაკრძალვის დროს არავითარი სამზადისი არ არის საჭირო... შავები არც ერთ ოთახში არ იყოს და თქვენც ჩემო აზიზო სოფიო, გულთი საყვარელო შვილებო და შვილებიშვილებო, თუ შავებს არ ჩაიცვამთ, ძლიერ კარგს იზამთ.

“ვენოკები” (გვირგვინები) ერთიც არ იყოს არც სახლში, არც კარში, არც თქვენც შეუკვეთით, არც სხვისგან მიიღოთ, ადრევე შეატყობინეთ, რომ არავის ეწყინოს.

ჩემს დაკრძალვამდე სახლში არავითარი პანაშვიდი არ გადაიხადათო ჩემი სახლის მღვდელიც საკმარისია, რომ მომსვენულთათვის “მამაო ჩვენო” სთქვას, როგორც ადრე მიღებული იყო. და თუ შორეულებს და უცხოებს არ ეწყინებთ, ნუ მოვლენ ყოველ წამს და ჩემს მუელღებას და შვილებს ნუ ატვირებენ ხელახლად.

დამავინყდა თავის ადგილას მეთქვა, რომ გაზეთები არ გაავსოთ მრავალი და მახინჯი განცხა-

დებებით და უადგილო სიტყვებით...

მახლას!

ჩემი სიკვდილის განცხადება დასწერეთ უბრალოთ და ჩემს ხარისხს ნუ გამოაცხადებთ.

“გაბრიელ სუნდუკიანც-ჰამალი გარდაიცვალა (დრო), დაკრძალვა მოხდებდა (დღე) დილის (საათი) განსვენებულის ბინიდან” და სხვ.

ჩემი დამარხვის დღეს მხოლოდ ერთი მღვდელი, ჩემი სახლის ხუცევი გამიძღვეს წინ და ერთიც დავკვანი...

ჩემი ნამსახურების ჯვრები და ჩინები არც ბაღშია და არც უბალიზოდ სრულებით არ იყოს.

ბალდახინი და ცერემონიები სრულებით არ იყოს: მეტადრე ცხენების თავზე ის ბუმბულის თავიგულზე არამც და არამც არ იყოს, რომელსაც მეჭიჭინაზე მოვყავდი. რვა მუშა და რვა კინტი მონივით, რიგრიგად ჩიტვივთ გამაფრენენ. იქნება მათ შორის პეპოც აღმოჩნდეს; ეს ჩემს “პეპოს-თვის” დიდი პატივისცემა იქნება. დამარხვით, სადაც გასურთ. მე ვისურვებდი დედაჩემთან, მაგრამ იქ ადგილი არ არის, ამასთან დაკრძალულ ჩემს ბავშვების სამარეს არ შეეხოთ. ჩემს საფლავზე არავითარი ძეგლი არ არის საჭირო; ერთი დიდი ლოდი და ჩემი ჯანი!

ზედ ასე დაწაწეთ:

გაბრიელ სუნდუკიანცი-ჰამამალ. დაიბადა 1825 წ. 29 ივნისს, გარდაიცვალა 191... წ-ს.

თუ გულით გასურთ ჩემზე ძეგლის დადგმა და ამის ღირსი ვარ, ეს ძეგლი ჩემს მაგიერ “პეპოს” დაუდგეთ, სადაც მოსახდენი იქნება. მთელი სხეული იდგეს კვარცხლბეკზე თავის ტანისაცმლით, ქუდ-დახურული, ერთ ხელში არუთუნის ბარათი ეჭიროს, მეორე ხელით ბარათზე დაწერილს უჭყენებდეს. არუთინა კი ქუდ-მოხდილი და სკრეთუკით პირშავად გვერდით იდგეს. ქვეშ მინერალი იყოს მხოლოდ პეპოს სიტყვები [ზიზზიმოვს რომ მიმართავს]:

“ეს მაგ მოსატყხ ხელით არ დაგაწერია?”

ძეგლი და კვარცხლბეკი თუჯისა იყოს ჩამოსხმული; ზედ არც ერთ ალაგას ჩემი სახელი არ იყოს. ჩემი სურვილი ის არის მხოლოდ, რომ ყველას გულში და გონებაში დღედაღამ გამაგრდეს ის აზრი, რომ სიტყვის გატყხა (ჰამაქობა) დიდად სასიარცხელი რამეა ადამიანისთვის და კინც თავის ვალს არ იკისრებს, თავის მიერ მიცემულ სიტყვას არ შეასრულებს, თავის ხელმოწერილ ბარათზე უარს იტყვის, იგი კაცი არ არის, რაც უნდა მაღლა იდგეს კაცთა შორის.

ესხლა შევუდგეთ ჩემი ნათქვამის შესრულებას.

პეპოს ძეგლის დადგმა ჯერ ძალიან შორს არის; ამისათვის ახლავე არავინ შესწუხდეთ და უბრალოდ დრო არ დაჰკარგეთ. ჩემს დაკრძალვას, რაც ხარჯი მოუხდეს, ჩემი ვალია; ამის შესახებ ჩემი მეუღლე და შვილები იზრუნებენ იმ პაპია ქონებიდან, რასაც ვტოვებ მათთვის.

ქელებ-მელები სრულებით საჭირო არ არის; იმ დღის საწყლების სადილის ფული მიეცეს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას მათთვის დასარიგებლად...

მშვიდობით იყავით, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო სოფიოჯან, მშვიდობით, ძვირფასო შვილებო, მშვიდობით, საყვარელო მეგობრებო, მშვიდობით, საყვარელო ადამიანებო, რომელ ეროვნებისა, ტომის და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ,

მშვიდობით, ჩემო საყვარელო ქალაქო ტფილისო.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელი ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღიროსო.

ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს, მშვიდობით იყავით.

გაბრიელ სუნდუკიანცი-ჰამამალ. 14 აგვისტო, 1911 წ. ბორჯომი”.

P.S.

“სიკვდილის განცხადება” მართლაც ისე უბრალო დაწერეს თბილისურმა გაზეთებმა, როგორც გაბრიელ სუნდუკიანის სურვილი იყო: “დრამატურგი გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანი გარდაიცვალა ტფილისში 16 მარტს, ღამის 10 საათზე”.

შემორჩენილია გაბრიელ სუნდუკიანის დაკრძალვის ამსახველი ფოტოც: გაჭრილი საფლავის ირგვლივ დგანან ის კინტოები, რომლებმაც, დრამატურგის ანდერძის თანახმად, განსვენებულის კუბო ასწიეს და სახლიდან სასაფლაოზე გადაიყვანეს.


გაბრიელ სუნდუკიანი დაკრძალულია თბილისში, ხოჯივანქის სომეხთა პანთეონში, სადაც მის საფლავს, ასევე ანდერძის შესაბამისად, მხოლოდ “ერთი დიდი ლოდი” ადევს. გარდაცვლებიდან 110 წლის შემდეგ შეუსრულებელია ანდერძის მხოლოდ ერთი პუნქტი - პეპოს ძეგლი.

“პეპო - კინტოა, მეთევზე, მაგრამ უბრალო კინტო კი არა. ეს ისეთი კაცია, რომლის ტვინი მუშაობს, რომელიც კარგად აკვირდება ქვეყნის ბრუნვას, რომელსაც ესმის საზოგადოების წესები და დანყობილებანი, - ნერდა სურგი მესხი 1875 წლის “დროების” 137-ე ნომერში, - კინტო და პრინციპები რომ მოთავსდებოდნენ ერთად, მე ვიტყვი, რომ პეპო პრინციპებიანი უკაცია-მეთქი”.

თვითონ გაბრიელ სუნდუკიანს რომ დავეცესხით, “ბედმა გაშორით ზიზზიმოვები”, თორემ პეპოს მართლა არაფერი დეწუნებდა, მით უფრო, რომ ქართულ სცენაზე ალბათ ყველაზე ხშირად და ხანგრძლივად ნათამაშები როლია და აღარც ლიტერატურული პერსონაჟისთვის ძეგლის დადგმა მოჩანს ისეთ ნოვატოროზად, ანდერძის აღსრულებას რომ შეუშალოს ხელი.

აკა მორჩილაძე

# ღალა და თვრამეტიანი



ნათა სოფროშაძის ფოტო

ცნობილი ამბავია, რომ ქალაქის ენა უხეშია. სხვანაირად, ამას ქუჩის ენასაც ვარქმევთ. უფრო დანვრილებულად, შეიძლება უნოდონ ხოლმე ბაზრის ენა, სადგურისპირა ენა, ნავსადგურის ენა და ასე შემდეგ. ესენი, ისევე როგორც ქუჩა, ღია სივრცეებია და მილეითი ხალხი იქ ირევა. ის ადგილებია, სადაც ბანოვანსა და ბაცაცას ერთად უწევთ ყოფნა, გამარჯვებული კი ბაცაცას ენაა, რადგან ბანოვანის ადგილი სახლია, ბაცაცას კი - ქუჩა. სახლი იცავს აღზრდის სახლში დადგენილ წესებს, ქუჩა ანგრევს მათ. თუ არ ანგრევს, ცვლის, თუ ვერ ცვლის, ახალ სიტყვებს ჩაბეჭდავს ხოლმე მოზარდის გონებაში. ქუჩაში პირველად მარტო გასვლა დაახლოებით ისეა, სიღპართა რომ პირველად გამოსცდა სასახლის ვალაფანს. სიტყვები სამუდამოა. მერე იმაზეა, რამდენად დაგრა ეს სიტყვები ყოველდღიურ მეტყველებაში.

თბილისი სამხრეთის ქალაქია, სადაც ქუჩა ძველ-

თავანვე ყოფილა არა მხოლოდ იოლი გადაადგილებისთვის გაჭრილი რომაული ქვაფენილი, არამედ ცხოვრების და ურთიერთობის ადგილი. სახლის ბანიც ამის დამხმარეა.

ცხადია, როგორც ყოველი ქუჩის ენა, თბილისის ქუჩის ენაც უხეშია.

უხეშობა შეურაცხყოფასთან მიახლოებული რამაა, მის გარშემო ტრიალებს. თუ შეურაცხყოფას შეუძლია ნაზადაც გამოითქვას, ირიბადაც, ეშმაკურადაც, უხეშობა პირდაპირია. თუმცა, უხეშობა პარაკში, ღონიერ შეურაცხყოფამდე მისვლა ეგებ არც მოხდეს, მხოლოდ ასატანს დასჯერდეს. იმა-საც ხომ გააჩნია, ვინ რას მიიჩნევს შეურაცხყოფად და ვისი სიამაყე და ღირსება სადა ტრიალებს. ამიტომ, შეურაცხყოფა ფერადოვანია, მრავალსაზღვრიანი, უსაზღვრო და მრავალმხრივი. თავის მხრივ, უხეშობა პირდაპირია და თითქოს უფრო ნრფელი. ორივე იმისთვისაა, რომ ადამიანები ერ-

თმანეთს გაექაჩნო და საბოლოოდ ან დაასისხლია-  
 ნონ, ან დახოცონ ერთიმორე. ეს ქუჩის ამბავია.  
 უხეშობასა და შეურაცხყოფას შორის მოძრავი  
 საზღვრებია, რადგან რამდენი ადამიანიცაა, იმდენ-  
 ნიც აღქმა და გავება, მაგრამ არსებობს ერთი შე-  
 დარებით მკვეთრი და, ასე თუ ისე, საყოველთაოდ  
 აღიარებული საზღვარიც, რომელსაც ეწოდება შე-  
 გინება.

შეგინებასაც აქვს თავისი ხარისხები და ეს ამ-  
 ბიანი ყველა ქვეყანაში თავისებურია, საბოლოოდ  
 კი, ყველა ადამიანშიც. ჩვენი ცხოვრებით, გინება,  
 რა ხარისხისაც არ უნდა იყოს, დიდი შეურაცხყო-  
 ფაა. საბჭოთა დროს, იმ რუსის ოფიცერმა, პრა-  
 პორანტიკებს და რიგით სადამთავისა, რომლებმაც  
 ეს არ იცოდნენ, რახან ჩვენებურს ჯერ არ გადაპ-  
 ყროდნენ, უმთავრესად ცხვირიდან ძმრის დენით  
 ამასსოვრებინებდნენ, რომ გინება შეურაცხყოფაა.  
 იმათ უყვირდო, რადგან ჩვენი ვერ ვარჩევდით მა-  
 თეული დედის გინების ვერც მოხზარისგან გაცვე-  
 თილობას და ვერც სო ფორმას მან ტვაიუ-სა და  
 ტვაიუ-ს შორის სხვაობას, რომელიცაა ერთი  
 გინებაა, მეორე უბრალოდ იმედგაცრუების მსგავ-  
 სი რამის გამოხატვის საშუალება.

თუმცა, ასეთი გადახვევები შორს წაიყვანს ამ-  
 ბავს.

ქუჩის ენაში უხეშობის ერთგული მონაწილეა  
 უხამსობაც, რომელიც, ასევე, შეურაცხყოფის  
 საზღვრებზე მოტრიალე რამაა. უხეშობაში გადაი-  
 ნყვევტი შეიძლება სწორედ უხამსობის გაქანება  
 იყოს. საკუთრივ უხამსობასაც აქვს თავისი რამდენ-  
 იმი ხელსაწყო, რომელიცაა ერთ-ერთი და მნიშ-  
 ვნელოვანია ხუმრობა.

ქუჩის ენა ძალიან ხშირად იყენებს ხუმრობას,  
 ხუმრობა კი, თავის მხრივ, დიდად განსაზღვრავს  
 უხამსობის შეურაცხყოფაში გადაზრდა-ვერგადაზ-  
 რდის, ანდა უხეშობის მორბილებ-მომტკიცების ამ-  
 ბავს. თუმცა, ხუმრობით უხამსობა და უხეშობა სა-  
 ბოლოოდ მაინც ვერ არის შეურაცხყოფის გრძნო-  
 ბის მომრბილებელი, რახან, ისევე და ისევე შეუ-  
 რაცხყოფლის ხასიათზეა დამოკიდებული, გადაყ-  
 ლაპავს ხუმრობის იმ ულუფაა, რომელიც მისდამი  
 მონარტულ შეურაცხყოფაში გაზავებული, თუ არა.

ამასთანავე, არსებობს უხამსი ხუმრობა, რომე-  
 ლიც კეთილგანწყობით და შინაურულადა გამოთ-  
 ქმული შინაურთავე შორის და ის მეგობრული შეუ-  
 რაცხყოფისთვისაა, რაც ხშირად გამაყირების იერი  
 წარმოადგება, თუმცა საფუძვლად მაინც დამკვირ-  
 ვა აქვს. იგივე ხუმრობა, გამოთქმული სხვა ვითარ-  
 რებაში, დიდი უხეშობის და უხამსობის ძალისაა.

ხუმრობა უმეტესად შემარბილებელი, ამოსა-  
 სუნთქვი რამაა. ის ქუჩის ენას სწორედ ამისთვის  
 თუ სჭირდება. თუმცა ის უხამსი დაცინვისთვისაც  
 ხშირად მოიხმარება. აქედან თუა, რომ ქუჩის ენამ  
 თითქოს თავისთავად შუა ერთგვარი სიტყვები, რომ-  
 ლებიც უხეშობაა, უხამსია, შეურაცხყოფაცაა, მაგ-  
 დამ არცაა შეურაცხყოფა, რადგან გააჩნია ვის ეუბ-  
 ნები, რატომ და რის გამოისობით. ეს სიტყვები  
 იმავდროულად ისე გაცვეთილან, რომ ქუჩის მეტყვე-  
 ლების მარად თანამდევად ქცეულან.

მარად თანამდევი სიტყვები ქუჩის ენაში ბევ-  
 რია და სულაც არ არის აუცილებელი, ისინი უხამ-  
 სი და უხეში იყოს, თუმცა, ასეთიც ხშირია: გინდათ  
 - კარორე, გინდათ - ქალაქებისა მიხედვით ტო,  
 სიმონ, ვასია, გინდათ - ჩემი კაი, ჩემი დედა, ბოზი  
 შვილი ვიყო და ასე დაუსრულებლად. ესენი საუბ-  
 რისას ან წინადადებას უსარდლებენ, ანდა ბოლო-  
 ე, მარტყვასავით გამოვარდებიან ხოლმე. ამ  
 სიტყვების სისხირეები, ასე თუ ისე, ზოგადად ცნო-  
 ბილიცაა და ძნელი დასათვლელიც.

შოდა, ამ მარად თანამდევ სიტყვათა შორის  
 რესპუბლიკის ტერიტორიაზე და უპირატესად კი  
 თბილისში უკანასკნელ სამოქალაქო წელნანდს მა-  
 ინი, რასაკვირველია, იყო და არის ნიჭიერი - შეჩე-  
 მა. აშკარაა, რომ შეჩემა მანამდევ წარმოითქმებო-  
 და, ოღონდ ცოტა სხვაგვარად და მომავალშიც წარ-  
 მოითქმება, თუმცა მეტად როგორად უნდა დაუ-  
 კეთდეს, ძნელი სათქმელია. ის ნამდვილი მეთაუ-  
 რია ქუჩის ლაპარაკისა, არა მხოლოდ თავისი და-  
 ფარული ჰაზრებით, არამედ სიძველეთაც.

ყველამ იცის, რა დროს და როგორ წარმოით-  
 ქმება ეს სიტყვა. არავის ახსოვს, როდის გაიგონა  
 ის პირველად და როგორ ჩასწვდა მის მნიშვნელო-  
 ბას. ახლა არ ვიცი, როგორ არის, მაგრამ ძველად,  
 ამ სიტყვასთან პირველგაჩვევის დროებში, უწლო-  
 ვან ბიჭებს ხშირად უსაუბრიათ, თუ რას ნიშნავს  
 ზუსტად მიმართვა შეჩემა, რაის უფრო სწორი და-  
 წერის ხერხიც ალბათ იქნებოდა შე ჩემა, ეს სიტყვა  
 რომ ხშირად ინერებოდეს. იმ საუბრებში დასკენის  
 ყველაზე ღრმა აზრი ის იყო, რომ ეს იგივე დიდის  
 შეგინებაა, ოღონდ რაღაცნაირი, უცნაური ფორ-  
 მით, რადგან საკუთრივ სიტყვაში არ არის უხამსი  
 და უხეში, საყოველთაოდ აღიარებული, ყურის ნაჩ-  
 ვევი შემადგენელი გინებისა, რაიც უნდა მოიცავ-  
 დეს ტყ, ყ-ს და თუნდაც უფრო რბილად სხოვან  
 შვეც-ს. ამიტომ, შეჩემა ერთგვარად დამაბნეველი  
 სიტყვაა.

ეგვე სწორედ თავისი ირიბი ხმოვანების და გა-  
 ბუნდოვნებული მნიშვნელობის გამო ის იმგვარად  
 დარბილებულა, რომ შეურაცხყოფის საზღვარი გა-  
 დაპარულა, ერთი პატარა სამთავრო შეუქმნია და  
 დროთა განმავლობაში მეტად და მეტად გასჭირ-  
 ვებია ყოფილიყო იმგვარად ხსიტ, როგორც ქუჩის  
 სხვა სიტყვა-თქმანი.

რაც რამ მძიმე და უხემ განზრახვით არ უნდა  
 წარმოითქვას, შეჩემა მაინც ვეღარ ახერხებს, რომ  
 გინების თანადგარი გახდეს. შეჩემა, რომელიც, თა-  
 ვისთვისადა, გინებად ითვლება ხოლმე, ალბათ ერთ-  
 თადერთია გინებათა შორის, რომელსაც შეიძლე-  
 ბას უსული მოჰყვეს საპასუხო შეჩემა და ლამის გა-  
 ლექსილი პაექრობა, რაც შემდგომ დასისხლიანე-  
 ნებს დროში გადასწევს ან სულაც ძალას გამოაყ-  
 ლის ხოლმე. უცხოისთვის შეჩემა-ს თქმა შეუ-  
 რაცხმყოფელია, მაგრამ თბილისში ყოფილა ასეთი  
 სიტყვა-პასუხი თვალუბდაქარულ უცხოთა შორის:  
 მაგალითად: - მაგას (რადაცას) რას აკეთებ, შე ჩე-  
 მა! პასუხი: - შე ჩემა და ჩემიც შენა! - ჩემიც შენა  
 და დავიმატა დისპეტკერმა! თუ არ გავყო და დი-  
 მატა მამაჩემმა! ეს უკანასკნელი, პასუხიც შეიძ-

ლებს იყოს.

ამ სიტყვა-პასუხის ამბავი ასეა: ის სრულიად ქალაქისა და თან ქალაქის, რომელშიც დადის ავტობუსები. ანუ უკვე გასული საუკუნის 50-იანი წლებია, რადგან მაშინ დაიდაგა გარეუბრებზე დისპეტჩერის ფიზურები. საუბრის არჩეო კი ის არის, რომ ამ შემთხვევაში შე ჩემმა ჯერ კიდევ მეტად ხისტიო, ვიდრე შემდგომში შეიქნა. იმავდროულად, შე-მორჩა მაგალითები, როცა აქა-იქ შეჩემა მეგობრის ან ზოგადად რომელიმე ადამიანის პირსინა, თუ პირსუკანა მეტსახელებშიც ჩნდებოდა და, უმეტესად, ეს არევის სწყინდა. მეტსახელებში კი იმიტომ, რომ მეტსახელის პატრონი ხშირად ნარმოთქვამდა ამ სიტყვას და ეს საახლოლო წრეში სახუმაროდ შეიქნებოდა ხოლმე. ანუ სიტყვას მაშინაც ჰქონდა რბილი მნიშვნელობა, თუმცა, უცხო გარემოში ის შეურაცხყოფად გარდაიქმნებოდა ხოლმე. რაც, ალბათ ახლაც ასეა.

რბილი მნიშვნელობით შეჩემა ახლო მეგობრის სახელის მაგივრადაც გამოიყენება: სადა ხარ, შეჩემა? იგივეა, რაც, სადა ხარ, ტოო და სრულიად არაფერს ნიშნავს როგორც მხარად თანმდევი სიტყვა.

როგორც მრავალი სხვა ქუჩის სიტყვა, შეჩემა მესამე, იქ არ მყოფ პირზეც ვრცელდება - ეგ ჩემისა - რაც, ჩვეულებრივ, განახყენების ან აგაღებული დამოკიდებულების გამოხატულებაა.

სწორედ აქ გაგვახსენდება, რომ შეჩემა-ს აქვს გავრცელებული ფორმა, ალბათ უფრო ნივანდელი, მაგრამ დღესაც ცოცხალი და ალბათ შეჩემა-სთან შედარებით ერთი მეოთხედით მოქმედი - შე ჩემისა, რომელიც უფრო აზუსტებს მის არსს.

თანამედროვე შეჩემა ორი სიტყვისგან შენ და ჩემი შედგება. ორივე უიოლესი და უხშირესი ქართული სიტყვაა და ცალ-ცალკე მათში არც ხუმრობის კვალია, არც უხამსი მნიშვნელობა. მაგრამ ერთად ეს ორი სიტყვა შეურაცხყოფაა, რომელიც უმეტესად არ აღიქმება შეურაცხყოფად სწორედ ამ ნიღბის გამო. შენ - აქ პირდაპირი სიტყვაა, ჩემი კი, შენიღბული, თუმცა ყველამ იცის, რას აღნიშნავს ამ შემთხვევაში. ჩემი - მამაკაცის სექსობრივი უნარების სიმძლავრეს და მისით მეტოქის შეურაცხყოფის გარდუვალობას გამოხატავს. ამიტომ ჩემი და ჩემისა აქ სწორედ იმ დამატებულის აღმნიშვნელია, რომლითაც განმარტავს საბა მთავარ ქართულ საცინებელ სიტყვას თავის დიქციონარში. ასე გამოიღის, რომ დავამატებლეს ჩემის შეხებით. თუ კიდევ მეტიო, ამბობს ეს შე ჩემი-ჩემისა. უმეტესად, ერთსქესიანი ძალადობრივი დამცირების ამბავია, მოკლედ. ამას ერთგვარად მივყავართ საბჭოთა საცხოო საშუაროსკენ, სადაც ამ ნიღბით უწყინარი შეჩემა-ს უკან ერთ-ერთი იქაური დაუნდობელი და შეურაცხმყოფელი ადამი იმალება, რომელიც პატიმართა შორის არსებობდა, შესაბამისი სიტყვებით და ჯგუფებით: თავისი ჩარტყმა, პეტუხი, მოგვიანებით გაქართულებული ქათამი და სხვა ასეთები და რომელიც პატიმრის სხვა პატიმრების მიერ ცხოვრების ფსკერზე ჩაგაშენანს გულისხმობადა შესაბამისი ძალადობრივ-დამამცირებელი ხერხებით.

მაგრამ ეს გვიანდელი ამბავია, სწორედ იმ დროის, როცა იქმნებოდა დღევანდელი შეჩემა, რაც სწორედ თბილისის დიდ ქალაქად გადაქცევის დროების დასაწყისია - ისევ ის ორმოცდაათიანი წლები, როცა შეჩემა ლამის ქუჩის საბავშვო ენის გასატყუხებით გამოიწვია: შე ჩემის ტუზო, აქლემის კუზო, ვირის ტორმუზო... ეს უბრალო შიირიც დიდ ქალაქში შეჩემა-ს გამოღვიძების ერთ-ერთი მაგალითია.

საერთოდ, რაბან შეჩემა ასეთი ნიღბიანი და მოქნილი რაბაა, მასზე სხვა სიტყვის ნამბაც ბევრად იოლი გაზოდა. შეჩემა-ს კრიტიკმა ნაირგვარი სიტყვა-თქმები, რაც ხუმრობის გაქნებას ზრდის: შე ჩემის ტუცნა (ტუცნა მთაში ნაბოლარას ან შეჯიბრში ჩამორჩენილს ნიშნავდა), შე ჩემის ტრუ-ლაილა (ეს ბევრად ძველი თქმა უნდა იყოს, რადგან საკუთრივ ტრულაილა და ტრალაილა, ინგლისური საოხუნჯო სიტყვების რუსული თარგმანია და მისი ფესვები უცნობია, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს სიტყვები ორ ლიტერატურულ კაცუნადაც გადაიქცა, რაიც ლუის კეროლის ოხუნჯობის წყალობაა. ამასთან ერთად, რაღაც მელოდიაც არსებობდა) და სხვა ასეთები.

რა თქმა უნდა, ამ გამოთქმებს შორის ყველაზე ყურმოსახვედრია შე ჩემის თვრამეტეიანი და ისიც ურყვევად მიგვანიშნებს დიდ ქალაქზე, ანუ თბილისზე. შე ჩემის თვრამეტეიანი არსებობს იმ დროიდან, რაც ქვეყანაში, უპირველესად კი, თბილისში თანამედროვე ავტომანქანები მოშრავდა. ეს ჯერ კიდევ ის ხანაა, როცა სახელმწიფო ავტომანქანები ბევრად მეტი იყო, ვიდრე კერძო და მათი გარავი, სადაც ავტომანქანების შესაკეთებელი ხელსაწყო-გასაღებები ინახებოდა, განსაკუთრებული ადგილი იყო. იმავე გარაუქების გარშემო იქმნებოდა მძღოლთა თემები, ახალი სიტყვებით, თქმებით, მერე გამქრალი სუბკულტურითაც კი. მაშინ მძღოლებს მხოლოდ შოფერებს ეძახდნენ და ეს არ იყო იოლი ცხოვრებისა და ბედის ხალხი და არც მაინც-ცდამინც უბრალო ხასიათისა. მათმა მეტყველების ფორმებმა ოდესღაც საკმაოდ შესძინა ქალაქის გარემოს. ესეც დიდი ქალაქია.

ყოველი მძღოლს უკვე საბარგულში ედო იმ ხელსაწყოების ყველა, რომლითაც გაზაზევ შეაკეთებდა მანქანას. ყუთის შემადგენლობა თანდათან ორთულდებოდა და ქანჩის გასაღებებსაც, სახალხო კლუბებზე წოდებულს, თავისი სახელები ჰქონდა, თუმცა, მძღოლები მათ უფრო ნორმებით იხსენიებდნენ, მოსაჭერი ქანჩის სიდიდის მიხედვით. ჰოდა, არსებობდა და არსებობს ასეთი კლუზი, თვრამეტეიმეტეიანი ქანჩის მომჭერი.

თვრამეტეიანი თავისებური იერისა იყო და ამიტომაც მიიქცია ქუჩის ენის ყურადღება და მძღოლთა ნარმოსხვის ერთი მნოსახვევიც დაგვანახა: ამ ხელსაწყოს ერთ ბოლოზე გახსნილი პირი ჰქონდა, მეორეზე - ტეხილად თავმკერული. სწორედ ამ თავმკერულმა პირმა შევა გამოთქმა. შე ჩემის თვრამეტეიანო-ს დაბადებაში ალბათ ცოტა ხუმრობაც ერია, მაგრამ ის სრულიად იმეორებს დამცირების და შეურაცხყოფის შეჩემურ ფორმას, ოღონდ უკვე დი-





დი ქალაქის აუცილებელი ნივთის დახმარებით. ანუ შეურაცხყოფილი, როგორც პიროვნება არის თვრამეტმილიმეტრიანი ქანჩის შეკრული პირი, რომელიც შეურაცხყოფლის სიამაყეს ზედ მოერგება და შეაკეთებს, მოემსახურება. მომსახურების საკითხი შეჩემას განუყოფელი ნაწილია, რადგან შეუნიღბავად ეს სიტყვა იძულებითი მსახურების, ანუ უფრო მდებარე, მსახურებითი ერთსქესიანი გაუპატიურების თქმაცაა. ერთსქესიანი გაუპატიურებით გინება, დამცირების უკიდურესი ფორმაც შეიძლება იყოს.

ჩვენში ჩვეულებრივი ადამიანისთვის დედის შეგინებაზე მეტი შეურაცხყოფა არ არსებობს. სამაგიეროდ, რაღაც იშვიათი შემთხვევის და გარემოების, ერთი-ორი საგინებელი ფორმის გარდა, არ არსებობს ადამიანის პირადად მისი შეგინებით შეურაცხყოფა, რაც არსებობს სხვა ქუჩის ენებში, სადაც დედის გინებით შეურაცხყოფის ხერხი არ არსებობს. პირადი შეგინება ამ დამდაბლებით, ნაცნობ ასოთა წყვილ ტყ-ს რომ გულისხმობს, ქართულში იმის ნამცეციც არაა, რაც რუსულსა და ინ-

გლისურში. რაც არის, რუსულიდანაა გამოსული.

აქ კი ისევ მივიღვართ იმ საბჭოთა ციხეში, სადაც ადამიანის შეურაცხყოფა და განადგურება, მისი გასამართლება გარკვეულ ვითარებებში სწორედ პირადი სქესობრივი დამცირებით ხდებოდა. ეს იყო იქ უკიდურესი შეურაცხყოფა, თითქმის სიცოცხლის, უფრო კი ღირსების სულ ბოლომდე წართმევა. შეჩემა გარეგნულად კი მრისხანებადაკარგული სიტყვაა, მაგრამ ერთგვარად ამ ამბავსაც მოიცავს: რუსული პირდაპირობით რომ აღვნიშნოთ, აპუშჩენის და აბიჟენის-ს ქცევას. დღეს ციხის შიდა ადრით უკვე კრძალავს ამ ფორმით ადამიანის უმდაბლეს-უსუფთაოთა წრეში დამკვიდრებას, მაგრამ იმ დროში და იმ სამყაროში ეს საყოველთაოდ მიღებული რამ იყო.

სწორედ ორმოცდაათიანი წლებია ის ხანა, როცა სტალინის საბჭოთა ციხე- ბანაკობა ქვეყანაში გამოსვლას იწყებს დიდ ამნისტიათა შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ ბარე 60-იან წლებამდე მოქმედებდა 101 კილომეტრის წესი, რომელიც გარკვეული მიუხელებით ნასამართლევ ხალხს დედაქალაქებ-

თან და საერთოდ დიდ ქალაქებთან მიახლოებასაც კი უარსაძლავდა, შემდგომისთვის ეს უარსიც კი გამოდგა: "მეორეხარისხოვანი" დაბა-ქალაქების ათეულობით მილიონმა ადამიანმა საბოლოოდ შეითვისა იქამდე უხილავი, მხოლოდ ფულაგისა და ქალაქის ერთ სუბკულტურული ჯგუფისთვის ნაცონობი, საპატიმრო ქვეყნის ენა. ეს ენა შეერია პარტიულ ენას, შეერია უამრავ საბჭოთა ენასაც და დიდად ჭრელ ლევიათანად იშვა.

ამ ციხის ენას აქვს თავისი წილი პოეზია, ოღონდ არცთუ რასული და მხოლოდ მის მშობლიურ ფორმასში, ანუ ურსულად. ოდესღაც ამ სამყაროს ქართულ ნაწილს ბევრი ქართული ან გადმოქართულებული სიტყვა გააჩნდა, მაგრამ მერე ყველაფერმა მივილო და უშეტესად პირდაპირ რუსული გადმოვიდა. ეს ახალი ენა, დიდ ქალაქებს რომ უკანმოუხედავად მოეფო ორმოცდაათიანი წლების მინურულიდან, შეტაკებული ქუჩის ენასთან, რომელსაც თითოთს კიდევც ჰგავდა და არ ჰგავდა, იყო ბევრად უხეში, თუმცა ნაკლებ თავისუფალი, ვიდრე საკუთრივ ქუჩის ენა და მისი მინარევები.

სამაგიეროდ, მისი ხისტი და დეგმატურობა ტენიდა ქუჩის ენაში უხეშ, ძალადობრივ და დამამცირებელ, უშეტესად პორნოგრაფიულ სურათებზე დაფუძნებულ თვითგამოხატვას. ეს უკანასკნელი ქუჩის ენას არ აკვიადა, მაგრამ მუქარა ციხისაში მეტად შთაბეჭდავი იყო და, შესაბამისად, ის იმარჯვებდა დიდი ქალაქის ქუჩების ცხოვრების წესთა ფონზე. ამგვარი რამ ბევრ ქვეყანაშია, მაგრამ საბჭოთას ძნელად რომელიმე შეედაროს სექსობრივ-ძალადობრივი არსით.

იმ წლებში, ალბათ ბევრმა სიტყვამ და სიტყვათშეთანხმებამ გამოიღობა, მაგრამ, ეტყობა ორ-სამ ათწლეულში ისევ გაქრა, რადგან უფრო ხალასი და სახუმარო, ძველი თბილისის თარგისა იყო და ვერ გახუდო ციხის ენის უხეში ძალის დაწოლას, მისი არათავისუფალი სისასტიკის გამო.

შერემა-ც ალბათ მაშინ გახშირდა და პირიქით გადაჩრა და გაუბრალოდა კიდევ. სწორედ ამ უბრალოებით და უწყინარი ნიღბით თუ მოედო ქვეყნას. ამის მიზეზი ალბათ ძნელი ასახსნელია, მაგრამ, თუკი აქამდე ჩრდილოეთი ვტრიალებდით, ახლა სამხრეთით უნდა ნავიდეთ, რაც გასაკვირი არაა, რადგან თუ ახალი დამპყრობელი ჩრდილოეთითაა, ძველი სამხრეთით ჰფენილიყვნენ.

საყოველთაო შერეობის ხანაში წარმოითქმის ფორმებს შორის უდავოდ შესამჩნევი და საინტერესოა შექმნა, ანდა შექმნა.

გვიანდელი ხანის თბილისელების ეს ყურის-მომჭრელი, დასაციხი ხმოვანება იყო, რომელსაც აშკარად იმერული მახელები ახლდა და იმ დროის გავრცელებული შეფასების, "სოფელიზმი" უტყუარ ნიშნად მოჩანდა. რასაკვირველია, გვიანდელმა თბილისელმა არ იცოდა, რომ ადრინდელი თბილისელიც, თუნდაც მისი მამა, თუკი წარმოითქვამდა ამ სიტყვას, სწორედ ისე წარმოითქვამდა, როგორც ის "სოფელი" და შექმნას ასე გამოითქმასაც უფრო აღმოსავლეთქართული ხმოვანება ედო საძირკველში, ვიდრე იმერული. უბრალოდ, დიდმა ქა-

ლაქმა თანდათან მოაკეცა ბოლო ამ სიტყვას.

სხვათა შორის, ამ, ახლა იშვიათი, მხოლოდ სახუმაროდ დარჩენილ გამოთქმის ფორმასაც ჰქონდა სახალისო გაგრძელება. ასე იტყოდნენ: შე ჩემანაო - არშინ მალაო. ეს შერთიშება მომდინარეობდა ჯერ კიდევ რუსთა-ხელმწიფის დროიდან განთქმული აზერბაიჯანული ოპერეტის არშინ მალაანის სათაურიდან. ოპერეტს განთქმული იყო დიდდა კავკასიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, როცა სტალინმა სახალისო და მუსიკალური ფილმების გადაღება ბრძანა, ხალხის გასართობად, არშინ მალა ალანი განთქმულ საბჭოთა ფილმადაც იქცა და მისი მელოდიები დღემდე ცოცხლობს, იმავე ქართულ დუქნის სიმღერებშიც.

თავად შექმნა-ს პირვანდელი გამოთქმა კი სამსიტყვიანია: შე ჩემან ლალა. ეს კი ნიშნავს, რომ ის გვარიანად ძველი სიტყვააერთობაა. საუკუნეებს ახლა ვინ გამოითვლის, მაგრამ, უცნობი სიტყვა ამ შემთხვევაში ლალა გახლავთ. თუმცა ის არც ისე უცნობია. აბა, თუ გვახსოვს მეთექვსმეტე საუკუნეში ქართულ სულთნის ბრძანებით წამოსული ლალა მუსტაფა ფაშა? გვესხება. მგონი, მისი სახელი სკოლის წიგნშიც კი ეწერა. სიმონ მეფე და მთელი ამბები. სიტყვა ლალა, როგორც მრავალი აღნიშვნელი ჩვენს შემოგარენში, სპარსულიდან მომდინარეობს და აღმზრდელ-გამზრდელ მამაკაცს, მასწავლებელსაც და მოკლედ, მთელს ამ ამბავს ნიშნავს, ჩვენს ლექსიკონებში მის განსაზრტად დამატუქც კი მოიხსენიება.

ოღონდაც, ოტიმანთა ხელში ლალა დიდ წოდებად ქცეულა: ლალა ყოფილა მემკვიდრის გამზრდელი სულთნის კარზე. სელჩუკთ უფრო ათაბაგები მყოლიათ, მერე კი სპარსული ლალათი შეცვლილა. ლალა გამზრდელ-აღმზრდელი ყოფილა სეფიანთა ირანშიც, იმ ჩვენს გამამზარებელ შაჰთაშა-შაჰაბასობის დროსაც. ამნარი ლალები მერე დიდვეზირობამდეც კი მიდიოდნენ სულთნის კარზე, მაგრამ, ასეთ თუ იხე, ლალა მამაკაც აღმზრდელს ნიშნავს. ეს მახაზურების დიდი და განსაკუთრებული ხარისხია. უფრო დაბლა, გაძიძავების საყოველთაო წესსაც მოკვრავთ თვლას, ნახე შენი გამზრდელი და ასე უშედეგ.

შეცხამეტე საუკუნის ქართულ მემუარებსა და ნაწერებში სიტყვა ლალა ჩანს ხოლმე, ოღონდ, რასაკვირველია, ბევრად ცნინი მნიშვნელობით. ლალა - მოძველები კაცია. უფრო თუ ჩახეხვებით, საინტრის ქართული შესატყვისიც კი გამოდის, სწორედ მაშინ ჩამოქნილ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში. ასეთი სტრიქონიც არის ერთ მოგონებაში: საუადამყოფოში მივედით ალექსანდრე ყაზბეგის სანახავად და ლალამ გამოიყვანაო. ეს საერთოდ არ არის ქართული სიტყვა. მოძველები მსახური.

შექმნა-ს ძველებური გამოთქმა კი იყენებს ლალა-ს, ყოველგვარი დიდი ქალაქის ამბობის არსებობის გარეშე. ესე იგი, პირვანდელი შექმნა გაისმის, როგორც შე ჩემის გამზრდელი, ანდა მომვლელი. რაც უფრო აღმოსავლური ყადის შეურაცხყოფაა, ვიდრე გვიანდელი და ხისტი, შე ჩემის

თვრამეტეიანიო. ამას კი იმ დიდი უზედურებისკენ მივყვართ, რაც ოდესღაც ფეხმოკიდებულიყო საქართველოში.

ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მწერლები ბევრს წერდნენ ბატონყმობის, უფლებო ადამიანის შესახებ. ამას, რა თქმა უნდა, ებოდა ისტორიული სამინელები, ტყვეთა სყიდვის ხსენებაც, რაზეც მეოცე საუკუნის დასაწყისში კონრდელე თათარაშვილმა რომანიც დაწერა. სხვა გასაჭარსა და ჭირთა ერთად ტყვეთა სყიდვამ ქართული სამეფო-სამთავროები სულის მღაფავ ადგილებად აქცია. ამ საზოგადოარი საქმონობის საფუძველი, ცხადია, იყო მოთხოვნა სამხრეთის მძლე ქვეყნებისგან, რომლებიც საქართველოს სამეფო-სამთავროებს თავიანთ ერთგვარად ავტონომიურ ნაწილებად განიხილავდნენ და აქედან შესაბამისი გადასახადიც მიჰქონდათ. სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, ამ მხრივ, განსხვავებებიც იყო და საერთოც. მხოლოდ ჩვენი უზედურები არ იყო ეს ტყვეთა სყიდვა, მთელი ბალკანეთი და ჩერქეზობაც, სხვანიც რომ არ ვახსენით, ენამებოდა ამ საქმით.

ის კიდევ ცალკე ამბავია, როგორ შენდება იმპერიები უცხოეთიდან ძალით მოყვანილი ხალხების ხარჯზე. ტყვეთა სყიდვა ერთი ცალკე საქმიანობა იყო, მაგრამ ქართველ მეფეებს შეთანხმებულ გადასახადადც ევალებოდათ ყოველწლიურად ადამიანების გაგზავნა: იქ ახალგაზრდებიც იყვნენ და, ვთქვათ, ხელოსნებიც, მოვაჭრენიც. თორინადში ოცი კაცი, ოცი ქალი ან თორმეტი კაცი, თორმეტი ქალი. დარჩენილია ამბები, რომ სიმონ ქართლის მეფე ცდილობდა სპარსეთში ქართველების ნაცვლად, სხვა, ნაშოვნის, ნაყიდი, თუ ნატყვევარი ადამიანების გაგზავნას, ხოლო მეფერამეტე საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის ზავი, მთავარი შეება იმერეთის მეფე სოლომონ პირველისთვის, იმ ზავში ჩანერული წინადადება იყო: ამიერიდან იმერეთი ქალ-ვაჟს აღარ გაუგზავნის სულთანსო. მანამდე ერეკლემ შეუწყვიტა სპარსელებს და იქიდანაც აღარ გამოჰკიდებინა. თუმცა ეს მორჩილების გადასახად მეტად იქონია ტყვეთა სყიდვის ბაზართან და მის მოთხოვნასთან შედარებით. მეტიც, პირდაპირი, დანეროლებითი შეკვეთებიც არსებობდა, ამნარიც და ამნარიც გოგოს ვიყიდეთ და ამნარიც და ამნარიც ბიჭსო. მგონი, ანტონ ფურცელაძის ერთ ნაწერში კრთის ასეთი ჯავრი, აღარ იყო ჯანი, უკვე გარეგნობის ისეთი დანეროლებით ითხოვდნენ საცუმებოვოდ.

ცუმებში. თბილისის ქუჩის ენაში ცნობილი, დღეს ნაკლებ გასაგონი სიტყვაა: ევ ცუმებში, ეგა!.. ზმნაც გამოდის ხოლმე - ეცუმებუება. ჩვეუბური მნიშვნელობით ესაა ადამიანი, რომელიც ვიღაცას მოქეწენ-ლაქუცობით ემსახურება, ვიღაც სასურველს. უფრო დამებალებითაც ითქმობა, ჩემი ცუმებუშაო. მეტიც, ცუმებუშ, მიდი ერთი ესა ჰქენდა. ეს სიტყვა ჩვენთან ოსმალეთიდან მოსული, ნაცოც გაერთობას, სიამონების მინიჭებას გულისხმობდა. ახლანდელ თურქეთში ამ სახელის სიმეზიანი სპირაეც არსებობს, რომელიც ჩვენს დროში მოყოლია ერთ მუსიკოსს. თუმცა, ცხადია, რომ

ცუმებში სურვილი, იმ დროში მუსიკას კარგად შორს სცდებოდა. ეს სიამონების და განცხრომის მსახურება იყო ზმირად უნლოვანთაგან. ამ მსახურობით ემბის ცუმებში ჩვენს შექემან ლალას.

ასევე დიდხანს ცოცხლობდა სიტყვა თუქუსი, რომელიც გვიანდელ თბილისში გულისხმობდა უარყოფითად მოხერხებულ ადამიანს, ეშმაკს. ეს სიტყვა ალბათ ბერ ენაზე ნიშნავს რამეს, მგონი, გამარჯობასაც კი, მაგრამ ჩვენითვის სინტაქსო მნიშვნელობა ქოსაა. იმ ძველ ქოსას, ქუჩის ზრებში, ირბი, მაგრამ ბევრი ნაბიჯი არ უკლია საჭურო-სამდე, დახურულ ოთახთა კარამდე, განცხრომამდე, მატრონის მომსახურებამდე. ეშმაკი ახალი მნიშვნელობაა: რეზო გაბაშვილი მრისხანედ წერს მენშევიკების დროის თბილისის ერთ-ერთ ქალაქის თავზე, ზედ რუსთაველიც გაგვიხსნა ბიჭების სათუქუსსოო. რაც ალბათ ფარული, მაგრამ ყველასთვის ცნობილი კლუბ-ბორდელის არსებობას და ქალაქის უფროსობისგან მასთან არშებრძოლებას თუ გულისხმობს.

შე ჩემან ლალას უკან დედას კიდევ ერთი ამბავი, დღემდე ცნობილი ავანთიდან, როგორც ბაქშა ბაზი, მსოფლიოში გათქმული ჰალდე ჰუსეინის რომანითაც საბრალი ბიჭის შესახებ, რომელიც მავან მძლე კაცს დაუშონებია. ბაქშა ბაზი, ანუ ბიჭებთან თამაშო, სრული კაცის თვალისა და ხორცის სატკობი მონა ბიჭის არსებობას ნიშნავს და თავის მხრიდან ეხმინება საცუმებოვად, განცხრომისთვის ნაყიდს. საბოლოოდ, ცვეკვას ბერი აავეინ დაეჯერებს, სქესობრივი-მონა მსახურია და ტყვეთა სყიდვის ყველაზე სულის მკვლელი ნაწილი. ბავშვებისა და მოზარდებისგან ყველა სულთნის ცოლი, ეგვიპტის გამებელი და თუნდაც იანიჩარი და მამელუქი არ გამოდიდა. ეგ ზღაპარია. ოსმალეთშიც იყვნენ ქალად ჩაცმული ქუჩაკები - მოცუკავანი, რომლებსაც სულ უცხოელთა რიგიდან გამოზრდიდნენ.

ბაზა ბაზის ძირი სპარსულია და სიტყვაც სპარსულიადა, ოღონდ წარმოთქმა ცოტა სხვა, თორემ იქაურადაც პატარა ბიჭით და ბოჭთან თამაშობას ნიშნავს. ამას შვიძლება ცალკე საფიქრალი გაგრძელებაც მოჰყვეს, ოღონდ ევ კიდევ ცალკე ამბავია. ადრე ეს ბაზა ბაზობა, ნაირგვარად ბევრგან ყოფილიყო, იქეთ უკიდევანო მინებზე და პოსტონ დრომდე მხოლოდ ავღანეთსა და აქა-იქ სპაიტანს შემორჩევიდა. ეს ქალად მოცუკავე ბიჭი სხვაგანაც ხომ არის და არის, სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა დროსა და მხარეში. საქმე მონა-მომსახურეს, სიამონების, იძულებას, ძალადობას და ტკივილს მეხება.

შექემა კი ალბათ ყველაზე უცნაურად ცოცხალი სიტყვაა ქუჩის სიტყვების შორის.

სიჯოუტაც გტყობა.

ჰოდა, როცა ქუჩაში გადავხვევით დიდი ხნის უნახავ ძმაბიჭს და ჩვენებურად, კეთილი წყნობი, ყვენობა დღის ხალისით და ხმით შეუფასებთ.

- სად დაიკარგე, შექემა, ტოო, - რაღაც ისტორიას ვყვებით, დავიწყებულს, გაუგებარს, მიძიმეს, უშნოს, ძალაგამოცლილს, მაგრამ მაინც ჩვენზე.


ხუნ პაბლო ვილიალობსი

# ჩანახატი ნაცრისფერი ჟირაფის ფონზე

ესპანურიდან თარგმნა დოდო ყვავილაშვილმა

“როგორ სამყაროში მოვხვდი?”

სერხიო პიტოლი, 29 მაისი, 1986 წელი, თბილისი, საქართველო



ამ ამბავს ორი დასაწყისი აქვს და ოცდათექვსმეტწლიანი ინტერვალით გამოგზავნილი ორი მოულოდნელი წერილით იწყება. მოულოდნელი არა წერილების შინაარსია, არამედ მათი გამოგზავნის ეგზოტიკურობა; სინამდვილეში, როდესაც პირველმა გაოცებამ გამიარა, თავად წერილის შინაარსში გასაოცებელი ვერაფერი დავინახე, სრულად მიესადაგებოდა კულტურული დიპლომატიის სტანდარტულ ფორმას, რომელიც ოფიციალურად მიწვევდა საქართველოს მოსახლეულბლად.

პირველი წერილი სერხიო პიტოლმა 1986 წლის დასაწყისში მიიღო და მისი ავტორი საქართველოს მწერალთა კავშირი გახლდათ. მეორე - ელექტრონული - 2022 წლის თებერვალს გამომიგზავნა იუნესკოს მსოფლიო ნიგნის დედაქალაქის - თბილისის საორგანიზაციო კომიტეტმა. ოცდათექვსმეტი წლის წინ მიღებულ მიწვევას პიტოლი სიხარულით დასთანხმდა, რასაც მოსკოვისა და ლენინგრადის წინამიწვევებიც დაემატა. მე რაც შემეხება, წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოვეცეულიყავი. თბი-

ლისში რა მიზნობა, ნეტა რა დამკარგობა? რუკა გადავხავე და აღმოვაჩინე, რომ ჩრდილოეთით ამ ქვეყანას რუსეთი ესაზღვრებოდა და უკრაინასთანაც ახლოს იყო. არც იმ ფაქტის უგულებელყოფა ივარგებდა, რომ მხოლოდ თოთხმეტი წელი იყო გასული რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ოკუპირებული ორი ტერიტორია არსებობდა - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

მინველის საკითხი ოჯახში განვიხილე და ჩემმა ბრახლეულმა მეუღლემ, როგორც ყოველთვის, მირჩია, დავთანხმებულყავი. მისთვის, როგორც ლინგვისტისთვის, ძალზე მიზნობრივად აღმოჩნდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ენის სამშობლოს ნახვის პერსპექტივა. თანაც, იდეალური გეგმა იყო ჰანდემის ორწლიანი კარჩაკეტილობის შემდეგ.

ჩემს მასპინძლებს ვთხოვე დაედასტურებინათ, "შექმნილი ვარემოებების ფონზე" მათი მოწვევა ნამდვილად კვლავ ძალაში იყო თუ არა. ჩემი ფსიქონალიტიკოსი ასეთ დროს აუცილებლად მეტყუადა, უარის თქმის მიზეზს ეძებ, მსგავს ნინადადებებს უწინააღმდეგებო, რამეთუ უგუნის სიღრმეში გექჭებოდა, რომ მათი ღირსი ხარო. ჩემს შეპიიხვას თბილისიდან ასე უპასუხეს: ვინაიდან თბილისი ერთი წლით წიგნის მსოფლიო დედაქალაქადი აღიარებული, საქართველოს დიდი საერთაშორისო დელეგაცია ესტუმრებოდა ამ ტიტულის დასრულებასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე და სტუმრების უსაფრთხოება გარანტირებული რომ არ იყოს, ღონისძიებას აუცილებლად გადავადებდითო.

პიტოლი საქართველოს მაშინ ეწვია, როდესაც იგი ჯერ ისევ საბჭოთა კავშირის ნაწილი ითვლებოდა და მოწმე შეიქნა იმ ცვლილებებისა, რაც "პერესტროიკას" მოჰქონდა, მე კი ამ დამოუკიდებელ ლექციანას მაშინ უნდა ვსტუმრებოდი, როდესაც მისი მეზობელი რუსეთი უკრაინაში იყო შეჭრილი. იმ დროისათვის პიტოლი პრადლაში მექსიკის ელჩი გახლდათ; მე კი ბარსელონაში ვცხოვრობდი და გარდა წერისა, დროის უმეტეს ნაწილს ლიტერატურისა და წერის ხელოვნების სწავლებას ვანდომებდი. პიტოლი 53 წლისა იყო; მე - 48-ისა. პიტოლმა მარტომ იმოგზაურა; მე კი თან უნდა მხლებოდნენ ბრაზილიელი მეუღლე და თინჯიერი ქალ-ვაჟი, რომლებმაც, მრავალფეროვნების მიზნით, არ იხებეს თქვენთვის მათი სახელები გამეზილა.

რასაც აქ ვწერ, გზაქველივ როდი გახლდათ, არც მოგზაურის დღიურია და არც ქრონიკები. არც იმდენად დელუზურული ვარ, რომ მეგონოს, თითქოს ათ დღეში მოვახერხე რამე გამგონი საქართველოსა და მის მოსახლეობაზე. მეტსაც გეტყვით: რაც დრო გადის, სულ უფრო მეტყვება, რომ ენის მიშვეობით საერთოდ შესაძლებელია მიღებული შთაბეჭდილებების ან აღნუსხვა, ან ვაზიარება. პიტოლმა საქართველოში ჩემზე ორჯერ ნაკლები დრო დაშყო, თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი დღე ლინგვიზტიკადაც იქ ჩასვლას მოანდომა, მეხუთე დღე კი მოსკოვში გაფრენას; მიუხედავად ამისა, საქართველოში ყოფნას მან ოცდარი გვერ-

დი მიუძღვნა თავის რუსული მემოუარების წიგნში სახელწოდებით "მოგზაურობა".

ასეა თუ ისე, სერხო პიტოლმა, ირიბად, მაგრამ მაინც, დადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. 1999 წელს სამსახურიდან ნამოსვლის შემდეგ, ეკსისტენციული კრიზისის დროს გადაწყვეტილება მაშინვე მივიღე და ჩემი ცხოვრების მიზანმიმართული გეგმაც შევადგინე. ისიც ვაგონებდი, რომ იმ დროს, როდესაც მე ვიყავი, უკვე თავი მოეყარა მთელი თავისი ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ოცდაათი ათას წიგნს ითვლიდა. რაღა თქმა უნდა, უკვე ნაკითხული მქონდა მანამდე გამოცემული ყველა მისი ნაწარმოები, მოთხრობები, რომანები, ესეები და გრძელკუთხედიანი პროზის ციკლი გატარებული ბავშვური მოგონებების, სწავლულობისა და კომპოზიტივისის ეს ნახაი იყო სწორედ ის, რაზეც მეც ვოცნებობდი. 2000 წელს, როდესაც უკვე ხალაპაში ვცხოვრობდი, უფრო დაზუსტებით კი კოატეკეში, პიტოლმა თავისი "მოგზაურობა" გამოაქვეყნა, საიდანაც მითხვებდა გაიყო, რომ მის რომანს "ლეთაბრევი ყანჩის მოთინიერება", რომელიც ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი რომანია, რუსეთსა და საქართველოში მოგზაურობა დაედო საფუძვლად.

შემდეგ მოხდა ისე, რომ იმ ოთხ-ნახევარი წლის მანძილზე, რაც ხალაპაში გავატარე, პიტოლმა ურთიერთობა თითქმის არ მქონია. მოვისმინე XX საუკუნის მექსიკური თეატრის კურსი, რომელსაც იგი 2001 თუ 2002 წელს დიდი გატყრებით კითხულობდა; ლექციები ძნელი მოსასმენი იყო, რადგან ლექტორს ლაპარაკი უჭირდა, რაც უკვე მოასწავებდა, რომ მალე აფაზის დიაგნოზს დაუსვამდნენ. 2003 წელს, სანამ ბარსელონაში გავემზავრებოდა, ჩემი პედაგოგისა და პიტოლის ახლო მეგობრის, ტერესა გარსია დიასის წყალობით მომეცა შესაძლებლობა მავსტროს სახლში ყავაზე ვწვიოდი; იმ სტუმრობიდან განსაკუთრებით დამამაზოვდა მისი ბიბლიოთეკის დათვალიერება; ექსკურსიამძღოლმა თავად მასპინძლმა გამიჩინა; თარებზე განთავსებულ ათასობით წიგნს ამაყად მიჩვენებდა და თან მისხლიდა: "აქ იტალიელი მწერლებია, აქ - პოლონელები, აქ - ინგლისელები, აქ - რუსები..."

რაოდენ შორეულადაც არ უნდა მიგაჯანდეს პიტოლის გავლენა, მაინც ვანუშობილია ის ზემოქმედება, რომელიც მან ყველა ჩვენგანზე - დამწყებ მწერლებზე, ლიტერატურათმცოდნეებზე, აკადემიკოსებსა თუ კრიტიკოსებზე ექონია: ვეთავაზნებოდათ მის მიერ თარგმნილ ავტორებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით მის მუშაობებს, გაფუციცებულად ვუდარაჯებდით მის ყოველ ახალ აღმოჩენას, მის წებისმიერ სიტყვას თუ გამოთქვამს ვიმასხვრებდით და როგორც კი რომელიმე იშვიათი თუ ჩვენითვის უცნობი ნაწარმოები გენი-

ლობზე დაიწყებდა საუბარს, მათ მოსაძიებლად მაშინვე გავერბოდით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებსა თუ ხალაპას ცენტრის წიგნის მაღაზიებს.

.....

გავრთხილებთ, რომ აქ, ადრე თუ გვიან, მაინც მომიწევს განავლზე საუბარი.

.....

“ჩემი მოგზაურობა დღეს დაიწყო, - წერდა პიტოლი თბილისში ჩასვლისას 1986 წლის 28 მაისს. - და უკვე შეუდექე მის გაცნობას, გარკვევას იმისა, თუ როგორი ფენებისგან შედგება იგი, შენებისა და ნგრევის მუდმივ მენტალურ პროცესს, მოგზაურობას სხვადასხვა კულტურულ ფენებში, რომლებიც შერეობად დაფენია ამ ქვეყანას და წარსულის უცვლელბელი კვალი დაამჩნია: ელადა, ბიზანტია, სპარსეთი, პირველი ათასწლეულის სლავები, მეხუთე საუკუნის ქრისტიანული ძეგლები, შუა აზიის გავლენა, სუფიზმი”.

დასავლეთის წარმოდგენით საქართველო ეგზოტიკური მხარეა, ჭმუკარი აზიისა, ვაჭრობის, შემოსულობისა და დაპყრობების ერთგვარი დერეფანი. სინამდვილეში, ტოპონიმი გეორგია ბერძნული სახელწოდებაა ამ ქვეყნისა და მას ასე მხოლოდ უცხოელები იხსენიებენ; ქართველები თავიანთი მხარეს საქართველოს უწოდებენ, თავიანთ თავს კი ქართველებს.<sup>1</sup>

ტიფლისი ოდითგანვე მრავალეროვანი, პოლიკულტურული, პოლიეთნიკური ქალაქი ყოფილა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფრანგი კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა წერდა: “პარიზელ მოვაჭრეთ, პიტერბურგელ მიკრიკებს, კონსტანტინოპოლელ სოფადგრებს, კალკუტიდან და მადრასიდან ჩამოსულ ინგლისელთ, სმირნოელ თუ იგუდელ სომხებს, უზბეკებს ბუხარადან - ყველას ერთდროულად მოეყარა თავი თბილისში”.

დღევანდის ყველა ამ ფენას კიდევ სამი დამატება: საბჭოთა ეპოქის გადმონათქვამი, “დათბობის” პერიოდის არქიტექტურა, დიზაინერული ნამუშევრები, რომლებიც გლობალიზაციამ აღმართა ისტორიის დასასრულის პატივსაცემად: მშვიდობის ხიდი, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ახალი შენობები, “გალერეა თბილისი” - თბილისი - ქართულად ასე ეძახიან ტიფლისს - უზარმაზარი სავაჭრო ცენტრია თავისუფლების მოედანთან, რუსთაველის ისტორიულ გამზირზე, სადაც განთავსებულია პარლამენტიც, თეატრებიცა და მუზეუმებიც.

ყველა კონტინენტულია ჩამოსული დიპლომატებით, ბიუროკრატებით, თარჯიმნებითა და მწერლებით გაქმედილი ავტობუსით ქართული ღვინის მწარმოებელ მთავარ რეგიონში, კახეთში მოგზაურობისას მწერალ არჩილ ქიქოძის ორი ნაქტეამი დამამახსოვრდა.

პირველი - ქართველი პოეტის ერთი სტრიქონი; სამწუხაროდ, პოეტის სახელი არ დამამახსოვრდა, ალბათ იმიტომ, რომ წესიერად ვერც გავიგონე. გა-

რეთ კოკისპირულად წვიმდა და ავტობუსის სარკმლიდან მთავარიან სანახებებს და ღრუბლებით შემოსილ ცას გავცქეროდი. “ნისლი ფიქრია მთები-სა” - მითრამ ამ დროს ქიქოძემ, როგორც ჩანს, ეს ქართული სტრიქონი გონებაში თარგმნა ინგლისურად, როგორც ახლა მე ვთარგმნი ესპანურად. მოგონებებში მაშინვე ხალაპის ნისლები ამომიტეიტედა, როდესაც გართი არაფერი ჩანდა და არ ვიცოდი ფილოლოგიის ფაკულტეტისკენ მიმავალი კოატიპეკის გზაზე როგორ გავსულიყავი.

მეორეს ფილოლოგიური ექსცენტრიკულობა უფრო ექთქმა: მისი სიტყვებით ქართულ ენაში უღის აღნიშნველი განსაკუთრებული სიტყვა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შავ ზღვაზე აქვს გასასვლელი. ზღვა და საზღვარი ერთი და იმავე სიტყვით გამოითქმის. ჩემის აზრით, ამ მაგალითის საფუძველზე უპირიანი იქნება, ქართულთა იდენტიფიკაციის შესახებ ვრცელი კვლევა დაიწეროს, თუმცა მე ამ საქმიანობას თავს მორიდებულობის გამო ავარიდებ ან იქნებ სიზარმაცის გამოც.


.....

ახლა კი იმ მიზეზს მოვახსენებთ, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ საქართველოს მიწვევა აუცილებლად უნდა მიმეღო და ეს მიზეზი ქართული სამზარეულო გახლავთ, სახელგანთქმული ქართული პურისა, ისპაზის, ლობიოს, სოკოს თუ ჭარხიჯის მომზადების გასაოცარი უნარი, ქათმის, ღორის თუ საქონლის ხორცის მწვადი, ათასგვარი ყველი, მეგრული ვასტრონომიის დიდებულება. თითქოს ეს საქმარისი არ იყო, არაჩვეულებრივი თეთრი და წითელი ღვინოები, მშრალი და ნახევრად ტბილი. და ყურძნისგან დამზადებული ეროვნული არაყი - ჭაჭა. თანაც ეს ყოველივე ჭარხად მორთმეულბო.

ქართულ სამზარეულოს პიტოლმა ყურადღება ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში მიაკცია და თავის თბილისურ დილოზში ასე ჩანერა: “ქართული კერძის მომზადება ალბათ ძალიან მომხიბვლელი და დამლელია. სუფრა მუდმივად უნდა იყოს გაშლილი, ჭიჭიბი საყვ, ატმოსფერო კი ცოცხალი და გუნულიანი”. ჩემის აზრით, სიტყვა “მომხიბვლელს” ავტორი ბანკეტის ატმოსფეროსა და იქ გამეფებული ეფიორიის სინონიმად იყენებს, რაც ცივი საუზმის, პირველი და მთავარი კერძების სიუხვით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ყველაზე დამლელი” კი ალბათ სუფრა მაშინ ხდებდა, როცა აღმოაჩენ, რომ მთავარი კერძი ჯერაც არ შემოუტანიათ, არადა სუფრას ბერძენი გაუთავებლად ემატება, სანამ უცხოელ თანამეინახეებს ნერვიული სიცილი არ აუტყდებოდა.

ჩემი კუჭ-ნაწლავის გადამკიდემ ამ მოგზაურობაში ანტიკიდების გადამჭრებელი დონუბი წავიკე. ჩემოდანს რომ ვალაგებდი, გამახსენდა, რა სამინელ დღეში ვვარდებოდი ბასკეთსა და ოაქსაკაში მოგზაურობისას, როგორ განუწყვეტელი გულისრევამი ვიყავი, როდესაც ასეთივე პანტაგრეულუ-

1 აქაც და შემდგომაც ავტორი სწორედ ქართულ დასახელებებს იშველიებს Sakartvelo, kartvelianos. მთარგმნ. შენ.




რი ხასიათის ბანკეტებზე მიწვევდა დასწრება. თუმცა, ჩემთვის მოულოდნელად, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ საჭმელ-სასმელზე უარი არ მითქვამს, საქართველოში მსგავსი არაფერი მომსგელია. როგორც გავარკვიე, პიტოლსაც იგივე გამოცდილება მიუღია: "მართალია, გამომგ ზაფრების წინ პრალაში ექიმმა როდემ სერიოზულად გამაფრთხილა თავი შემეკავებინა, თბილისში გიჟივით ვსვი. თუმცა არანაირი დისკომფორტი არ მიგრძნია".

შემდეგ ჩემი პიპოთეზა გამომეთქვა - ქართველების ექსპანსიური, გულიანი, მზიარული და მოსიყვარულე ხასიათი კურნავს შინაგან დაძაბულობას-მეთქი, მაგრამ მირჩევნია ვიფიქრო, რომ პასუხი მე-12 საუკუნის ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის ეპიკურ პოემა "ვეფხისტყაოსნის" აფორიზმშია ჩაქსოვილი: "მას მკურნალმან რაგავარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს".

.....

პიტოლის თქმით, რუსი მწერლებისთვის კავკასია თავისუფლებისა და ბედნიერების მხარეს ნიშნავდა. ასე იყო პუშკინისთვის, ტოლსტოისთვის და კიდევ მრავალთათვის: "კავკასიაში მოგზაურობა, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში, რუსი მწერლებისთვის ერთგვარ შემოქმედებით ვალდებულებადაც კი იქცა. ლერმონტოვი, ბულგაკოვი, მანდელშტამი, პასტერნაკი... სია უსასრულოდ გრძელდება".

2022 წელს ქართველთათვის რუსეთი ჩაგვრის სიმბოლოა, რისი უდავო გამოხატულება ამ ქვეყნის უკრაინაში შეჭრა გახლავთ. ჩემს ბრაზილიელ მეუღლესთან და თინეიჯერ ქალ-ვაჟთან ერთად, თბილისში სეირნობისას ქუჩებში უამრავ უკრაინულ დროშას ვხედავდი; ეს ორფეროვანი დროშები გა-



მოეფინათ ყველგან: საჯარო დაწესებულებების აივანებზე, რესტორნებსა და ბარებში, მალაზიებსა და საცხოვრებელ სახლებზე, მაისურებსა და საყელი-ებზე დამაგრებულ ბაფთებზე, გრაფიტიზე და ეტიკეტებზეც კი, სადაც ლურჯ-ყითელი ფონზე ზიმიზიმბდა სლოგანი: "უტინ სულო!"

.....

ქართველმა მხატვარმა, ნიკო ფიროსმანმა 1905 წელს ნაცრისფერი ჟიროფი დახატა. იმ ინფორმაციით, რაც ეროვნულ გალერეაში მოვიძიე, სადაც ჟიროფი იყო დამოფენილი, ფიროსმანს ნაცრისფერი არასოდეს დაუტოვებია - ვერა და ვერ აიხდინა ოცნება პარიზში გამებზავრებულიყო; ჟიროფებიც მხოლოდ მავ-თეთრ ფოტოსურათებზე ჰყავდა ნახანი. ნახატის ფონად მხატვარს სრულიად რეალისტური ფერები აქვს გამოყენებული: ცისფერი ზეცა, მინა-მომწვანო-მოყვითალო. საგამოფენო დარბაზში მისი დანარჩენი ნახატების დიავალეგრიზისას არც დავეთქრებულვარ, ისე მივიჩნიე ისინი ნაივურ მხატვრობად და სარწმუნოდ მომეჩვენა ოფიციალური ვერსიაც - ფიროსმანმა ჟიროფი ნაცრისფერი მხოლოდ იმიტომ დახატა, რომ არ იცოდა, ყვითელი თუ იყო.

თბილისში ყოფნისას ბრაზილიელ მეუღლესთან და ჩემს თინეიჯერ ქალ-ვაჟთან ერთად მწერალთა სახლში ცხოვრობდი; ჩვენი მეზობელი კი ფრანგი სცენარისტი დელფინა დეველფი აღმოჩნდა, რომელიც ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დოკუმენტური ფილმის სცენარზე მუშაობდა. იმ შორეულ, 1986 წლის 1 ივნისს პიტოლიც სტუმრებია ხელოვნების მუზეუმს ამ მხატვრის შემოქმედების სანახავად: "იმ ეპოქის ქართულ ფერწერას თუ შევადარებთ, - ნერად იგი თავის "მოგზაურობაში" - მაშინვე მიხვდებით, თუ რაოდენ მძლავრად გასაფიროსმანის შემოქმედება ყველა დანარჩენზე. თუმცა, არა მხოლოდ საქართველოში, ყველგან მსოფლიოში, სადაც კი ისინი იყო გამოფენილი, მხატვარი ყურადღების ცენტრში ექცეოდა. იგი უდიდესი მხატვარი იყო, მაგრამ თავად ამის შესახებ არაფერი უწყოდა. ოციან წლებში, უკვე დაბერებული, გალოთებული და უბედური ვიღაც ხელოვნების მცოდნეთ აღმოუჩენიათ!"

მწერალთა სახლში ერთ-ერთი საუბრის დროს, პიტოლის ეს ციტატა, სულ ნახევარი გვერდი, ჩვენს მეზობელ ფრანგ სცენარისტს ნაუკითხვ. დელფინა დეველფმა იმ ნახევარ გვერდს ფოტოც გადაუღო და სცენარის დროის სკალას თარიღიც მიაწერა - "პიტოლი, 1986". იქნებ ბედმა თბილისში მხოლოდ იმისთვის გადმომაგდო, რომ პიტოლი იმ ფილმში გამოჩენილიყო?!

.....

ჩემი კუჭ-წაწლავის მოქმედებას რაც შეეხება, ერთადერთი, რაც თბილისში ყოფნის დროს შეიცვალა, განავლის ფერი იყო - მუქი მწვანე, მინისფერი და მშრალი გამიხდა ტარხუნის გადაჭარბებული მოხმარების გამო, მწვანეაღისა, რომელსაც ქართველები საჭმელშიც და სასმელშიც უხვად მოიხმარენ.

მაგრამ რა დროს ჩემს ექსკრემენტებზე საუბარია, ასე რომ, მოვრჩეთ ამ სისულელეს.

.....

ძალიან მიკვირს, რომ პიტოლის თავის "მოგზაურობაში" თბილისელ ძაღლებზე სიტყვაც არ აქვს ნახსენები. ნუთუ საბჭოთა პერიოდში უმატრონო ძაღლები არ არსებობდნენ?

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ხალაპაში მცხოვრებელი ყველა დამწყებმა მწერალმა ვიციდით, რომ თუ პიტოლთან შეხვედრა გვინდოდა, პარკლოსბეროსში უნდა წავსულიყავით, სადაც მწერალი თავის საყვარელ საჩოთთან ერთად სვირობდა; საზიდი, გრძელბუნჯიანი ძაღლი იყო, რომელიც პიტოლის ერთ-ერთ, ყველაზე გავრცელებულ ფოტოსურათზეც კი მოხვდა; სხვათა შორის, "ალფაგუარას" გამოცემლობამ მწერლის მოთხოვნების სრული კრებულის გამოცემისას სატიტულო გვერდისათვის სწორედ ის ფოტოსურათი აირჩია. ძალიან ვუფიქრობდი იმ გამოცემას, რომელსაც ჩემი კაზინეტის თაროზე საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი. გარდა ამისა, პიტოლი უმატრონო ძაღლების ორი თავშესაფრის მეცენატი გახლდათ, რომლებსაც 1999 წელს მიღებული ზუან რუფლოს პრემიისა და 2005 წელს მიღებული სერენატისის პრემიის საგულისხმო ნაწილი შესწირა და ძაღლები ლოლა და ომე-როც იწვილა.

თბილისში, კახეთის მონასტრებსა თუ ყაზბეგში ოჯახური სვირობისას ნამდაუნუმ გჩერებოდით, რათა ქუჩის ძაღლებს მივეყრებოდით. საქართველოში ყველგან გვხვდებოდა ძაღლები, მათგან უმარტულესობა დიდი, წყნარი და ზედმეტად ზანტები; საქმარისი იყო, სულ მცირე ყურადღება გამოვეჩინა, რომ მაშინვე ზურგზე გადააკოტრიალდებოდნენ და მუცელს მოგვიკვერდნენ მოსაფხანად. ბევრს ყურზე ყითელი პლასტიკური საყურე ეკეთა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ სახელმწიფოს ისინი აცრილი ჰყავდა. ყაზბეგის თოვლიან მთებში ექსკურსიამომლობას ზუკა გვიჩვენა; სწორედ ზუკასგან ვავიჯეთ ერთი ბათუმელი ძაღლის ამბავი, რომელსაც სახელი იმით გაუთქვამს, რომ პატარა ბავშვებს ქუჩაზე გადასვლაში ეხმარება. მერაბ იმ ძაღლს თურმე სასლაცი აუშენა და ახლა მას "ქიმი-უნიტი მენეჯერიც" ჰყავს, რომელიც მის ინსტარამს უძღვება. ხელმომწერთა რაოდენობა თურმე რამდენიმე ათასს აჭარბებს.

მართალი გითხრათ, ყოველთვის, როდესაც რომელიმე ძაღლის მოსაფერებლად დავიხრებოდით ხოლმე, მთელ ჩემს ოჯახს - მე, ბრაზილიელ მეუღლესსა და თინეიჯერ ქალ-ვაჟს ჩვენი "პირატს" გვახსენდებოდა, ბარსელონაში მეგობართან დატოვებული ჩვენი ოჯახის წევრი ცუკა, რომელსაც პატარა ინციდენტი შეემთხვა და ცალი თათი დაზიანებული ჰქონდა. არცერთი ხმაბაღლა არაფერს ვამბობდით, მაგრამ ყოველი ძაღლის მოფერება ჩვენს "პირატს" ეძღვნებოდა.

.....

თბილისში, ამდენი საჭმელ-სასმლის გადამიკი-



დეს, მოუსვენრად მეძინა. ერთ-ერთ ასეთ მოუსვენრად ღამეს უცნაური სიზმარი ენახე. პიტოლს ვუყვებოდო, საქართველოზე ნარკვევს ვწერ-მეთქი. ის კი რაღაც უცნაური, დამცინავი თუ მხიარული სახით მიყურებდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა, ლაპარაკი გამაწყვეტინა და გამცინებდა: ეგ ჩემი მოთხრობააო, სახელწოდებაც კი მიმითითა.

რომ გავიღვიძე, გონება დავძახე და ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ მხედველობაში "ვენეციური ამბავი ბილი აპურდისა" უნდა ჰქონოდა, თუმცა, კარგად მახსოვდა, რომ სიზმარში რაღაც მსგავსი კი მითხრა, მაგრამ მოთხრობის დასახელება ზუსტად არ ეთხვეოდა (ალბათ ახლა მირჩევნია ასე ვიფიქრო, რადგან ის მოთხრობაც მოგზაურობაზე, ბოდვაზე, ავადმყოფობასა და სიკვდილზეა).

.....

რატომ ვწერ ამ ნარკვევს? რატომ ვცდილობ საქართველოში მოგზაურობის ჩემული შთაბეჭდილებები პიტოლისას შევადარო? რატომ, თუკი თავიდანვე ვთქვი, საერთოდ არ მჯერა, რომ ენას ძალუძს შთაბეჭდილება სიტყვებით გამოხატოს და სხვასაც გაუზიაროს-მეთქი? უნდა გაჩუმებულიყავი და შოთა რუსთაველის პოემის ცხრასანლიან დარიგებას მივყოლოდი: "წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს".

თუმცა, როდესაც უკვე დანებებას ვაპირებდი, ერთ სადამოს, მწერალთა სახლში, როდესაც ინგლისურად თარგმნილ ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას ვფურცლავდი, პაატა შამუგიას ერთი ლექსი ვიპოვე, რომელშიც, როგორც მომეჩვენა, უტყუარი პასუხი დავინახე:

რატომ ვწერ?  
ზმორად ვსევამ ამ კითხვას,  
მაგრამ პასუხი არასოდეს მაქვს.  
და ყოველთვის, როცა პასუხი არ მაქვს,  
ვწერ.

ესე იგი: ვწერ, რადგან პასუხი არ მაქვს - ასე შეიძლება ყოფილიყო პასუხი ამ კითხვაზე, დახეივნილი ჰედონისტის ირიბი ქვეანსროლი, ერთდროულად, მკითხველის და კითხულის ეზოში...

მივიფიქრო ქარში (როგორც მოცარტი) და ვფიქრობ, რომ მომდევნო ლექსს, რომელსაც ალბათ რამდენიმე თვეში დავწერ, დავიწყებ ბუნების აღწერით, მწვანე ხეივანში ჩვილის ბაჯბაჯის, კენჭების ნაკაუნის გამობავტვით, მეტი ვფიქტურობისთვის, ძალღსაც შემოვიყვან რომელიმე ტაეპში (ერთგულულების სიმბოლოა და ზოგადად, დადებით ემოციებს ინვეს).

ეს ლექსი კი იქნება პასუხისთვის განწირული, ისევე, როგორც ყველა ლექსი, რომელიც სანდოა, როგორც ნაფიცი მონმე:

ვფიცავ, რომ ვიტყვი პოეზიას, მხოლოდ პოეზიას და არაფერს პოეზიის გარდა.

მეკითხებიან: რატომ წერ? და ამ კითხვასა და ჩემს სხეულს შორის აღმართულ

პუნქტუაციის კუზიან უფსკრულს შიშით ჩავყურებ.

.....

თბილისში ყოფნისას პიტოლი რამდენჯერმე შეხვდა ქართველ მწერლებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდა თავის შეხედულებაში, რომ სწორედ კავკასია იყო "პერესტროიკის" ავანგარდი. "ეს-ესაა მწერალთა სასახლეში ვიყავი და ქართველ მწერლებს შეხვდი, - წერდა იგი ჩამოსვლის დღეს. - და შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც ამბოხი სულის პასტორენი არიან, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვისაც მე ვეცნობ." აშკარა იყო, რომ ქართულ კონიში, სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში რაღაც მწიფედობა, დათბობა ან, როგორც რამდენიმე წლის შემდეგ ფოტოგრაფმა გურამ ნიბახაშვილმა თქვა, ზამთარი გადტანული იყო.

ნიბახაშვილი არა მხოლოდ დათბობის პერიოდის ფოტოგრაფია, არამედ მომსწრე და ამსახველები შემდგომი კონფლიქტის, კრიზისისა და არასტაბილურობისაც. განსაკუთრებული დრო მას ხელოვნათა ფოტოებისთვის აქვს დათმობილი, რომლებიც, მიუხედავად ყოველგვარი ლოგიკისა, შემოქმედებას იმ უშომაველო წლებშიც კი არ ანებებდნენ თავს: "სხვა საქმე მაინც არ გექონდა, - წერს ნიბახაშვილი თავისი ერთ-ერთი ფოტოალბომის წინასიტყვაობაში. - ხელოვნება მაშინ არავის სჭირდებოდა. არც საქმელი იყო, არც სასამელი, არც სიტობი - ერთადერთი, თავი ცოცხლად რომ გეგვრძო, რამე უნდა გექეთებინა. მუშაობდი შენთვის, იყავი კომპლესავით - თლიდი და აწყობდი ჭურში ნამუშევრებს [...] უბრალოდ, ჩვენთან ნამუშევრებს არავინ ყიდულობდა. იცოდი, ასე დახატავდი თუ ისე, მაინც ვერ გაყიდდი. ამიტომ მუშაობდი ისე, როგორც გინდოდა - არაფერს ერგებოდი, არაფერს ითვალისწინებდი, აბსოლუტურად თავისუფალი იყავი".

.....

როგორც არჩილ ქიქოძემ მითხრა, სოცრეალიზმის წლებში იყო კიდევ ერთი გურამი, გურამ რჩეულიშვილი, რომელიც პირველი დაუბრუნდა მწერლობაში რეალური ადამიანების აღწერას. ენერგიული, ალბინისტი, ათლერული აღნაგობის, ავანტიურული სულის ახალგაზრდა, კარგი მოთხრობელი; ესპანურად თარგმნილი არ არის; ქიქოძის თქმით, სწორედ რჩეულიშვილი ყოფილა ის მწერალი, ვისაც ყველაზე დიდი გავლენა მოუხდენია მისი მწერლური კარიერის დასაწყისში, როდესაც ხანგრძლივად დაეხეტებოდა კავკასიის მთებში შთაგონების საპოვნელად. ვერ გავარკვეე ვას რატომ მიყვებოდა, თავს იწონებდა თუ მარცხვინდა, რომ წმინდა ადგილები კავკასიონისა ტურისტული ავტობუსით,



თანაც გიდას და ოჯახის თანხლებით დალაშქრე-  
საც რომ იყოს, თავი დამნაშავედ მაინც ვერ მაგ-  
რძნობინა. რჩეულიშვილი 1960 წელს დალუპულა,  
როდესაც რუსი გოგოს შავ ზღვაში დახრჩობისგან  
გადარჩენას ცდილობდა; სულ ოცდაექვსი წლისა  
ყოფილა.

.....

ქართველ მწერლებთან ერთად “ზეპანტარგუე-  
ლური” ხუთსართიანი ბანკეტის შემდეგ, პიტოლს  
დაღლილობა უგრძნია, ბუნებრივი მოთხოვნილე-  
ბის დაკმაყოფილება და სახეზე წყლის შესხმა მოს-  
დომებიც და ტუალეტის ძებნა დაუწყია. ტუალეტი  
დაკეტილი დახვედრია. ოფიცინანტ ქალს უთქვამს:  
რესტორნის ქვემოთ, მდინარეთან “დიდი ტუალე-  
ტია”. თანამეინახე ერთ-ერთ მწერალს გაყოლა შე-  
უთავაზებია. სწორედ ეს აღმოჩნდა თბილისში პი-  
ტოლის სტუმრობის კულმინაციური წერტილი, რო-  
დესაც მწერალმა აღმოაჩინა ის, “რასაც ვერასო-  
დეს ნარმოიდებდა” - კოლექტიური ტუალეტი. “სიმ-  
ყრალეზე მეტად, - დაწერა მან მოგვიანებით. - გა-  
მაფრანქი იმ ფაქტმა, თუ რა ბუნებრივად ხდებოდა იქ  
ამ ფუნქციების დაკმაყოფილება”.

მეორე დღეს, რუსთაველის გამზირზე სეირნო-  
ბისას, პიტოლს ექსკრემენტული გასხივოსნება ეწე-  
ნა - ბავშვური მოგონებები დაუბრუნდა, როგორც  
პრუსტის ნუშის ნამცხვარზე; იმ განავლის სუნმა მას-  
ზე იმდენად იმოქმედა, რომ სიმღერა გაახსენდა,  
სრულიად ახალგაზრდა მოახლე გოგო, თითქმის  
ბავშვი რომ უმღეროდა, რათა ღამის ქოთანზე დამ-  
ჯდარიყო და შარვალში არ ჩაესვარა: “გამოდით კუ-  
კეპო/ გამოდით ჩქარო/ ღამის ქოთანში/ შარვალში  
- არა”. სწორედ ეს დასახელება საფუძვლად “ღვთაებ-  
რივი ყანჩის მოთვინიერებას” - “წელსქვემოთა ამ-  
ბების რომანს”, რომელიც მწერალმა თბილისში გა-  
ტარებული დღეებშივე ოცდაორ თვეში, 1988 წლის  
მარტში დაასრულა.

.....

საქართველოში მოგზაურობის ბოლო დღეს ჩემს  
ბრაზილიელ მეუღლესთან და თინეიჯერ ქალ-ვაჟ-  
თან ერთად სასადილოდ წავედით რესტორანში, რო-  
მილიც მწერალთა სახლის სიახლოვეს მდებარეობ-  
და. შაბათი იყო, განიერ ტერასაზე ცოცხალი მუსი-  
კა უკრავდა და ეკოლოგიური მწარმოებლების ღვი-  
ნოები იყო გამოფენილი. სადილად ლუკამ მივიტო-  
ვა, ჩვენნი ჩამოსვლის მთავარმა “მიზეზმა”, მზრუნ-  
ველმა ანფიტრიონმა და მარიამმა, მისმა მეგობარ-  
მა გოგონამ. შეუფუკვეთი თხიკალი და ხაჭაპური,  
ქათმისა და საქონლის მწვადი; კიდევ, თეთრი ღვი-  
ნო. ყველაფერი უამრავი რაოდენობით.

ლუკა და მარიამი ადრე წავიდნენ, რადგან მა-  
რიამს უკრიანისთვის დახრჩობის ფონდის საქველ-  
მოქმედო აქციაში უნდა მიეღო მონაწილეობა. თი-  
ნეიჯერმა ქალ-ვაჟმა მწერალთა სახლში დაბრუნე-  
ბა და დახვეწება ისურვეს. დაერჩით მხოლოდ ჩემი  
ბრაზილიელი მეუღლე და მე - სმას განვადრძობ-  
დიდი და თანდათანობით ვიძირებოდი იმ ბედნიე-  
რებაში, რომელიც, ქართველების აზრით, უკვე სა-

უკუნეებია ამბოხის ყველაზე ავთენტურ ფორმას  
წარმოადგენს. ქალები, კაცები, ბიჭები, გოგონები,  
ძაღვები, იქ ყველანი ერთად და ჰარმონიულად  
ცხოვრობდნენ.

უკვე დაღამებული იყო, დაღლა რომ ვიგრძენი.  
ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და  
სახეზე წყლის შესხმა მომინდა; ამიტომ, ტუალე-  
ტის ძებნა დაიწყე. მხოლოდ ერთი ტუალეტი იყო,  
რომელთანაც ძალიან გრძელი რიგი დავლანდე-  
ჩემს წინ მდგარმა ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნამ თავი-  
სი რიგი დამითმო. უარი ვუთხარი, მაგრამ თავი-  
სი არ დაიშალა, ნამდვილი, ზრდასრული კაცივით  
მოიქცა, რადგან ქართველთათვის დამახასიათე-  
ბელი დახვეწილი თავაზიანობა უკვე ძვალ-რბოლ-  
ში ჰქონდა გამჯდარი. მაგრამ ჩემმაღვე ტუალეტში  
შესვლას ათი თუ თხუთმეტი სტუმარი ელოდა.  
დროის გასაყვანად, თანაც იმიტომ, რომ საკმაოდ  
ბევრი მქონდა დალუღი და სენტიმენტალობა მო-  
მეძალა, გონებაში ჩემი მოგზაურობის პუჯამება  
დაიწყე, წინასწარ ვტკბებოდი, როგორ ჩამოვყა-  
ვლიბებდი და მოუწყვებოდი ყველაფერს ჩემს მე-  
გობრებს, ისიც კი წარმოვიდგინე, ამ წერილს რო-  
გორ დავიწყებდი.

ჩემთვის ამ მოგზაურობის კულმინაცია იმ სა-  
ღამოზე ბევრად ადრე დადგა, თბილისში ჩვენი პირ-  
ველივე გასვირებისას. სრულიად მოუმზადებლ-  
მა, არქიტექტურული ქაოსით თვალბგაცეცებულ-  
მა და გაუგებრობით დაბნეულმა თავი ქალაქის ყვე-  
ლაზე ძველ ტაძარში, მეექვსე საუკუნის მართლმად-  
იდებლურ, ანჩისხატის ეკლესიაში ამოვიყავი.

შენობაში სრული სიბნელე სუფევდა. მაგრამ იმ  
სიბნელებში ადამიანების ლაპარაკი მესმოდა; ბე-  
რნი უნდა ყოფილიყვნენ.

კვირის თორმეტი საათი იყო; უცებ ერთი-ერთი  
პატარა სარკლიდან მზის სხივი შემოიჭრა და ერ-  
თიანად გაანათა ბაზილიკის ყველავე გამოსაჩენ  
ადგილას მდებარე ჯვარცმული ქრისტეს გამოსა-  
ხულემა. დავინახე ტაძარში მყოფი ქალები და კა-  
ციები ხატების ხელით როგორ ეხებოდნენ, როგორ  
კოცინდნენ, თითქოს პანდემია არც არსებულებო.  
შემდეგ საწილავს ანთებდნენ, ერთმანეთს შურებს  
ანვიდნენ და ნაჭრებად ჭრდნენ.

მღვდლებიც იქვე იყვნენ, ხალხს ერეოდნენ და  
ეს ყველაფერი რელიგიურ რიტუალს კი არა, უფრო  
ხეიშმ, დღესასწაულს ჩამოჰგავდა. ალბათ, რაც იქ  
ხდებოდა, არასწორად გავიგე, მაგრამ მასში იმდენ-  
ად არქაული რამ დავინახე, რომ თავი კვლავ ბავ-  
შვად ვიგრძენი. მიუხედავად ჩემი გაუთავებელი  
მოგზაურობისა და ემიგრაციებისა, როგორც ჩანს,  
სულიერად მაინც კვლავ ჩემს ქალაქში - ალტოს დე  
ხალისკოში ვიმყოფები. მომეჩვენა, რომ ისევ ბავ-  
ში ვიყავი. ჩაფსმაღვი კი მინდობდა, ღმერთი ჩემი,  
სადაცაა ჩავიფსამიდი კიდევ! რიგი კი არა და არ  
მთავრდებოდა...

ოფიცინანტ ქალმა, როგორც ჩანს, იგრძნო ჩე-  
მი სასონარკვეთა და შეეცადა დამტერული ინგლი-  
სურით აეხსნა რაღაც. ალბათ სხვა ტუალეტის ზვას  
მასწავლიდა. მაგრამ მისი გაგება არ ვინდობი.

ჯიმპერ რეხვიაშვილი

# შოთა რუსთაველი, როგორც თბილისის ურბანული ლანდშაფტის ელემენტი



“რუსთაველი არის ჩვენი დანტე, გომერი, ვირგილი, გიოტე, შილერი, მილტონი, ბაირონი... ჩვენ კი გვმართებს ძეგლი ავუგოთ, ქუდმობილი ვიდგეთ მის წინაშე”.

ა. სავანელი, ვაზ. “დროება”, 1880 წ.

“ერთ დღეს დედა დილიდანვე სადღაც წავიდა. ვისარგებლე მარტოობით, ეზოდან ბუხრის საშენი წითელი თიხა ამოვიტანე, სასტუმრო ოთახში შევზიდე და ერთდროულად ორი ქანდაკების ძერწვა დავიწყე: იესო ქრისტესი და შოთა რუსთაველის. ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე შოთას ქანდაკებას გავაკეთებდი; და, მართლაც, ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე ვცადე შოთას გამომძერწვა; ალბათ ჩემი ბოლო ქანდაკებაც შოთა იქნება”.

იაკობ ნიკოლაძე

“მონუმენტები, მემორიალები პასუხისმგებელი არიან არა მხოლოდ გარემოს, არამედ ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ისინი შემოდიან სივრცეში, რომელიც ხალხს და ქვეყანას ეკუთვნის. ისინი ცვლიან გარემოს, ქალაქის პეიზაჟს, ახალ შინაარსსა და ხასიათს ანიჭებენ. ურბანულ სივრცეში შემოსვლა უდიდესი გამოცდაა, ითხოვს მოწინებებს და სიფრთხილეს. ერთ უტაქტო ნაბიჯს შეუძლია დაარღვიოს ნესრიგი, ჰარმონია”.

ვახტანგ დავითაია, არქიტექტორი.

თბილისის ურბანული ლანდშაფტი წარმოუდგენელია რუსთაველის ძეგლის გარეშე ისევე, როგორც წარმოუდგენელია ქართული კულტურა და მწერლობა ურუსთაველად, არადა შოთა რუსთაველის ძეგლი დედაქალაქის მთავარ გამზირზე სულ რაღაც 80 წლის წინ დაიდგა და ეს მაშინ, როცა "ვეფხისტყაოსნის" ავტორისათვის ძეგლის აღმართვის იდეა ბევრად ადრე, XIX საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა.

ძეგლები აფიქსირებენ წარსულის გარკვეულ ხედვას, იდეალს, რომელმაც გაიმარჯვა, აღიარება მოიპოვა მოცემულ საზოგადოებაში და მისი კულტურული და ისტორიული ნარატივის ნაწილად იქცა, მაგრამ, როცა საზოგადოებას თავისი თავი თავადვე არ ეყუდნის, ასეთი საზოგადოება ვერ ახერხებს მისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პერსონაჟების გამოხმობას წარსულიდან და ნამძღვრებას მომავალში მათთვის ძეგლების დადგმის სახით, რადგან ყოველი ასეთი მცდელობა ეწინააღმდეგება დამპყრობლის იდეალებსა და წარმოებულ პოლიტიკას. ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას თბილისში მხოლოდ რუსი მთავარმართებლისა და მწერლების ძეგლები დაიდგა, ხოლო 1921 წლის შემდეგ, როცა საქართველოზეც გაერცვლა 1918 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებული რუსეთის სახკომსაბჭოს დეკრეტი "პროლეტარული რევოლუციის იდეების მონუმენტური ხელოვნების საშუალებით პროპაგანდის შესახებ", დაიწყო მეფეებისა და მეფისნაცვლების ძეგლების პროლეტარიატის ბელადებით ჩანაცვლება.

ძეგლი, გარკვეული გაგებით, წარსულის ფიქსაციაა, რომელსაც მხარს უჭერს ძალაუფლების მატარებელი პირი ან ინსტიტუცია. 1934 წელს გამართულმა საბჭოთა მწერალთა პირველმა საკავშირო ყივლილბე, ცხადია სტალინის გადაწყვეტილებით, სოციალისტურ ქვეყანაში დააბრუნა მანამდე კლასობრივად მიუღებელი (ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მომღერალი) კლასიკოსი მწერლები და მათ შორის რუსთაველიც. ბელადმა გადაწყვიტა თავისი იმპერია ეროვნულ-ეთნიკურ პრინციპებზე დაეფუძნებინა.

"რუსთაველის იუბილე სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ეს არის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების დღესასწაული. ჩვენი მრავალრიცხოვანი ახლები ერთად, მწყობრად, ერთი დროის ქვეშ ცხოვრობენ, აშენებენ, ჰქმნიან და აწვითარებენ თავის კულტურას - ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს", - ვკითხულობთ 1937 წლის 26 დეკემბრის "პრავდის" მონიწივეში.

სტალინისა და ქართველი ბოლშევიკების გადწყვეტილება შოთა რუსთაველისათვის თბილისში ძეგლის აღმართვის შესახებ დაემთხვა ქართველი ხალხისა და მისი გამორჩეული შვილების საუკუთვან ოცნებებს. ამიტომაც იყო, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის ლეგიტიმაცია შეიცვალა, იმ ადამიანების უმეტესობამ, რომლებსაც

ძეგლს უფადმდენ მთელი 70 წლის განმავლობაში, ასევე დაკარგა ლეგიტიმაცია ახალი თაობების თვალში და, შედეგად, თავი ვეღარ შეიმარჯვა მკვიდრად ნაგებ კვარცხლბეკზე (მზავის ბედი გაზიარა მოქანდაკე კონსტანტინე (კოტე) მერაბიშვილის რამდენიმე ნამუშევარზე), მაგრამ, ცხადია, არა შოთა რუსთაველმა - საქართველოს კულტურული ლანდშაფტის მთავარმა ფიგურამ, რომელიც ავერ უკვე 80 წელია, განსაკუთრებული შინაარსით ავსებს თბილისის ურბანულ ლანდშაფტსაც.

\* \* \*

1942 წლის 23 მაისს, როცა მეორე მსოფლიო ომი საქართველოს უღელტეხილზემდე იყო მოსული, სრულიად არასახიშო ვითარებაში თბილისში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი, რის შესახებაც მცირე ზომის მოკრძალებული ცნობა გამოაქვეყნა გაზეთმა "კომუნისტმა".

"დამთავრდა უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლის აწვევა და კვარცხლბეკზე დადგმა. ქანდაკების აწვევისა და დადგმის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის კანტორის "ჰიდრომონტაჟის" ინჟინრები აშხანაგები პეტრენკო და ბირიუკოვი. - წერდა გაზეთი, - უახლოეს ხანში დაიწყება მუშაობა ძეგლისა და მისი მომიჯნავე ფასადების ტერიტორიების გასაფორმებლად. ძეგლის გარშემო ბაღი გაშენდება. ძეგლის წინ მოაჯირის ორივე ფრთაზე დაიდგმება ვეფხვის ქანდაკებები".

რომ არა მძიმე ვითარება ფრონტზე, შოთა რუსთაველის ძეგლის აღმართვა, ცხადია, ასე უდიდესად იმეორე არ ჩაივლიდა. საქართველოს უმთავრესი პოეტისათვის დედაქალაქში ძეგლის დადგმის იდეა ხომ ლამის ასი წელი ტრიალებდა ჰაერში. 1913 წლის "კლდის" 24 მარტის ნომერში დავით კასრძე წერდა, რომ ძეგლის დადგმის საკითხზე ჯერ კიდევ "ჩვენი მესამოცე და მეოთხმოცე წლების მოღვაწენი" ზრუნავდნენ.

"გრომოდ ორბელიანმა, მედიქიშივილმა და მათი წრის ხალხმა თხოვნით მიჰმართა ვორონცოვს, რომ ნება დაერთო მას შოთას ძეგლის აგებისა. ვორონცოვი სიხარულით დასთანხმდა და დახმარებაც აღუთქვა. ამისათვის სახანგებო კომიტეტიც შესდგა, რომელსაც ფულის მოკრეფა დაევალა. მეტი არ იქნება ვაგვისხელი, რომ ძეგლის დადგმა სურდათ იქ, სადაც ახლა ვორონცოვის მონუმენტია ამართული. სამწუხაროდ, სწორედ ამავე წელს ვორონცოვი გადაყვანილი იქნა და დაწყებული საქმეც სულ ერთიანად ჩაიშალა. აღსანიშნავია მეორე ხანაც, სახელდობრ იღ. ჭავჭავაძის ეპოქა, როდესაც ქართველიშვილის თაოსნობით გამოცემული იქნა ვეფხვის ტყაოსნის სურათობიანი ძვირფასი გამოცემა. ამ გამოცემისთან ერთად ქართველიშვილის სურდა ძეგლი აღემართა თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე. შესდგა ახალი კომისია, სადაც მოდიოდნენ ჩვენი მოღვაწენი და ლიტერატორნი. როგორც მაკავლითად, თვითონ ქართველიშვილი, დემიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭა-

ვაძე, ივ. მაჩაბელი და სხვები. თუმცა ეს განზრახვა მხოლოდ განზრახვად დარჩა, ეს იმიტომ, რომ მთავრობამ ნება მისცა, ყოველ მოღვაწეს მხოლოდ იქ დაედგას ძეგლი, სადაც დაიბადო. ვგონებ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ ჩვენმა მეოთხბოცე წლის მოღვაწეებმა გულში ჩაიკლეს შოთას ძეგლის დადგმის სურვილი”.

თუმცა ძეგლის დადგმა ვერც სოფელ რუსთავეში მოხერხდა. დავით კასრაძე იხსენებს ალექსანდრე ფრონელის მიერ 1902 წლის “მოამბის” III ნომერში გამოქვეყნებულ “დიდებულ მესხეთსა” და მასში გამოთქმულ აზრს, “შევწვიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედ მსხვერპლი და აუფგოთ შოთას რუსთავის ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მინც”-ო.

“რუსთავის პატარა ველზე ერთადერთი პატარა გორაკია, თითქოს განგებ აქ მინა დაუყრიათ. სიმაღლით ორი-სამი საუნი იქნება. სწორედ ზედ გამოჭრილი ბეჭია ძეგლისთვის. აქ რომ შოთა რუსთაველის ძეგლი ან ობელისკი ადიდგას, მშვენიერება იქნება. ბეჭი მტკვარს ზედ თავზე დასცქერს, იქვე შარა გზაა, შოსე; გამკვლელ-გამომკვლელი თვალს ვერ აარიდებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქცევიან სახელოვან მამას და იმასაც ხომ გაივლებს გულში, რომ გავგრანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო...” - წერდა ალექსანდრე ფრონელი.

\* \* \*

XIX საუკუნის საქართველოში ძეგლის დასადგმელად აუცილებელი იყო მეფის ადმინისტრაციის ნებართვა, რომლის მიღების შემდეგ ადგილობრივი საზოგადოება იწყებდა შემოწირულებების შეგროვებას. როგორც წესი, გარკვეულ თანხას ხელისუფლებაც გაიღებდა ხოლმე. თბილისში მეფის-ნაცვალ მიხეილ ვოროსიანის ძეგლის დადგმა 30 ათას რუბლზე მეტი დაჯდა; 26 104 რუბლი შემოწირულების სახით შეგროვდა, რასაც დაემატა იმპერატორისა და ტახტის მემკვიდრის სახელზე გამოყოფილი 5 ათასი რუბლი.

ძეგლის დადგმასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს 1903 წლის 18 ივნისის განხეთ “ცნობის ფურცელში” გამოქვეყნებული ცნობა თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომაზე ხმოსან ბ. პ. ვესელოვზოროვის მიერ წამოჭრილი საკითხის შესახებ. საუბარია დიდი მთავრის მუელისის, ოლღა თევდორეს ასულის ხსენების უკვედაყოფაზე (“ქალაქმა კარგად იცის, რამდენი ღვაწლი მიუძღვის დიდის მთავრის მუელის ჩვენი ქვეყნის წინაშე...”).

“სხლის მოწვევით შეკრობის ფული დიდის მთავრინასათვის ძეგლის ასაგებად, ქალაქმა კი ამისათვის 200 თუმანი გადასდოს, - წერდა “ცნობის ფურცელი” - შარშან მხატვარ-მეკანდაქვს ბატონ ხორდორიანის ცნობები წარუვადგინა ქალაქისათვის, რომ დიდი ძეგლი 52 275 მანეთი დაჯდებოა”.

ცნობაში ასევე საუბარია იმაზე, რომ ადგილი, სადაც ძეგლი უნდა გამართულიყო (“სასახლის წინ,

დედათა I გიმნაზიის გალავნის წინ”), სივრცის გამო დიდი ძეგლის აგების საშუალებას არ იძლეოდა და ამიტომ, მხოლოდ ბრინჯაოსგან გაკეთებული ბუუსტის (“2-5 არმინის სიმაღლისა ქვის დასადგმელზე”) აგება გადაწყდა, რაც, ბატონ ხორდორიანის გამოანგარიშებით, 10-12 ათასი მანეთი დაჯდებოა.

1852 წელს მტკვარზე გადებული მნაცაკანოვის ხიდის მშენებლობა 25 ათასი მანეთი დაჯდა, 1885 წელს ვახსნილი ვერის ოთხმალიანი ხიდისაკი - 180 ათასი მანეთი. 1913 წელს რუსეთის იმპერიამ საშუალო ხელფასი 24,2 რუბლი იყო. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ჯამაგირი 350 რუბლს შეადგენდა, გიმნაზიის მასწავლებლისაკი - 80-106 რუბლს (უფრო ადრე, როგორც გალავნოვონი წერს რუბს ნიგნაკში, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სტოლინაჩაღინკად მსახურებდა, მისი თვიური ჯამაგირი 5 მანეთი ყოფილა), თუმცა ფულზე ბევრად მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციის თანხმობა.

როგორი დამოკიდებულება ჰქონდა რუსულ ადმინისტრაციას?

რუსეთის იმპერია ისე დაიშალა, რომ თბილისში არცერთ ქართველ მოღვაწეს საჯარო სივრცეში ძეგლი არ ღირსებია. თუ ეკატერინე გაბაშვილს დაუფურცნებ, მეფის რუსეთში მიზანმიმართულად იდეებზედა ადგილობრივი მოღვაწეების, მათ შორის შოთა რუსთაველის სივონის უკვედაყოფის ყველა მცდელობა, რაც ბუნებრივი იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკის, ძალაუფლების ტიპისა და ღირებულებების გათვალისწინებით.

მს წლის ეკატერინე გაბაშვილი ემოციურად გამოეხმაურა 1937 წლის 27 ნოემბრის (N28) “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებულ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცნობას, საქართველოს სახმატვრო სანარმოო კომბინატის მუშაობის შესახებ:

“სერგო ქობულაძის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი გადაეცა საიუნიკო კომიტეტს დასამტკიცებლად. პორტრეტი მასობრივი ტირაჟით გამოვა. მასობრივი ტირაჟით დაშადებულია ბიუსტები, ქანდაკებები დე პარელიეფები სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის, კოტე მერაბიშვილის და სერგო ქობულაძის ნაწარმოებები მიხედვით. ქანდაკებები დაშადებულია სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა სახისა”.

“კითხულზე და არა გჯერა, რომ ეს ოცნება არ არის. ოცნება მიუღწეველი, საზღაპრო... - წერდა ეკატერინე გაბაშვილი ერთი თვის შემდეგ, 26 დეკემბრის ასევე “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებულ ნერიოში - კარგად მახსოვს, ოთხი-ხუთი ათეული წლის წინად, როგორ შემოიჭრა ერთ დღეს სახლში გაფთრებული ჩემი ქმარი, სანდრო გაბაშვილი, მუდამ მშვიდი და დარბაისული კაცი, როგორ შევარდა სასტუმრო ოთახში, როგორ აიტაცა ბუხრის რაფაზე, კედლის საათის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ დალაგებული ნახევარი ცილის ზომის გიპსის ბიუსტები რუსთაველას, როგორ



შეყარა ისინი ანთებულ ბუხარში და ცეცხლის საჩხარეოთი ნალვერდლი წააყარა.

“რა იყო, კაცო?!” - შევეკითხე შუშინებული და გაკვირვებით ჩაგაშტერდი თვალეზში, თან კანკალმა ამიტანა: ნუ თუ გონება შეერყა, ნუთუ ოჯახი დამექცა?!

როდის-როდის დამშვიდდა და ამიხსნა თავისი გიჟური საქციელი:

“ამ ნაშში ქუჩაში საშინელ სურათს წავენყდი. გახსოვს, ამ სამი-ოთხი თვის წინად ეზოში რომ შემოვიდა ვიღაც მოქანდაკე, ხელში უშველებელი კალათა ეჭირა, რომელიც ამ პატარა ბიუსტებით ჰქონდა სასვე და ჰყვიროდა: “რუსთაველ, რუსთაველ, მოთა რუსთაველ”. გახსოვს, როგორ გვიკვირდა, რომ ეს უბრალო მუშა კაცი ჰყიდა ჩვენი სანატორიო ადამიანის გამოსახულებას?..

“მერე, მერე?!” - ძრწოლით მივმართე.

“მერე ის, რომ ხუთი წამის წინად გოლოვინის პროსპექტზე ის კაცი თავისი უშველებელი კალათიდან, რუსთაველის ლამაზი ბიუსტებით სასვე კალათიდან ურიგებდა მყიდველს ამ ბიუსტებს და სამაგიეროდ სიხარულით და ქმაყოფილებით ფულს ჯიბეში ოლაგებდა.

“მერე, მერე?” - არ მითმენდა გული: “ჩვენმა ბიუსტებმა რა დააშავეს?!”

“უცებ ერთი უშველებელი პოლიციელი დაეტყუა, გამოგლიჯა ხელიდან კალათა, დაახტებ ტროტუარის ქვაფენილზე და მტვრად აქცია. მერე გამტვრებულ გამყიდველს სთხლიმა ცხვირ-პირში და გაქცეულს მიახახა, შენი ფეხი ხვალეიდან ქალაქში აღარ იყვებო, თორემ...

“მერე, შენ ხმა არ ამაოილე, მყიდველებმა პროტესტი არ განუცხადეს?!”

“რას ამბობ, რას?” - ახლა იმან დამიყვირა, - “არ გესმის, არ გესმის, რომ რუსთაველის ბიუსტების გავრცელება აკრძალულია... არ გესმის, რომ შეიძლება სახლშიაც შემოგვეჭრა... მე კი ჩინოვნიკი ვარ... რუსის მთავრობის...”

\* \* \*

1880 წელს გაზეთ “დროების” 241-ე ნომერში (15 ნოემბერი) გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მუხნარგიას ხელმოწერილი ვრცელი განცხადება სათავადაო “ვეფხვის ტყაოსნის რედაქცია”, რომლიდანაც საზოგადოებამ შეიტყო, რომ “შემდგარა განსაკუთრებული რედაქცია უკვდავის “ვეფხვის ტყაოსნის” შეცდომათა შესასწორებლად”. წერილის ავტორები თხოვეს მიმართავდნენ თბილისში მყოფ ამ საქმის თანამგძნობლებს, მიბრძანდით “ქვემოთ დანიშნულს დროს” (24 ნოემბერი, საღამოს 6 საათზე), ხსენებულ საზოგადოების (“წერა-კითხვის საზოგადოება”, საპერნია N41) კანცელარიაში და მიიღეთ მონაწილეობა რედაქციის შრომაში.

“ყოველ შემთხვევაში, მობრძანდებიან თუ არა, ჩვენ ვსთხოვთ ამ რედაქციაში მონაწილეობა მიიღონ გ.დ. ორბელიანმა, დ.ი. ყიფიანმა, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა, ი.გ. ჭავჭავაძემ, ა.კ. ნე-

რეთელმა, ვ.გ. ორბელიანმა, გ.ე. წერეთელმა, ს.ს. მესხმა, პ.ი. უმიკაშვილმა, ნ.ტ. დადიანმა, დ.გ. ერისთავმა და სხვ.”

მიმართვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დანიყო ვეფხისტყაოსნის როგორც ხელნაწერების მოძიება და რედაქციაში გაგზავნა, ასევე ტექსტის დადგენის ურთულესი სამუშაო.

“ბევრი თავში ცემა უნდა. ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის სიზრდა: შეგებრალები, რომ ნახო ჩემი სიტყვების მხა, სად, რა, როგორ უნდა ინერებოდეს: შექმნა თუ შექმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დაეიდარბა. მგონი რუსთაველს ფეხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საგნის მასწავლებელს “ორი” შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა გულს ვინჯალებთ” - წერდა ვანი ჩანაბელი იონა მუხნარგიას.

თუმცა რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მუხნარგიას წერილსა და ინიციატივას სულ სხვა სახის გამოხმაურებაც მოჰყვა. “დროების” 1880 წლის 252-ე ნომერში (29 ნოემბერი) გამოქვეყნებულ წერილში ა. სავანელმა გამოთქვა აზრი, რომ “მისს [შოთა რუსთაველის] შთამომავალთ გემართებს გადაუხადონ სიყვარული, ერთგულება და მადლობა ამისთანა ქმნილებისთვის” და, რომ ეს არის შთამომავალთა “სამღეთო ვალი”-ო.

სავანელმა მოიშველია მარი ბროსეს აზრი რუსთაველის პოემის - “შთამომავალთათვის დატყვევებული ხელთუქმნელი ძეგლის” შესახებ:

“ამისთანა პოემა ყველა ხალხს არ აქვს; იშვიათია თვით ევროპაშიო, სწერს წარჩინებული მწერალი მარი ბროსეტი, ტომით ფრანცუზი, რომელშიაც პირფერობას, თავის მოწონებს და პატრიოტობას ალავი არა ჰქონდა არც ექნებოდა... ეს ხელთუქმნელი ძეგლი დაუტყვევა შოთა რუსთაველმა შთამომავალთა და ამით გადაუხადა სიყვარული, ერთგულობა და მადლობა მშობელს თავისსა საქართველოს. ნუ თუ ჩვენ, მისს შთამომავალთ არა გემართებს გადაუხადოთ სიყვარული, ერთგულება და მადლობა ამისთანა ქმნილებისთვის? უეჭველია, აუცილებელია, რომ გემართებს და არის ჩვენი სამღეთო ვალი”.

სავანელის თქმით, პასუხი კითხვაზე, რით და როგორ უნდა გადაუხადოს შთამომავალთამ ვალი დიდ წინაპარს, დიდი ხნის დადგენილია და მის არაღსრულებას სუყველგან საიკიხავიაო.

“მაშ სად არის საქართველოში შოთა რუსთაველის ძეგლი, წინაშე რომლისა ქუდ-მონღილი ვიდგეთ და მით პატრის ვცემდეთ ჩვენს დიდსა პოეტსა, ლიტერატურის გმირსა და მამასა? - კითხულობდა ა. სავანელი, - აბა, გადავავლოთ თვლი სხვა ქვეყნებს და ვნახათ იქ აღმართული ამისთანა წარჩინებულ მწერლებთათვის ძეგლებსა, თუ არა? ყველგან სდგანან უმშვენიერესნი ძეგლები და ხალხი შეუკრებს სიხარულთ და სასიამოვნოთ, ვითარცა საკუთარსა წმინდასა, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ვერ ვპოვებთ შოთა რუსთაველის



ძეგლსა, ამგვარ დამტკიცებასა ჩვენი სიყვარულისა, მადლობისა და მოგონებისა... ამ ჩემს ფიქრს და აზრს გამოვაცხადებთ საქვეყნოდ და ვგონებ, დრო იყოს აღსრულებისა, დავსდგათ ძეგლი შოთა რუსთაველისა საჩინო ალაგას ჩვენს დედა-ქალაქს თბილისს, სადაც ჰსცხოვრებდა ჩვენი დიდი პოეტი - გენიოსი და სადაც უძღერდა და უძღვნა თვისი პოემა დიდსა მეფესა თამარსა... დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ყველა, ვისაც კი უდგა სული ქართველისა, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ გლახაკი, მსწავლული თუ უსწავლელი, იქმნებიან თანაზიარი ამ ჩვენის აზრისა და ფიქრისა. შოთა რუსთაველის ძეგლის აღმართვა ყველასათვის იქნება სასიქადულო და სასიხარულო. ამას ეჭვი არა აქვს. მხოლოდ საჭიროა, მთავრობის ნება დართვით, გაიხსნას კომიტეტი თბილისს, ქუთაისს, და ყველა მაზრის ქალაქებში მესანიარავის ფულის შესაგროვებლად, და რომელი ქართველი არ შესწირავს თავის შეძლების-და-გვარად ამ წმინდა საგანზე!

თუმცა სავანელის იმედები არ გამართლდა. 1893 წლის 24 ივნისის (N132) "იერიის" რუბრიკაში "ახალი ამბავი" გამოქვეყნდა მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთის რედაქციამ ბ-ნ ალექსანდრ ფონ-კოცებუსგან მიიღო 3 მანეთი შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად, რასაც მომდევნო ნომერში მოჰყვა ვრცელი წერილი სათაურით "დავინყებულნი ძეგლი". სტატია იწყებოდა საუბრით პუშკინის ძეგლზე, რომელიც თბილისში 1892 წელს დაიდგა.

"ეს მეორე ძეგლია, რომელიც ამშვენებს და ამკობს ჩვენს მოხუცებულ ქალაქს... ძეგლის აგება იმის ნიშანია, რომ ერი აფასებს ქვეყნისთვის მშრომელთ და აგვირგვინებს მათ მოღვაწეობას ჩამომავალთა საყურადღებოდ. რამდენადაც ერი მეტად არის განათლებული, იმდენად მეტის პატივისცემით ეპყრობა ნიჭით აღჭურვილ თვისს შვილებს... საქართველოში ერთ პოეტს ეკუთვნის პატივისცემა და დიდება, ვიდრე აქამდე მას ნილად ჰხვედრიან. მე მოვასხენებთ "ვეფხისტყაოსნის" დამწერებ - შოთა რუსთაველზე... ამისთანა დიდს პოეტს აქამდე არ უდგია ძეგლი იმ ერის ქალაქში, რომლის დიდებასაც იგი მგოსანი შეადგენს და რომელსაც შესძლებია დააფასოს უცხო ქვეყნის მწერალი და მოღვაწე. ჩვენი ხელმოკლეობა პირველი და უმთავრესი მიზეზია ამგვარის პოეტის დაუმსახურებლის მიიწვევისა..."

შემდეგ წერილის ავტორი, ალექსანდრე ხახანაშვილი ჩამოთვლის ქართული საზოგადოების მიერ "კეთილი საქმისთვის" დაარსებული ფონდების, მათ შორის "წერა-კითხვის საზოგადოების" გაძლიერებისთვის განუღებ დახმარებებს და იმედია-ნად დაასკვნის, "ჩვენი ერი არ დაივწყება გაილის წვლილი იმ კაცის სახელობაზედაც, რომელიც შეადგენს მის სიქადულსა და დიდებას, ჩვენი იმედი მარტო ოცნება კი არ არის, მას აფრთოვანებს ბევრგან გამოთქმული სურვილი, აეგოს ძეგლი რუსთაველისა"-ო.

ალექსანდრე ხახანაშვილის თქმით, ასეთი სურ-

ვილი გამოუთქვამთ "ერევანში გადახვენილს ქართულ ელემენტს", რომლებსაც ნ. თუმანიშვილი შეუკრებიდა.

"ახლა უნდა შესდგეს ტფილისში პოეტის თავისუფანსმცემელთა კომისია, რომელიც გამოიტანს მთავრობისგან ნებას ხელის მოწერა გამართოს თანხის შესაყენებლად. დარწმუნებული ვართ, რომ დიდი და პატივით, შემღებობისამებრ, შეიტანს წვლილს პოეტის ძეგლის ასაგებად და მით დაამტკიცებს მის სიტყვების შეგნებას: რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია", - წერდა "ივერია" 1893 წელს, თუმცა "თანხის შეყენების" მცდელობა ისევე, როგორც, მთლიანობაში, რუსთაველის ძეგლის აგებისა, უშედეგოდ დასრულდა.

1912 წლის "სახალხო გაზეთის" სურათებიან დამატებაში (N96) დაიბეჭდა ნახატი - ესკიზი გ. მესხისა "რუსთაველის ძეგლი", რომლის ვარემერო ქართველი საზოგადო მოღვაწეების მთელი დასი შეკრებილა.

ქართველ მოღვაწეთა ბიუსტები (იაკობ ნიკოლაძის აკაკი და ევანატე ნინოშვილი) თბილისის საჯარო სივრცეებში მხოლოდ 1922 წლიდან გამოჩნდნენ.

\* \* \*

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეუცვალა სახელი ქვეყნის მთავარ გამგზირს, რომელიც კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის სახელს ატარებდა. გაზეთი "სახალხო საქმე" 1918 წლის 28 მაისის ნომერში (N242) ასე აღწერს 26 მაისის კულმინაციას:

"აკაკი წერეთელი სასახლის აივანზე გადის და მშვენიერი სიტყვით მიმართავს მომლოდინე ხალხს. წერეთლის შემდეგ ხალხს მიმართავს იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი... ლაპარაკობენ აგრეთვე სხვანიც: კარლო ჩხეიძე, ივ. როსტომაშვილი, შ. ქარუმიძე და იაშვილი, რომელიც თითქოს აკანონებსო, ამბობს თავის სიტყვებს დასასრულს, დღეიდან გოლოვინის პროსპექტის "რუსთაველის ქუჩა" ეწოდებაო!"

1917 წლის ოქტომბერში ჩატარდა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, რომელმაც დააფუძნა "ქართველ მწერალთა კავშირი" (თავმ. კოტე მაცაშვილი, მდივანი კონსტ. გამასახურდია) და რომელზეც პაოლო იაშვილმა წამოაყენა წინადადება, თბილისში აგებულიყო შოთა რუსთაველის ძეგლი.

პირველი რესპუბლიკის სულისკვეთლის ინერციით 1921 წლის ნოემბერში არტისტების საზოგადოების სახლს მიენიჭა რუსთაველის სახელი, არასრულ ერთ წელიწადში კი იაკობ ნიკოლაძემ შოთა რუსთაველის ბიუსტი დამაზადა.

"ქართულ დრამის თეატრისთვის, რომელსაც მიეცა რუსთაველის სახელი, მოქანდაკე ნიკოლაძემ დამაზადა შოთა რუსთაველის ბიუსტი. იგი უჩუქვდად უნდა ჩაითვალოს თვალსაჩინო მიღწევად შოთას სახის საიდუმლოების ძიებაში, რომელიც ამ ბოლო დროს აწუხებს მოქანდაკის ფანტაზიას.

დიდი სიხარული მოეწიეს ქართულ ხელოვნებას, თუ ნიკოლაძე მოსტაცებს ბედს და თავის ნიჭს ამ დიდ დამოცანას და როგორც მისმა მასწავლებელმა როდენმა ბალზაკს, დაუდგას შოთას მარმარილოს ქანდაკებას", - წერდა 1922 წლის იანვარში ცისფერყანწველთა გაზეთი "პარიკიარდი" (N4).

ამავე 1922 წლის 3 მარტს საქართველოს რევკომის ორგანომ, გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა მცირე, მაგრამ მეტად საყურადღებო ცნობა: "28 თებერვალს შესრულდა 750 ნელი საქართველოს უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების დღიდან. ეს დატოვა აღებულია პირობით საქართველოს ისტორიკოს სახუკიას წინადადებით. სახად ადინიზმის, რომ ძველ დროის დიდი პიროვნებების დაბადების დატას იღებენ ყოველთვის პირობით. შოთა რუსთაველი დაიბადა 1172 წელს დაბა რუსთავეში, ახალციხის მახლობლად. რუსთაველის მთელი მოღვაწეობა ეკუთვნის ე.წ. "ოქროს ხანას", როდესაც ის ითვლებოდა თამარ მეფის მინისტრათ, მის მიჯნურთა და პოეტათ".

წესით, ამ ცნობას უნდა მოჰყოლოდა მთელი რიგი საიუბილეო ღონისძიებებისა, მათ შორის ძველის ან ბიუსტის გახსნა, მაგრამ დაპყრობისა და ანექსიის შემდეგ საქართველოზე გავრცელდა რუსეთში მოქმედი ე.წ. "მონუმენტური პროპაგანდის ლენინისული გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა "მეფეებისა და მათი მსახურების" ძეგლების დაშობისა და მათ ნაცვლად ქუჩა-მოედნების გაფორმებას რევოლუციის ბელადებისა და ბოლშევიკური თემატიკის ქანდაკებებით, დეკორატიული პანოებითა და მემორიალური დაფებით. შესაბამისად, შოთა რუსთაველის ძეგლის ასადაგმულად კომისია მხოლოდ 5 წლის შემდეგ შეიქმნა, მის შესახებაც გაზეთი "კომუნისტი" (ან უკვე როგორც საქ. კომპარტიის ცენტრალური და საქ. აღმასრულებელი კომიტეტების ორგანო) წერდა 1927 წლის 17 აპრილს:

"იქმნება სპეციალური კომისია რუსთაველის ძეგლის თბილისში დადგამასთან დაკავშირებით. კომისიას განათლებულ სახალხო კომისარი და კანდელაკი ხელმძღვანელობს. კომისიაში შეიძინა: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ნიკოლაძე, კ. კეკელიძე, ს. ინგოროყვა, დ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, პ. იაშვილი, ნ. მინიშვილი და სხვა. გადაწყდა (15 აპრილს გამართული სხდომა), რომ ძეგლი გაიხსნება 1929 წელს, ქართული წიგნის დაბეჭდვიდან სამაის წლის ოუბილზე".

თუმცა ოუბილემ ძეგლის აღმართვის ვარემე ჩაიარა. საბჭოთა საქართველოში შოთა რუსთაველისადმი დამოკიდებულებას მთელი 13 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა ფილიპე მახარაძის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ნეგატიური შეხედულება "ვეფხისტყაოსანზე". ფილიპე მახარაძე და ბევრი სხვა ქართველი ბოლშევიკი "ვეფხისტყაოსანს" იდეოლოგიურად მიუღებელ ნაწარმოებად მიიჩნევდა.

"მონური წესწყობილებისა და მონური ცხოვ-



რების განმადიდებელი და აღმოსავლეთის კილოზე შექმნილი ნაწარმოები... რუსთაველი არ გადმოგვეცმს ხალხის სულისკვეთებას და მის მისწრაფებებს. "ვეფხისტყაოსანში" არ ჩანს ხალხის ცხოვრება. პოემა მხოლოდ იმ ადამიანთა ინტერესების საგნად შეიძლება იქცეს, რომლებიც ასე უქმად და უფარდლად ჭაგრებენ დროს და სხვის ნაოფლარით ცხოვრობენ... ასეთი ნაწარმოები არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ", - ნერდა ფილიპე მახარაძე 1926 წელს.

საბჭოთა საქართველოში "ვეფხისტყაოსნისა" და მის ავტორისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა 1934 წელს, საბჭოთა მწერალთა პირველი ყრბიდან, რომელსაც 17 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე კრემლის კავშირების სექტეიანმა დარბაზმა უმასპინძლა.

20 აგვისტოს, ყრილობის მსვლელობისას, სიტყვით გამოვიდა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი და საქართველოს მწერალთა კავშირის მამინდელი თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, რომლის მოხსენების ტექსტი დიდწილად სტალინისა და ქართველი მეცნიერების კარნახით იყო დაწერილი.

"კლასიკოსები დაბრუნდნენ", - ასე შეფასა წლების შემდეგ საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობის შედეგები პოეტმა ირაკლი ბაბიძემ. და მართლაც, მალაქია ტოროშელიძის მოხსენების სრული ტექსტი, რომელიც 1934 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, გაფორმებული იყო ქართველი მწერლების (შოთაძან და ვით კლდიაშვილამდე) პორტრეტებითა და მსხვილი წარწერით: ქართული ლიტერატურის კლასიკოსები.

"თანამედროვე ქართული ლიტერატურის გასაგებად საჭიროა მისი სათავეების ცოდნა... ეს მით უფრო აუცილებელია, რომ იმ განკერძოებისა გამო, რომელიც არსებობდა კავშირის ხალხთა შორის ცარიზმის ეპოქაში და იმ მედიდური უგულვებელყოფის მეოხებით, რომელსაც იჩენდნენ "ნიოროდცების" ლიტერატურის მიმართ, ქართულ ლიტერატურას ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოებრიობა", - ასე იწყება მალაქია ტოროშელიძე თავის მოხსენებას, რომლის რუსთაველისადმი მიძღვნილი ნაწილი მთავრდება დასკვნით:

"რუსთაველმა გადალახა საშუალო საუკუნეთა რელიგიური განკერძოება, იგი აღწევს მსოფლმხედველობისა და თავისუფალი აზროვნების ამ სფეროებს, რომლისთვისაც არ მიუღწევია საშუალო საუკუნეთა დასავლეთის არც ერთ პოეტს თვით ალერძინების ეპოქამდე".

პროფესორ ავთანდილ ნიკოლაიშვილის თქმით, სტალინს აუცილებლად სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ დიდი და სახელოვანი ისტორიის, დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის მემკვიდრე ერის შვილი იყო.

"ყოველივე ეს უნდა წარმოეჩინა დიდი ოსტატობით, დაბაჯრებულად. საჭირო იყო რამდენიმე კარგად გაზარებული ღონისძიება, რომელიც

ეფექტს მოახდენდა საბჭოთა კავშირშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც. ასე ჩაიფიქრა და განახორციელა იოსებ სტალინმა ოთხი დიდი ღონისძიება: საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა; ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში; შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" დაბანტიდან 750 წლისთავი; ილია ჭავჭავაძის დაბანტიდან 100 წლისთავი" ("საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა და "ვეფხისტყაოსანი").

"ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავი 1937 წლის ოქტომბერში აღინიშნა, თუმცა სამზადისი სამი წლით ადრე დაიწყო, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც შესაბამისი 15 პუნქტისანი დადგენილება ("მთელს საქართველოში მოეწყოს საყოველთაო სახალხო ზეინი...") სწორედ მალაქია ტოროშელიძის სიტყვით გამოხსენის დღეს, 1934 წლის 20 აგვისტოს მიიღო.

"თბილისში აღიმართოს შოთა რუსთაველის ძეგლი", - ვკითხულობთ დადგენილების მე-2 პუნქტში, რომელსაც მოსდევს ზეინის მოსამზადებელ სამუშაოთა მოსაწყობად და ძეგლის დადგმაზე კონკურსის ჩასატარებლად სახკომსატკოსთან შექმნილი კომისიის შთაბეჭედავი შემადგენლობა:

გერმანე მაგლობლიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ბერიანი, მაქსიმე გორკი, ფილიპე მახარაძე, პ. აღნიშვილი, კ. ორაგველიძე, მალაქია ტოროშელიძე, ა. თათარაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ბაქრაძე, გ. არუთუნოვი, გ. სტურუა, გ. ყურულაშვილი, გ. გიორგობიანი, გ. ძეგლია, ა. დუღუშაია, ბ. ბიბინიშვილი, ს. თოდრაია, ა. აღნიშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნეი კეკელიძე, სახალხო მწერალი, გ. ტაბიძე, სახალხო მოქანდაკე, ნიკოლაძე, სახალხო არტისტი ა. ასმეტელი, ჩარენცი, რ. ახუნდოვი, პ. იაშვილი, ა. ეული, კ. ჭიჭინაძე, პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია, გ. ჯუღიაშვილი, ა. თითბერიძე, ა. შანშიაშვილი, არაქიშვილი, ს. ჩიქოვანი, მ. ჯიქია, გერონტი ქიქოძე.

\* \* \*

XX საუკუნის 30-იანი წლების თბილისი ჯერ ისევ უკაცრიელი ქალაქი იყო მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. ქუჩებში, ხიდებზე, მოედნებსა და ბაღებში თითქმის ვერ შეხვდებოდით ძეგლებს, ქანდაკებებსა და მემორიალურ დაფებს.

"სადგურთან, მოედანზე, ვეებერთელა ადგილი სრულიად თავისუფალია. რატომ არ მოხდა მოედნის დანიშნულების შესატყვისი ქანდაკების დადგმა? სადგურიდან თავისუფლების მოედანზე ვერ შეხვდებით ვერც ერთ ძეგლს და ქანდაკებას. ხელზე ჩამოსათვლელი ძეგლებია: აკაკი წერეთლის, ვენატე ნინოშვილის, კამოსი და ბორის ძნელაძის", - ვკითხულობთ 1933 წლის "სალიტერატურო გაზეთში" (N12).

ასეთ ვითარებაში გასაკვირი არაა, რომ 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილების გამოქვეყნებას მალევე მოჰყვა დისკუსია ძეგლისთვის შესაფერისი ადგილის შერჩევის გამო. ინიცირებ გიორგი ბუჟანიშვილის თქმით (1934 წლის 4 სექტემბერი),

“სოფლიო მწერლის ძეგლს ხელს უნდა უწყობდეს ადგილმდებარეობა, ძეგლის გარემო უნდა ზადავდეს პოეტურ და მხატვრულ გრძობებს, ძეგლის ადგენობა - ჩუქურთმა, კომპოზიცია უნდა იძლეოდეს უშუალოდ ქანდაკების და ხუროთმოძღვრების იშვიათ ნიმუშებს”.

სად უნდა დაიდგას ძეგლი?

ამ კითხვის პასუხად ინჟინერი ბუენიშვილი ამბობდა, თავისთავად ცხადია, რუსთაველის პროსპექტზე.

რომელი ადგილის გამოყენება შეიძლება ამ დანიშნულებისთვის?

“ძეგლისთვის შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს ორი ადგილი: I - ყოფილი სამხედრო მუზეუმი, შემდეგ გადაკეთებული ნაციონალურ გალერეად. II - რუსთაველის ბოლოში არსებული ძველი მახინჯი ფოსტის შენობა, რომელიც უნდა მოიხსნას და მის ადგილს აღიმართოს შოთას ძეგლი. ქალაქის შინაარსიანი მხატვრული ვაჟორების თვალსაზრისით, ამ ადგილს უპირატესობა უნდა მიეცეს. მაშინ ქალაქის გადაგეგმარებით გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ ადგილზე რუსთაველის ნიშნის მოწყობა, რუსთაველის პროსპექტის უშუალოდ ელბაქიდის დაღმართთან შეერთება, რაც იშვიათი სილამაზე ექნება. მომავალში როდესაც კომიტეტის ქუჩა გაუფართოვდება და თავისუფლების მოედანს შეუერთდება, რუსთაველის პროსპექტი შემკული იქნება ორი უმშვენიერესი ძეგლით: აღმოსავლეთის მხრით ლენინი, დასავლეთის მხრით - შოთა” - ასკვნიდა გიორგი ბუენიშვილი.

“შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტის კონკურსის პირობებს ამუშავებს მხატვართა კავშირი. ძეგლისთვის ადგილის შერჩევა, საკონკურსო პირობები და სხვა წინასწარი მუშაობა ჩატარებული იქნება ყველა მხატვარს შორის. ამ საკითხზე გაიმართება მოხსენებები და დისკუსიები. საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები განხილული იქნება მუშაობა და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანდასწრებით”, - “ლიტერატურული გაზეთი”, 1934 წ. N18

ადგილის შერჩევას რამდენიმე თვე დასჭირდა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი თეორეტიკალი ფურნაძე “ჩვენმა თაობამ” 1935 წლის აგვისტოს II ნომერში გამოაქვეყნა შოთა რუსთაველის საოცრილი კომიტეტის პლანარული სხდომის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, “შოთა რუსთაველის ძეგლი აღმართული იქნება როზა ლუქსემბურგის სკვერში (რუსთაველის პროსპექტის თავში)”.

ამვე დადგენილებით გამოცხადდა კონკურსის პირობები:

- ძეგლი უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის პორტრეტულ ქანდაკებას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედგას პოეტის არსებული უძველესი პორტრეტი; აგრეთვე მასალად უნდა გამოყენებული იქნას შოთა რუსთაველის მხატვრული დოკუმენტები


- გარდა პორტრეტული ქანდაკებისა, ძეგლში მოცემული უნდა იქნას “ვეფხისტყაოსნის” იდეების, მოტივებისა და პერსონაჟების განსახიერება ბარელიეფებისა და ფიგურების სახით
- რუსთაველის ძეგლთან ერთად უნდა გათვორმდეს არქიტექტურულად თვით სკვერიც, საქართველოში არსებული ქვების მასალების გამოყენებით
- ძეგლის სიმაღლე, კვარცხლბეკითურთ, მინის ზედაპირიდან უნდა იყოს არა უმეტეს 10 მეტრისა
- ძეგლის მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს მარმარილო და გრანიტი
- ძეგლის პროექტი უნდა წარმოდგენილი იქნეს 1936 წლის 1 აპრილისათვის, ძეგლის აგება კი დათავრებულ იქნება 1937 წლის 1 ოქტომბრისთვის
- ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის დამტკიცებულია სამი პრემია: I - 30 000 მან, II - 20 000 მან, III - 10 000 მან.

შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტების განმხილველი ჟიურის დადგენილებით, რომელიც საიბილიეო კომიტეტმა დაამტკიცა, X ჯილდო (30 ათასი მანეთი) მიენიჭა პროექტს დევიზით “პოეზია” (მოქანდაკე კოტე მერაბიშვილი), II პრემია (20 ათასი მანეთი) - პროექტს დევიზით “ვ” (მოქანდაკე ვალენტინ თოფურიძე) და III პრემია (10 ათასი მანეთი) - პროექტს დევიზით “საქართველოს სსრის 15 წელი” (სახალხო მოქანდაკე-ორდენოსანი იაკობ ნიკოლაძე).

ფურნაძე “საბჭოთა ხელოვნება” (1936 წ. N4-5), სადაც დადგენილება გამოქვეყნდა, ასევე წერდა, რომ იმ პროექტის ავტორს, რომელმაც პირველი ჯილდო მიიღო - მოქანდაკე კ. მერაბიშვილს “წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში შეიტანოს პროექტში კომიტეტის მიერ მითითებული ცვლილებანი და წარადგინოს ძეგლის საბოლოო მაკეტი”-ო.

“მითითებული ცვლილებები”, შესაძლოა, დაკავშირებული იყო შოთა რუსთაველის სკულპტურულ (მხატვრულ) პორტრეტთან, რომლის გარემოში ასევე დიდი პოლემიკა იყო გამართული.

ის პორტრეტი, რომელიც დღეს შოთა რუსთაველის გამოსახულებადაა აღიარებული, წამთვლილად მომდინარეობს უცნობი მხატვრის მინიატიურდიან, რომელიც XVII საუკუნეშია დახატული და “ვეფხისტყაოსნის” ერთ-ერთ იმდროინდელ ხელნაწერს ამკობდა, - წერდა გეორგი ქიქოძე, - XVII საუკუნეში კი საქართველო ირანის ვასალური სახელმწიფო იყო, თბილისში ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონები ისხდნენ. მთელი ქართული კულტურა, ყოფაცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, მხატვრული მწერლობა, მუსიკა, ფერწერა ირანის კულტურის ზეგავლენას დაექვემდებარა... ის, რასაც ზოგიერთი ქართველი მოქანდაკე და მხატვარი შოთა რუსთაველის პორტრეტად ასაღებს, ბიზანტიური ფრესკის და ირანული მინიატიურის არაბუნებრივი შეუღლების ნაყოფს წარმოადგენს... ჩვენ-



მა ძველმა მხატვრებმა, ფრესკის და მინიატიურის ოსტატებმა, საუცხოო ინდივიდუალური გამოხატულებანი დაგვიტოვეს ჩვენი ისტორიის კლასიკური ეპოქიდან. ისინი, ალბათ, გაოცდებოდნენ, ჩვენ რომ მათთვის ჩვენი ფანტაზიის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველი წარგვედგინა. თანამედროვე ქართველი მოქანდაკეების და მხატვრების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შექმნან შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავისი გამოფეხვყვლებით, მოძრაობით, ჩაცმა-დახურვით შეფერვბოდეს XII საუკუნის ფოქალურ საზოგადოებას".

კოტე მერაბიშვილის, ვალენტინ თოფურაძისა და იაკობ ნიკოლაძის ვარდა, საკონკურსოდ შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტები წარადგინეს მოქანდაკეებმა: რ. თავაძემ, სილ. კაკაბაძემ, ნ. კანდელაკმა, შ. მიქაბაძემ და ვ. გრიგოლიამ (თანაავტორები), გ. სესიაიშვილიმ.

\* \* \*

შოთა რუსთაველის ძეგლის მშენებლობა იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე საიუბილეო და საკონკურსო კომისიების წევრები ვარაუდობდნენ. 1937 წლის 30 ივნისს, საიუბილეო ღონისძიებების დაწყებამდე სამი თვით ადრე, ვახუთი "ლიტერატურული საქართველო" წერდა, რომ რუსთაველის ძეგლი შენდებოდა ქალაქის ცენტრში, როგა ლუქსემბურგის სახელობის ყოფილ ბაღში და რომ მიმდინარე წელს დაიდგმებოდა მხოლოდ "პოსტამენტი", ფიგურა კი მომავალ წელს აღიმართებოდა.

პუბლიკაციიდან ასევე ირკვევა, რომ შეიცვალა ძეგლის სიმაღლე, რომელიც, კონკურსის პირობების მიხედვით, 10 მეტრი უნდა ყოფილიყო, საბოლოო ვარიანტი კი ძეგლის სიმაღლედ 17 მეტრი (12,5 მეტრი კვარცხლბეკი, 4,5 მეტრი ფიგურა) ჩაინერა.

"ფიგურა გამოკვეთილი იქნება თეთრი მარმარილოს მთლიანი ლოდისგან, პოსტამენტი კი აიგება საქართველოს სხვადასხვა ფერის მარმარილოსა ფერადი ქვებისგან. ძეგლის მშენებლობაზე გადადებულია 1 600 000 მანეთი", - წერდა გამოცემა.

კონკურსში გამარჯვებული პროექტი შეაფასა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ (1935-1948) ნიკოლოზ სევეროვმა, რომელმაც დაასკვნა:

- პროექტისთვის გამოყოფილი მოედანი მცირეა და არ უპასუხებს ნაგებობის მასშტაბს
- ძეგლის ადგილას ქაოსური მშენებლობის გამო დაქუერი ქუჩები და სკვერები ასევე არ უპასუხებენ დაპროექტებული მონუმენტის მასშტაბს. აუცილებელია მთელი რაიონის ხელახალი დაგეგმვა ძეგლის გათვალისწინებით
- ავტორის იდეა - მიეცეს ძეგლს არქიტექტურული ფონი - უნდა ჩაითვალოს სწორად. ამავე დროს ასეთი ფონი შეიძლება იყოს არა დეკორატიული ნაგებობა, როგორც დაპროექტებული კოლონადაა, არამედ ქართული კულტურის რომელიმე შენობა, მაგალითად რუსთაველის ინსტიტუტი: მაღალი სტილის შენობა, შეთან-

ხმებული ერთ მხატვრულ ანსამბლში ძეგლიანი ერთად, უნდა გაჭიმული იყოს ფართოდ, ერთი ფრთით უნდა გადაოდეს ლენინის პრისიპექტზე, მეორე კი მოსკოვის ქუჩაზე

- ძეგლი იდგმება რუსთაველის გაფართოებული პროექტის ღერძზე და გათვლილია ძირითადად ამ მთავარი მიმართულებით დასათვლიერებლად. ეს გადაწყვეტა სწორია. მეორე მიმართულება ელბაქიდის დაღმართი. სასურველი იქნებოდა ძეგლის წამოწევა ტროტუარისკენ. ავტორმა გასწია ძეგლი სიღრმეში, გადაანაცვლა იგი ამ მიმართულებით და მოამრგვალა სახლის კუთხე, რომელიც ლენინისა და ელბაქიდის ქუჩების კუთხეშია
- ძეგლის დასადგმელი ცოკოლის დამუშავება წყაროების სახით მიმარჩია კარგად

კოტე მერაბიშვილის ძეგლის კომპოზიცია, პროექტის მიხედვით, წარმოადგენდა არქიტექტურულ ანსამბლს, რომლის ცენტრშიც იდგა შოთა რუსთაველის ქანდაკება.

"ძეგლი, რომელიც დღეს დგას, თავდაპირველი პროექტის მხოლოდ ნაწილია. მთლიანად უფრო რთულ ანსამბლს წარმოადგენდა (არქ. შ. თულაშვილი), - წერდა ხელოვნებათმცოდნე ლელა შანიძე 1975 წელს გამოცემულ "ქართულ საზოგადოებრივ კებაში", - იმ დროს, როცა პროექტი გაეკეთა, ძეგლის უკან, სადაც დღეს მეტროს სადგურია, იყო მაღალი შვეული ფერდობი. ამ ფერდობს, ავტორის აზრით, დაფარავდა მწვანე ნარგავობათა ორი სართული. ერთი თალი ლენინის (კოსტავას) ქუჩაზე უნდა გამოსულიყო, მეორე თალის ქვეშ კი დღევანდელი ჯავახიშვილის ქუჩა უნდა გასულიყო. ძეგლი ამ კოლონადის ცენტრში იყო. თვით ძეგლიც უფრო მეტად იყო დატვირთული, ვიდრე შემდეგში განხორციელდა... პროექტით დასახული ქუჩების რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა, რადგან ამისთვის საჭირო იყო არსებული შენობების აღება, საექიმ გაჭიანურდა, შემდეგ მოუსწრო ომმა და პროექტი მიტოვებულ იქნა, ძეგლი კი დაიდგა უკოლონადოდ".

შოთა რუსთაველის ძეგლი 1942 წლის 23 მაისს გაიხსნა. ძეგლის ქვესადგამი შემკული იყო "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტების მიხედვით გაკეთებული რელიეფებით, გვერდებიდან კიბეები ეშვებოდა, წინ კი თალღანი ფორმის წყარო იყო, თუმცა კონსტანტინე მერაბიშვილი, რომელსაც ნაშუაგვისთვის სტალინური პრემია მიენიჭა, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ძეგლის დასრულებაზე.

"ანტიკური ქმნილებებით, ანატომიური მოდელებით, ძეგლი და ახალი ესკიზებით, ეტიუდებით, თხასში გამოძერწილი და თაბაშირში ჩამოსხმული პორტრეტებით მოფენილ სახელოსნო შუაგულში დგას ვეფხვის ვებერთელა ფიგურა, - წერდა ლადო აგალიანი "ლიტერატურულ საქართველოში" (N10) 1943 წელს, - ნახევრად წამოშორად ვეფხვის თავი მედღედურად აუწევია, პირი ფართოდ გაულია. მძლავრი წინა კიბეები და განსაკუთრებით რის-

ხვით სახეს თვალზე კარგად გამოხატავენ ამ მხე-  
ცის ბუნებას. მარჯვენა ტორი გარეული თხის მოვ-  
ლევით თავზე, რქებს შორის, დაუდვია, მარცხენა  
კი მინაზე ღონივრად დაბოჯებულ და შემოთე-  
ბული მხეცი თითქოს საცა ნაწიონესო ზიფათის  
მოლოდინში. ვეფხვის ფიგურა ოსტატურად არის  
გამოძერწილი და თაბაშირში ჩამოსხმული. მისი  
ხერხემლისა და ცალკეული ნაკვეთების მოძრაობა-  
ში კარგად იგრძნობა ამ მხეცისათვის დამახასია-  
თებელი სიმძლავრე და მოქნილობა".

ესკიზის მიხედვით, ვეფხვის ფიგურები რუს-  
თაველების ძეგლის დეტალებს წარმოადგენდნენ.  
ვეფხვები უნდა განთავსებულიყვნენ კვარცხლბე-  
კის წინ, იმ ბაქნის კიდებზე, რომლის ფასადზე  
მხატვრულად გაფორმებულ - თალოვანი და ლო-  
მისთავიანი წყაროებია ჩამოკრევიებული. კოტე მე-  
რანიშვილის ასევე განზრახული ჰქონდა ავთანდი-  
ლის და ტარიელის ფიგურების დამატება, რის შემ-  
დეგაც ძეგლი "უთუოდ უფრო მდიდარი და დასრუ-  
ლებულ სახეს მიიღებდა, განწინანორდებოდა ფი-  
გურის, კვარცხლბეკის, ბაქნის ფასადის წყაროთა  
ფერები და პროპორციები".

თუმცა ძეგლის გახსნიდან სამი წლის შემდე-  
გაც (1945 წ) "ლიტერატურა და ხელოვნება" წერ-  
და, რომ თბილისის შუაგულში რუსთაველისადმი  
აღმართული მონუმენტი დამთავრებული არ არი-  
სო, რომ ორი ვეფხვი და რამდენიმე ბარელიეფი  
ჯერ კიდევ მისამატებელიაო.

ძეგლის გაფორმება და მისი არქიტექტურული  
ნაწილი წლების განმავლობაში იცვლებოდა. ცნო-  
ბილია ქვისმთლელების ვინაობა, რომლებმაც გა-  
მოკვეთეს კვარცხლბეკი და ლომის თავები, წყალი  
რომ გადმოსჩქეთე პირიდან. ვლადიმერ გიორგო-  
ბიანისა და თომა მაისაშვილის საჭრეთლებს ასევე  
ეკუთვნით ჩუქურთმები მეცნიერებათა აკადემი-  
ის, პარლამენტის, ფუნიკულიორის ზედა სადგურ-  
რისა და რუსთაველის თეატრის (აღდგენილი შე-  
ნობის) შენობების ფასადებზე.

1969 წლის 28 აპრილს საქართველოს სსრ მი-  
ნისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება N227 შოთა  
რუსთაველის ძეგლის პროექტის გამოსავლენად  
ახალი კონკურსის მოწყობის შესახებ, თუმცა არ-  
სებითი ცვლილებები განხორციელდა მხოლოდ  
1989-91 წლებში, როცა ძეგლი ჩამოსხმა ბრინჯაო-  
ში და ჩატარდა არქიტექტურული ნაწილის რეკონ-  
სტრუქცია.

ოფიციალურად, განახლებული ძეგლი 1991  
წლის 14 აპრილს, სამშაგად სიმბოლურ დღეს გა-  
იხსნა. რუსთველის ხეალხა დაზადება "დაქმთხვა"  
ქართული ენის დაცვისა და ღვადა ამსახურების  
პრეზიდენტად არჩევის დღეს. როგორც 1991 წლის  
16 აპრილს გამოსული "საქართველოს რესპუბლი-  
კა" წერს, რუსთაველის მოედანზე შეკრებილ ზღვა  
ხალსაც პირველმა ზვიად გამსახურდიამ მიმართა:  
"სწორედ ამ დღეს, 14 აპრილს, ქართული ენის  
დაცვის დღეს, იხსნება დიდი რუსთველის ძეგლი,  
სიმბოლო ქართველი ხალხისა, ქართული ენისა,  
სიმბოლო ქართული ლიტერატურისა. გილოცავთ

რუსთველის ძეგლის გახსნას, ამერიდან ან და მა-  
რადის ქართველმა ერთმა უნდა იაროს რუსთვე-  
ლის გზით".

სიტყვის დასრულების შემდეგ ზვიად გამსა-  
ხურდიამ ძეგლს საბურველი ჩამოსხნა და, როგორც  
გაზეთი წერს, შეკრებილთა თვალწინ აღიმართა  
საამაყო რუსთაველის ფიგურა - კონსტანტინე მე-  
რანიშვილის განახლებული ქანდაკება.

"რუსთაველის აღდგენილი ძეგლის გახსნა სიმ-  
ბოლური აქტია, რადგან იწყება სრულიად საქარ-  
თველოს აღდგენაც, - თქვა პუბლიცისტმა თემურ  
ქორიძემ, - ეს აღდგენა რუსთველის სულისა,  
"ვეფხისტყაოსნის" სულისა. პარალელურად პო-  
ლიტიკური მოძრაობისა იწყება დიდი კულტურულ-  
საგანმანათლებლო მოძრაობა, იწყება აღორძინე-  
ბა ქართული სულისა და ცნობიერებისა. დღეს ამ  
ძეგლს ხსნის დამოუკიდებელი საქართველოს პრე-  
ზიდენტი, ჩინებული რუსთველოლოგი ზვიად გამ-  
სახურდია. გაუმარჯოს სულიერად აღორძინებულ  
საქართველოს!"

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
თავმჯდომარის დამთავრებამ, აკაკი ასათიანმა, ზვი-  
ად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ქართული და  
ავთანდილი არიანო, ჩვენ ყველამ კი უნდა ვიფრი-  
დონოთ.

"რუსთაველის ძეგლი გახსნა სწორედ იმ კაც-  
მა, ვინც ემსახურება შოთას იდეას. ბატონმა ზვი-  
ადმა, ცხოველებმა მერაბმა მოვიკითხეს ეს დღე",  
- თქვა აკაკი ასათიანმა.

1942 წელს დადგმული ქვის შოთა რუსთაველი  
ქალაქ რუსთავში გადაიტანეს, მისი ადგილი კი,  
ზარ-ზეიმით გახსნილმა და უფრო გამძლე მასა-  
ლისგან გაკეთებულმა, ბრინჯაოს რუსთველმა და-  
იკავა.

\* \* \*

ცხადია, ვერც ქვა და ვერც ბრინჯაო ახლოს  
ვერ მივა იმ მასალის სიმტიცესთან, რომლისგა-  
ნის თვისებები რუსთაველმა აიგო ძეგლი. ჰორაციუს-  
ისი ფეხვასად, შოთასაც შეეძლო ეთქვა:

"ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო მკაფიო,  
წინამიღვების ქვაზე გამძლე, მარადიული,  
და მას ვერც დევნა, ვერც მქუხარი აქვილიონი  
ვერას დააკლებს, ვერ დაამზობს მას ყამთა  
სროლო".


("ძეგლი", ჰორაციუსის)  
თარგ. თამაზ ჩხენკელის)

შოთა რუსთაველის ძეგლი დიდი ხანია არ სახ-  
ხავს მხოლოდ რომელიმე ერთ, კონკრეტულ ეპო-  
ქას, რის გამოც მომდევნო ეპოქებმა შეიძლება  
აიღონ ან შეცვალონ ახალი კერპით. შოთა რუსთა-  
ველის გარეშე წარმოუდგენელია როგორც საქარ-  
თველოს წარსული და აწმყო, ასევე მომავალი, თუნ-  
დაც ძალიან შორეული მომავალი. რუსთაველის  
ძეგლი უთუოდ გაუძლებს რაგინდარა ხანგრძლივ  
"ყამთა სროლას", არასოდეს შეიცვლის შინაარსს  
და ბოლომდე დარჩება თბილისის ურბანული ლან-  
დშაფტის განუყოფელ ნაწილად.



# 2022 წელს ანი ერნო გახდა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი

ქართული ზეპირი



ანი ერნო  
წლები

14.95ლ



შესაძენად დასკანერე



ეიფორია გვავსებდა. წარმოვიდგენდით, რა არდადეგები მოგველოდა მარცხის შემთხვევაში, რათა უკეთესად შეგვეგრძნო წარმატების ფასი. ახლა კი, ბაკალავრის მოპოვების საუკეთესო დაგვირგვინება იქნებოდა სასიყვარულო თავგადასავალი, ჩემი ახალგაზრდობის მარიანის მსგავსი. ამ მოლოდინში ვფლირტობდით, საიდუმლოდ ვხვდებოდით იმას, ვინც ყოველი შეხვედრისას ცდილობდა სულ უფრო და უფრო ქვევით ჩამძვრალიყო და რომელიც სასწრაფოდ უნდა ჩამოგვეცილებინა, რადგან პირველი სასიყვარული კავშირი არ უნდა დაგვემყარებინა ასეთ, როგორც გოგონები ეძახდნენ, ძრომილა ტკიპებთან.

იკითხეთ ბიბლუსის ფილიალებში ან შეიძინეთ ონლაინ: [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)  
და ისარგებლეთ საკურიერო მომსახურებით; ტელ.: 322 47 00 45




პალიტრა L

მთარგმნელი

# დავით წერეთლიანი

XV საუკუნის ფრანგი პოეტის, ფრანსუა ვიიონის (1431 – 1463) შემოქმედებამ ჩვენამდე მისი ხელნაწერებისა და გამოცემული ნიგნების ფრაგმენტების წყალობით მოაღწია. ვიიონის ძირითად ნაწარმოებებად მისი მცირე და დიდი ანდერძები მიიჩნევა.

ამ კრებულში ანდერძების გარდა ვიიონის ჩართული ლექსები – ბალადებიცაა მოცემული.



სულაკაურის გამომცემლობა

